PRIME Time

N39 (237), ორშაბათი 30 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ყოფილი ჟურნალისტი დუმილს არღვევს

EXCLUSIVE

თამილა ლომიშვილი: „ძალიან მრცხვენია... მინდა ყველას ხმამაღლა მოვუხადო ბოდიში... ეს ურჩხული, მკვლელი კაცი ადამიანად ვაქციე... მეშინია, რომ ნებისმიერ წამს მომკლავს!“

„ქობალია მკვლელია“

გენერლის მეგობარი ქალის სკანდალური აღიარება დათო ბოლქვაძის მკვლელობიდან 20 წლის შემდეგ...

რატომ არ სვამს ინტერპოლი ზურაბ ადეიშვილს წითელ ცირკულარში

გია მეფარიშვილი: „რეალურად, ინტერპოლი პირის ძებნაზე დასმისთვის არანაირ მტკიცებულებებს არ საჭიროებს... როგორც ჩანს, ადგილი აქვს პოლიტიკურ გარიგებას“

EXCLUSIVE

დიმიტრი შაშკინი: „რაც უფრო მალე გამოვა ილუზიებიდან ივანიშვილის მთავრობა, უკეთესი იქნება ქვეყნისთვის“

EXCLUSIVE

ნიკა ჩიტიძე: „ალასანიას ექნება პრემიერობის ამბიცია, თუმცა თავად არ შესთავაზებს საკუთარ კანდიდატურას, არ გააღიზიანებს ბიძინა ივანიშვილს“

EXCLUSIVE



სოსო ცინცაძე: „ადგილობრივ არჩევნებში პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები დაჯაბნიან საპარლამენტო პარტიებს“

ექსკლუზიური რეპორტაჟი სოფელ დვანიდან

ოკუპანტები საქართველოს მოქალაქეებს, რუსეთის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ, მაღალ პენსიასა და სახლების აშენებას ჰპირდებიან

EXCLUSIVE

„ჩვენი მამების აშენებულ სახლებს ჩვენივე ხელით გვანგრევინებენ“

„საქართველოს ხელისუფლება კი, იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახლები ჩვენვე არ დაგვანგრევინონ, მოდიან და წინ დაცვას უშვებენ, ნგრევა შეაჩერეთ, მინისტრი მოდის და კოსტიუმი დაემტვერებაო“

„ზუსტად ვიცი, რომ ამ ჯგუფში იყო ადამიანი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაღაც სინდიკატთან და ყველა ინფორმაციას მათ გადასცემდა“

რა ჩიპი ჩაუვარდა ხელში გამოძიებას

EXCLUSIVE

ლაფანყურის გამოძიება გრიფით „საიდუმლო“

რა პირობებში იხდიდნენ სასჯელს გირგვლიანის მკვლელები, ვინ შედიოდა მათთან ციხეში და სად დაასვენა ისინი ბაჩო ახალაიამ

„ისინი მატროსოვზე აგრძელებდნენ მუშაობას. მათთან შედიოდნენ თანამშრომლები, იქ იგეგმებოდა რაღაც ოპერაციები – ქონებრივი საკითხები, აგენტებთან მუშაობის თემა, ვინ რა მეთოდებით „დაევერბოვკებინათ“ და ა.შ. 2008 წელს ისინი გაიყვანეს და დასასვენებლად ჰყავდათ ანტალიაში“

„ვარდების რევოლუცია 2“ ვის ფულს ხარჯავს ნინო ბურჯანაძე

ვალერი გელბახიანი: „მთავრობა, რომელიც სააკაშვილის მეთოდებს გაიმეორებს, მკაცრად დაისჯება“

ხუდონჰესი - ექსპერტები გარდაუვალ კატასტროფაზე საუბრობენ

EXCLUSIVE

„ჩვენ ვერ გავხდებით სვანეთის მესაფლავეები!“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური

ხათუნა მგალობლიშვილი



„საქართველოს ხელისუფლება კი, იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახლები ჩვენვე არ დაგვანგრევინონ, მოდიან და წინ დაცვას უშვებენ, ნგრევა შეაჩერეთ, მინისტრი მოდის და კოსტიუმი დაემტვერებაო“

რუსებმა დვანის მოსახლეობას ორი დღის ვადა მისცეს. საზღვრისპირა ოჯახებს ზუსტად ორმოცდარვა საათი აქვთ იმისთვის, რომ საკუთარი სახლები დაანგრიონ, მოსავალი აიღონ და ჰექტრობით ნაკვეთები დაეცარიელონ. ამ ყველაფრის კეთება კი სროლების ფონზე უწევთ. თავად ოკუპანტები მოსახლეობასთან კონტაქტში არ შემოდიან, ისინი მხოლოდ მთებიდან უთვალთვალებენ და სათქმელს ოსი მეზობლების საშუალებით აგებინებენ. გამონაკლისი ბოლო კვირა გახდა. ოკუპანტები პერიოდულად ჰაერში ისვრიან, ამით ისინი მოსახლეობას, უბრალოდ, ზაფრავენ და საკუთარ ძალას ანახვებენ. საბედნიეროდ, ჯერჯერობით მსხვერპლი არ დაფიქსირებულა. დვანელებს უკვე უჭირთ იმის გახსენება, მერამდენედ ხდება საზღვრის გადმოწევა. სამაგიეროდ პროცესი ყოველთვის ერთი და იგივენაირად იწყება. ამჯერადაც ასე მოხდა. ამბავი ისევ ოსმა მეზობლებმა მოუტანეს მოსახლეობას და საათების ათვლაც დაიწყო. ამჯერად ოკუპირება 70 მეტრით ხდება. 70 მეტრი სამანქანო გზიდან. ადგილობრივები ამბობენ, რომ რუსებს საკუთარი რუკა აქვთ, რომლითაც ხელმძღვანელობენ. რაც მთავარია, მათ სჯერათ, რომ არათუ ოკუპაციას, არამედ სამართლიანობის აღდგენას ემსახურებიან და საკუთარ მიწევს იბრუნებენ. რუსული „სამართლიანობის აღდგენაში“ მოყვა დვანის ოთხი ოჯახის საცხოვრებელი სახლი თავისი ნაკვეთებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მეკარიშვილები, მახაჭაშვილები, კორაშვილები და ბერძენიშვილები არათუ საცხოვრებელი სახლების გარეშე რჩებიან, არამედ კარგავენ შემოსავლის უკანასკნელ წყაროსაც. მათ არ აქვთ პასუხი, რით უნდა იცხოვრონ ანი, რა უნდა აკეთონ და რით არჩინონ საკუთარი მცირეწლოვანი შვილები. ამ კითხვებზე პასუხი არც ხელისუფლებას არ აქვს. ერთადერთი, რაშიც ისინი დვანელებს ეხმარებიან, ეს დროის გაყვანაა. თანაც პირდაპირი გაგებით. ეს კი მოსახლეობის ნაწილში გაღიზიანებას უფრო იწვევს, ვიდრე იმედს. ჩამოთვლილი ოთხი ოჯახიდან ერთ-ერთს, გასაუბრებისთვის დრო რომ ვთხოვეთ, გაბრაზებულმა გადადო გვერდით ურო, რითიც საკუთარი მამის აშენებულ სახლს ანგრევდა და მერამდენედ მოყოლილი ისტორიის თავიდან მოყოლა დაიწყო. თუმცა გულწრფელად თქვა, მინისტრების მოადგილეები მოდიან და მუშაობაში ხელს მიშლიან, ისედაც საათებიღა მაქვს დარჩენილი და ესენი კიდევ უფრო გვაფერხებენო...

ახალგაზრდა დვანელის თქმით, ჩინოვნიკები მისვლამდე საკუთარ დაცვას უშვებენ წინ, რომლებიც ნგრევას მხოლოდ იმ მიზეზით აჩერებინებენ, რომ მომავალ მინისტრს ძვირფასი კოსტიუმი დაემტვერება... იგივე მიზეზით არ ატარებენ ტრაქტორს ან სატვირთო მანქანას, რომ ჩინოვნიკების მანქანები დაიმტვერება...

მამუკა მახაჭაშვილი, დვანელი:

– რუსები იძახიან, 1992 წლის რუკას მივყვებითო და ზუსტად იმ რუკით ღობავენ კიდეც ტერიტორიას, მე მანახვეს რუსებმა, როცა იქით მხარეს გადამიყვანეს და მელაპარაკნენ.

– რა გითხრეს?

– ჩვენი ტერიტორიაა და უნდა აღვადგინოთ ეს რუკაო. დასახლებულ ადგილებზე ჯერ ნელ-ნელა მოინევენ. ზევით, სადაც მოსახლეობა არ არის და საძოვრებია, იქ 500 მეტრით გადმოსწიეს ახლა. ეგ კი არა, სამების სალოცავიც კი იმათ მხარეს რჩება. თან ჩვენი მამების აშენებულ სახლებს ჩვენივე ხელით გვანგრევინებენ. სულ მინიმალური მაინც რომ მოგვცენ, ისიც კი არ უნდათ. ამასაც იმიტომ ვანგრევ, რომ ჯართი ჩავაბარო და კაპიკები ავიღო. სამაგიეროდ, ამას წინათ მეორე მხრიდან მოგვადგა რუსული მედია და გვიღებდა, როგორ ვანგრევდით ჩვენივე სახლებს. იწერდნენ, აი, ქართველები ხვდებიან თავიანთ შეცდომას და საკუთარი ხელებით ანგრევენ აშენებულსო. ჭკუა რომ ჰქონდეს ჩვენს ხელისუფლებას, გვეტყოდა, დაანებეთ თავი, მაგას ჩვენ აგინაზღაურებთ, რუსებმა თავად დაანგრიონ ეს შენობებიო... მაშინ ყველა დაინახავდა, რუსები რა ფაშისტებიც არიან. საქართველოს ხელისუფლება კი, იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახლები ჩვენვე არ დაგვანგრევინონ, მოდიან და წინ დაცვას უშვებენ, ნგრევა შეაჩერეთ, მინისტრი მოდის და კოსტიუმი დაემტვერებაო. ჩვენ კიდევ ორი დღის ვადა გვაქვს მოცემული აქაურობის დასაცლელად და დროს გვაკარგვინებენ. ტრაქტორით ჩამქონდა მასალა და წინ გადამიდგნენ, სამინისტროდან არიან მოსულები და გაჩერდიო. რას მიკეთებდნენ, მოსულები რომ იყვნენ?

მახაჭაშვილების მსგავსად, საკუთარ ვენახებსა და გაშენებული ხეხილის ბაღებს კარგავენ კორამვილებიც. აკაკი კორამვილს 5 ვენახი აქვს და მისი შვიდსულიანი ოჯახი მთლიანად ამ ვენახებზეა დამოკიდებული ფინანსურად. ახლა მათ ორი კოტეჯი რჩებათ შუა სოფელში, ყოველგვარი ნაკვეთის გარეშე. ეს არის ყველაფერი, რაც ხელისუფლებამ აუნაზღაურათ. დაპირება კი ბევრად მეტი მიიღო. თავად ხუმრობს კიდეც დაპირებებზე, მათთვის რომ მესმინა, ახლა ოთხსართულიანი სახლი უნდა მქონდეს თავისი საცურაო აუზებითო... გამწარებული მოსახლეობა ყველაფერს ანადგურებს, ოღონდ კი რუსები არ დაეპატრონონ მათ ქონებას. სახლებს საკუთარი ხელებით ანგრევენ, ჯართად მაინც ჩავაბარებთო... ხეხილს, ვისაც ნერვები ჰყოფნის, თავადვე ჩეხავს, მტერს მაინც არ შევარგებო...

დვანში ზოგიერთ ოჯახს საკუთარი დანგრეული სახლიდან შეგროვებული ჯართის ჩაბარება ძვირად დაუჯდა. მახაჭაშვილებმა 2008 წლის ომში დამწვარი სახლის ნანგრევები ჯართად ჩააბარეს და სანაცვლოდ 500 ლარი აიღეს. შემოსავალი, ბუნებრივია, დაფიქსირდა. ამის გამო კი მათ სოციალური დახმარება შეუწყდათ. მიზეზი სწორედ ეს 500 ლარი გახდა. ამას დაემატა სარდაფში ნაპოვნი რამდენიმე ქილა კომპოტი. სხვათა შორის, მახაჭაშვილის ოჯახი თავადაც ამ სარდაფში ცხოვრობს.

მახაჭაშვილი, დვანის მაცხოვრებელი:

– მინისტრის მოადგილე იყო მოსული, იმედი მოგვცა და დაგვპირდა, ყველაფერს გავაკეთებთ. რომ დაგეხმაროთო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენს ოჯახს სოციალური დახმარება მოუხსნეს. ჩვენს სოფელში ბევრი ისეთი ოჯახი იღებს დახმარებას, ვისაც არ ეკუთვნის, ჩვენ კი მოგვიხსნეს. აპრილიდან აღარ ამიღია არანაირი დახმარება.

– რატომ მოგიხსნეს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეპორტაჟი სოფელ დვანიდან

მოსახლეობა წინაპრების სახლებს საკუთარი ხელით ანგრევს

EXCLUSIVE

„ჩვენი მამების აშენებულ სახლებს ჩვენივე ხელით გვანგრევინებენ“

– სახლი მე არ მაქვს, არაფერი არ არის ჩემი, შეკედლებული ვარ ამ ოჯახს. რომ წავიდე, სად წავიდე? სახლი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაგვეწვა. იმ დამწვარი სახლიდან ჯართი შევაგროვეთ და ჩავაბარეთ. 500 ლარი ავიღე და ოპერაცია გავიკეთე. ეს ფული დაფიქსირდა და გვითხრეს, გილოცავთ, შემოსავალი გაგჩენიათო და დახმარება შეგვიწყვიტეს.

ბესარიონ ბერძენიშვილს ორსართულიანი სახლი ბაბუამ ანდერძით დაუტოვა თავისი ასწლიანი კაკლის ხით. პირველად ეს სახლი გიორგის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაუწვა მტერმა, მაშინ სანაცვლოდ არავინ არაფერი აუნაზღაურა. დღეს კი ამ დამწვარ შენობას ისევ ის რუსები ართმევენ. სწორედ ამიტომ გიორგიმ და მისმა ძმამ საკუთარი ხელით მოჭრეს ბაბუის დარგული ხე. შემოგვითვალეს, დაგვიცალეთ ეს ტერიტორიაო და ჩვენც ვცლით, უფრო სწორად ბაბუაჩემის დარგულ კაკლის ხეებს ვჭრით, კი მენანება, მაგრამ რუსებს არ დავუტოვებთო... მათგან განსხვავებით თინიკო მამაგულაშვილის მამამთილი გახარებულ ვენახს მაინც ვერ იმეტებს მოსაჭრელად. თინიკო ამბობს, რომ ამას ოჯახის დანარჩენი წევრებიც ვერ გააკეთებენ, მამამთილს გული გაუსკდებაო...

თინიკო მამაგულაშვილი, დვანის მაცხოვრებელი:

– აქამდე კი ვჩერდებოდით ამ სახლში, მაგრამ ახლა სახლის კართან რომ გაგვივლებენ მავთულხლართებს, მერე არ ვიცი. ორი მცირეწლოვანი ბავშვი მყავს და მეშინია. ნაკვეთის იმედზე ვიყავით და ახლა ამასაც გვართმევენ. ხახვი, ხილი მოგვყავდა და ამით ვცხოვრობდით. ახლა იქიდან გვერეკებიან და რით უნდა ვიცხოვროთ, არ ვიცი. აქამდეც გვეშინოდა, ეზოში გამოსვლისას სულ ვხედავდით რუსებს, მთაზე დგანან და გვიყურებენ. ჩვენი ბოსტანი, ხეხილის ბაღი, სიმინდი – ყველაფერი წართმეულ ზოლში ყვება. გამწარებულმა ხალხმა თავად მოჭრა ძირში გახარებული ხეები. ჩვენც ისე გვრჩება უამრავი ვაშლი, რომელიც ჯერ დამწიფებული არ არის, დაკრეფას აზრი არ აქვს, ეს რომ მოვჭრათ, ჩემი მამამთილი გულის შეტევას მიიღებს. მისი გახარებულია ყველა ხე.

ამ ადამიანებისთვის პოლიტიკა ცხოვრებაზე მეტია. ისინი პოლიტიკას ეწირებიან და თან არც არავინ უხსნით, საით მიდიან. ეს კითხვა ყველაზე მეტად სწორედ საზღვრისპირა მოსახლეობას აინტერესებს. იქ მუდმივად ჩადიან მოქმედი მინისტრები, ჩინოვნიკები, ოპოზიციაც, მაგრამ არასდროს არავინ სიმართლეს არ ეუბნებათ. ამასაც თავად ხვდებიან. ამბობენ, რომ პოლიტიკოსები ხან რას უკავშირებენ რუსების აგრესიას და ხან – რას, ზეპირად იციან თითოეული თანამდებობის პირის გამონათქვამი. არა იმიტომ, რომ უსუფაშვილის, ან ზაქარეიშვილის პოლიტიკური ორიენტაცია აინტერესებთ, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერმა განცხადებამ შეიძლება შედეგი სწორედ მათზე გამოიღოს...

უსაფრთხოება დვანში ნომერ პირველი პრობლემაა. პასუხისმგებელი ამ კუთხით ძალოვანი სტრუქტურაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები იქ გამუდმებით იმყოფებიან და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას ეხმარებიან, თუმცა დვანელებს ეს შიშს მაინც არ უხსნის. ამას კი წყლის, გაზისა და კიდევ ბევრი სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემა ემატებათ. გამგებლის განცხადებით, პრობლემებზე მსჯელობა მთავრობაში მიმდინარეობს და ყველა მათგანის გადაჭრა იგეგმება...

ზაზა გულიაშვილი, გამგებელი:

– ჰქონდათ გაზის პრობლემა, თუმცა სახელმწიფომ პრიორიტეტი მიანიჭა საზღვრისპირა სოფლებს. უკვე გადაწყდა, რომ დვანში მალე დაიწყება გაზის შემოყვანა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყალი. ეს საკითხი დავაყენეთ რეინტეგრაციის მინისტრთანაც და რეგიონალური განვითარების სამინისტროსთანაც. დარწმუნებული ვარ, ზომებს მიიღებენ. ჩვენ მოსახლეობას ვეხმარებით, რომ მოსავალი დააბინაოს.

– უსაფრთხოება არ არის პრობლემა?

– დანარჩენ საკითხებზე ჩვენ ყოველ საათში შეხება და კავშირი გვაქვს მოსახლეობასთან, მობილიზებულები არიან პოლიციის ძალები. მოსახლეობა არსად წასვლას არ აპირებს, სად უნდა წავიდნენ? არსად არავინ არ წავა, მყარად არიან და ასევე, აპირებენ ყოფნას.

რაც მთავარია, არავინ იცის, როდის ან სად დასრულდება ოკუპირება. არ არის გამორიცხული, ხვალ და ზეგ რუსებმა ოსების მეშვეობით დამატებითი 70 ან 100 მეტრის დაცლა მოითხოვონ. ამაზე ადგილობრივები ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა ყველაზე მეტად სწორედ ეს აშინებთ. რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ პროცესის შეჩერებას ცდილობენ, თუმცა არაადეკვატურ რუსეთთან დიალოგი რომ რთულია, ეს ივანიშვილის მთავრობამ უკვე აღიარა. შესაბამისად, კონკრეტულად რა ქმედებებით მოხდება ოკუპირების შეჩერება, ეს ჯერჯერობით არავინ იცის. მათ შორის არც შესაბამისმა უწყებამ. ზაქარეიშვილი ჯერ მხოლოდ იმის გაანალიზებაშია, რამ გამოიწვია საოკუპაციო ხაზის გადმოწევა. ვერსიებზე მომუშავე მინისტრი ხან სოჭის ოლიმპიადას ასახელებს მთავარ მიზეზად და ხანაც საპრეზიდენტო არჩევნებს. ამასობაში კი მახაჭაშვილებს მავთულხლართებს პირდაპირ სახლის კართან უტარებენ... იმის იქით კი ოჯახის ვენახი, ბოსტანი და რაც მთავარია, შემოსავლის წყარო რჩება...

ქეთი ციხელაშვილი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:

– ეს არის ოკუპაციის გაგრძელება. ისინი მიყვებიან საოკუპაციო ზოლს და ამაგრებენ ღობეებითა და მავთულხლართებით, ეს ძალიან სამარცხვინო საქციელია. აფხაზეთის შემთხვევაში მიწათხრილები და კედლები აქვთ აშენებული. რაც მთავარია, ეს პრობლემას უქმნის მოსახლეობას, მათ არ ეძლევათ გადაადგილების საშუალება. მაცხოვრებლებს დამატებითი პრობლემები ექმნებათ საკუთარ ხეხილის ბაღებში გადაადგილებაზე. დეტალური ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მათ მოახდინონ რეაგირება და ეს გახდეს რუსეთზე მუდმივი ზეწოლის საშუალება.

– პრემიერმა რუსეთის მხრიდან მავთულხლართების გაბმა სოჭის ოლიმპიადას დაუკავშირა. გარდა ამისა, ერთი თვე დარჩა საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ფიქრობთ თუ არა, რომ რუსეთი კიდევ უფრო გააქტიურდება ამ პერიოდში?

– ფაქტი არის ის, რომ ჩვენ ამ პროცესს ვუყურებთ 2009 წლის შემოდგომიდან. საოკუპაციო ხაზი დღეს უკვე 35 კილომეტრით არის გადმოწეული. ამის ნახევარი 2012 წლის პირველ ნახევრამდე იყო გადმოწეული. შემდგომ დაიწყო ახალი ფაზა. ერთ-ერთი ფაქტორი, როგორც ჩანს, ნამდვილად არის სოჭის ოლიმპიადა. ყოველ შემთხვევაში ეს ერთ-ერთ არგუმენტად გვესმის. ასევე ფაქტია, რომ ეს ყველაფერი ემთხვევა წინასაარჩევნო კამპანიას. მე მოვისმინე დავით უსუფაშვილის შეფასებები, რომელმაც ეს ყველაფერი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირა და მიმაჩნია, რომ გამორიცხული არ არის, მათი გააქტიურება სწორედ არჩევნებს უკავშირდებოდეს. რაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა უკავშირდებოდეს, ფაქტია, რომ რუსეთი მიჰყვება თავის საოკუპაციო გეგმას, რომელზეც წინასწარ განაცხადა. ჩვენი ამოცანაა, ამ პროცესს ხელი შევუშალოთ. ასევე, ჩვენი მიზანია, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, ეს ხალხი არ იყოს ამ სიტუაციის მძევალი. პრობლემის მოგვარებას სჭირდება დრო, ამ ხალხს კი პრობლემების მოგვარება სწორედ ახლა სჭირდება, რათა ამ მიწაზე გამაგრდნენ. ჩვენ გვინდა, რომ ეს ხალხი აქ ცხოვრობდეს და ამისთვის ხელი უნდა შევუწყოთ.

– მათ უსაფრთხოებაზე ვინ არის პასუხისმგებელი?

– აქ არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირის მონიტორების მისიაც აქაა განლაგებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ განვიხილავთ ასევე გზებს, როგორ უნდა გახდეს კიდევ უფრო ეფექტური ეს მისია.

სანამ მინისტრები, მათი მოადგილეები და მთავრობის ხელმძღვანელი რუსეთთან საერთო ენის გამონახვაზე ფიქრობს და კონფლიქტურ რეგიონებში მაცხოვრებლებს მხოლოდ დაპირებებით კვებავს, მანამ რუსეთის მხარე აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ადგილობრივ ქართველებთან. ისე, ყველას გვახსოვს პაატა ზაქარეიშვილის განცხადება, პირადად უნდა ველაპარაკოთ ოსებსა და აფხაზებს, თუ რაიმეს მიღწევა გვინდაო. ჰოდა, ზაქარეიშვილის მაგივრად ამას რუსები აკეთებენ წარმატებით, ოღონდ ქართველებთან. დვანელები ღიად ამბობენ, რომ „იქითა მხარე“ მათ ხშირად „ეპატიჟება“. როგორც ირკვევა, ქართველები ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაჰყავთ და უამრავ საოცნებო დაპირებას აძლევენ, იმ განსხვავებით, რომ მათ აუცილებლად შეასრულებენ. დაპირებები მაღალ პენსიას, საკუთარი სახლ-კარის აშენებასა და შეკეთებას და ბევრად უფრო დიდი ვენახების გაშენებას ეხება, თუმცა ერთი პირობით – ქართული პასპორტის რუსულ პასპორტზე გაცვლის შემთხვევაში. დვანელები მოღალატეები არ ვართ, მაგრამ ამ სოფელში ყველაფერი რუსების მხარეს რჩება, სოფლის ბირჟის გარდა და ისეთ ჭკუაზე ვართ, შეიძლება დავთანხმდეთ კიდეცო, ამბობენ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზურაბ ადეიშვილმა უნგრე

my View
მირიან გოქოლიშვილი

გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ ზურაბ ადეიშვილის შესახებ საზოგადოების ნაწილი დააბნია. სოციალურ ქსელებში ხუმრობდნენ კიდეც, მგონი, პრემიერ-მინისტრი საკუთარ მემკვიდრედ სწორედ ადეიშვილის დასახელებას გეგმავსო.

„სულ მაინტერესებდა მისი გაცნობა და ვერ მოვახერხე. სასამართლო, პროკურატურა და ყველაფერი მისი დალაგებულია. პოლიციაც მან დაულაგა მერაბიშვილს. მერაბიშვილი მეუბნებოდა, ნეტავ განახა, როგორ პარკეტზე ცხოვრობს ადეიშვილი და პირველი თაობის მობილურს იყენებსო, ისეთი პრინციპულია, სხვა ეთანხმება თუ არა ის ბიძინა ივანიშვილის შეფასებას და რა პროცედურებით ხდებოდა მისი პროკურორობის დროს ინტერპოლის წითელ ცირკულარში კონკრეტული დამნაშავის ჩასმა.

გია მეფარიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი:

– გამიჩნდა რამდენიმე კითხვა. ზურაბ ადეიშვილის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოეძიება საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს და ინტერპოლზე გადაცემა მისი ძებნის გამოცხადების მიზნით ამიტომ არ მოხერხდაო, ბრძანა ქალბატონმა თეამ. როდესაც ასეთ ინფორმაციას ისმენ, პროფესიონალს რამდენიმე კითხვა ავტომატურად გებადება, თუმცა მანამდე მინდა გითხრა, რომ ზურაბ ადეიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ. დიდი ხნის განმავლობაში ის ჩემი სტუდენტიც იყო, შემდეგ თანაშემწეც და მერე მოადგილე. შეიძლება ითქვას, რომ წარსულში საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაკავშირებს მასთან. პოლიტიკისა და ზნეობის საკითხებს არ შევეხები, მაგრამ მინდა კომენტარი გავაკეთო მოქმედი კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. იუსტიციის მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ ინტერპოლს არ ჰყოფნის მტკიცებულებები იმისთვის, რომ გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა. საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს იმპერატიულ წესს, რომ ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემა უნდა იყოს დაფუძნებული მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე. იგივე მოთხოვნას ითვალისწინებს საერთაშორისო სამართალიც. გამოდის, გამოძიებას არ ჰქონია საფუძველი, რომ ზურაბ ადეიშვილი 2012 წლის დეკემბერში პასუხისგებაში მიეცა საკმაოდ მძიმე მუხლებით ჩადენილი დანაშაულისთვის, მას ბრალი ედება, როგორც ვიცით, სისხლის სამართლის კოდექსის 3 მუხლით. თუკი არ არსებობს მტკიცებულებები, მაშინ რის საფუძველზე წაუყენა ბრალი პროკურატურამ, ან სასამართლომ რის საფუძველზე გასცა მისი დაპატიმრების სანქცია. გამოდის, რომ პროკურატურამაც და სასამართლომაც კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება მიიღო.

– და ზოგადად რამდენად ითხოვს ინტერპოლი მტკიცებულებებს პირის წითელ ცირკულარში ჩასმის მიზნით?

– აი, ეს უკვე სხვა საკითხია. რეალურად, ინტერპოლი პირის ძებნაზე დასმისთვის არანაირ მტკიცებულებებს არ საჭიროებს, მხოლოდ ინფორმაცია უნდა იქნეს მიწოდებული კონკრეტული ქვეყნის შესაბამისი უწყებების მხრიდან. აქედან გამომდინარე, ან არ ჰქონდათ საკმარისი მტკიცებულებები ადეიშვილის წინააღმდეგ, ან სხვა რაღაც ხდება ხომ? პირადად მე, არ დაგიმალავთ და ნამდვილად გაოცებული ვარ. თუ ყოფილი მინისტრი პასუხისგებაშია მიცემული მტკიცებულებების არარსებობის ფონზე, ეს იქნება ძალიან სერიოზული პრობლემა დღევანდელი მთავრობისთვის. 2012 წლის დეკემბერში მთავარი პროკურატურა უშუალოდ ექვემდებარებოდა იუსტიციის სამინისტროს.

– თქვენს პერიოდში თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ინტერპოლს უარი ეთქვა კონკრეტული პირის წითელ ცირკულარში ჩასმაზე?

– აქ უნდა გაიმიჯნოს ორი რამ: არსებობს რესპუბლიკური მასშტაბის ძებნა, როდესაც სახელმწიფო საკუთარი ტერიტორიის მასშტაბით აწარმოებს კონკრეტული პირის ძებნას, და როდესაც საზღვრის გადაკვეთის შემთხვევა ფიქსირდება, ქვეყანა მიმართავს ინტერპოლს, აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას და ითხოვს წითელ ცირკულარში ჩასმას. როდესაც მე ვიყავი გენერალური პროკურორი რა თქმა უნდა, მივმართავდით ხოლმე ინტერპოლს, თუმცა არ მახსენდება, რომ უარი მიგვეღო წითელ ცირკულარში ჩასმაზე, იყო შეიძლება რაღაც ტექნიკური უზუსტობები, რომელიც სწორდებოდა და ხელახლა ეგზავნებოდა ინტერპოლის ბიუროს. მაგრამ ეს არამც და არამც არ უკავშირდებოდა იმას, რომ რაიმე მტკიცებულებებს ითხოვდა ჩვენგან ინტერპოლი. მტკიცებულებები შეიძლება მოითხოვოს რომელიმე უცხო ქვეყანამ, როდესაც შენი მოქალაქე დააკავეს იქ და მის ექსტრადიციას ითხოვ.

– მაშინ, რატომ არ ცხადდება საერთაშორისო ძებნა ზურაბ ადეიშვილზე?

– აი, ეს ჩემთვისაც ამოცანად რჩება.

– რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ადეიშვილის ახალ სამსახურს უკავშირდებოდეს... მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის უნგრეთის პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა...

– თუ მან მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი, ეს სხვა საკითხია, მას ბუზს ვერავინ აუფრენს. თუ ეს ასეა, წესით, უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია შესაბამის უწყებებს, თუმცა აქ მეორე საკითხია საინტერესო – ხომ არ გახდა ადეიშვილი უნგრეთის მოქალაქე? ამ შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია. უნგრეთის კონსტიტუციით უნგრეთის მოქალაქის უცხო ქვეყნისთვის გადაცემა აკრძალულია, სხვათა შორის, იგივე წესი ვრცელდება საქართველოშიც. თუკი ადეიშვილი მართლაც მუშაობს უნგრეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ის ყოფილა სახელმწიფო ჩინოვნიკი, სახელმწიფო ჩინოვნიკი კი ვერ გახდებოდა, მოქალაქეობა რომ არ ჰქონდეს. ორი

რატომ არ სვამს ინტერპოლი იუსტიციის ექსმინისტრს წითელ ცირკულარში?

არაფრის გაგონება არ უნდაო. მე ამ ყველაფრის მჯერა და იმ იდეოლოგიამ და ერთი კაცის გადაწყვეტილებებმა ბევრი აიძულა, ისე მოქცეულიყო, როგორც შესაძლოა, არ უნდოდა“, – განაცხადა ივანიშვილმა ზურაბ ადეიშვილის შეფასებისას.

პრემიერის ამ განცხადებით, საზოგადოების ნაწილისთვის გასაგები გახდა, რატომ არ იძებნება ინტერპოლის ხაზით სააკაშვილის მთავრობის რუხი კარდინალი. მისცა თუ არა ივანიშვილმა იუსტიციის ყოფილ მინისტრს ხელშეუხებლობის გარანტია? ეს კითხვა საზოგადოებაში უკვე კარგა ხანს მუსირებს, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრა პრემიერის საკმაოდ პირდაპირმა განცხადებამ.

რა შემთხვევაში სვამს ინტერპოლის ცენტრალური ბიურო ამა თუ იმ პირს საერთაშორისო ძებნაზე? არსებობს თუ არა მტკიცებულებები ადეიშვილის წინააღმდეგ? ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ ყოფილ გენერალურ პროკურორს გია მეფარიშვილს ესაუბრა. გარდა იმისა, რომ მეფარიშვილი სამართლის დოქტორი გახლავთ, მას წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ზურაბ ადეიშვილთან, შესაბამისად, საინტერესოა,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თის მოქალაქეობა მიიღო?

„რეალურად, ინტერპოლი პირის ძებნაზე დასმისთვის არანაირ მტკიცებულებებს არ საჭიროებს, მხოლოდ ინფორმაცია უნდა იქნეს მიწოდებული“

EXCLUSIVE

„როგორც ჩანს, ადგილი აქვს, პოლიტიკურ გარიგებას“

ვარიანტია – ან თავშესაფარი მისცეს, როგორც პოლიტიკურ დევნილს, ან მიიღო უნგრეთის მოქალაქეობა. ამ ფონზე, როდესაც თეა წულუკიანი ინტერპოლისთვის გადასაცემ მტკიცებულებებზე საუბრობს, ეს ჩემში ცოტა გაკვირვებას იწვევს.

– ივანიშვილის განცხადებამ თუ გამოიწვია თქვენი გაკვირვება? გაგახსენებთ, რომ გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა ადეიშვილის მისამართით ბევრი კომპლიმენტი თქვა...

– არ დაგიმალავთ და მისმა განცხადებამ დამაბნია, თუმცა რაღაც შინაგანი რწმენა მქონდა, რომ ასეც იქნებოდა.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი თანამდების პირის სისხლის სამართლებრივი დევნის გაჭიანურება გარკვეული პოლიტიკური მოტივაციითაა ნაკარნახევი. ასე შემთხვევით არ ხდება ეს ყველაფერი. როგორც ჩანს, ადგილი აქვს, პოლიტიკურ გარიგებას. ეს არის ჩემი ეჭვი. ძალიან უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს ქალბატონ წულუკიანისა და ივანიშვილის განცხადებები.

– თქვენ საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ ადეიშვილთან...

– დიახ, ის იურიდიულ ფაკულტეტზე იყო ჩემი სტუდენტი. შემდეგ ვიყავით საქართველოს პარლამენტის საკონსულტაციო საბჭოს წევრები, შემდეგ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ზურა იყო ჩემი მოადგილე და პროკურატურის ორგანოებში ჩემი წასვლის შემდეგ ის გახდა კომიტეტის თავმჯდომარე. კარგად ვიცნობ მასაც, მის მეუღლესაც და მთლიანად ოჯახსაც. ის იყო უაღრესად შრომისმოყვარე და მიზანდასახული ადამიანი. მას შეუძლია ძალიან შრომატევადი სამუშაოს გაძღოლა.

– ანუ ივანიშვილს ეთანხმებით...

– შრომისმოყვარეობისა და პროფესიონალიზმის ნაწილში ვეთანხმები, სხვა საკითხია, რის სამსახურში ჩადგა თვითონ ზურაბი, ვის და რა იდეას ემსახურებოდა, თუმცა არასწორია სისხლის სამართლებრივ დევნაში მყოფ კაცზე პიროვნულ კონტექსტში ვისაუბრო და იმაზე, რა შეცდომები და დანაშაულები მიუძღვის მას.

P.S. მკითხველს შევახსენებ, რომ მთავარმა პროკურატურამ 2012 წლის 29 დეკემბერს იუსტიციის ყოფილ მინისტრს ბრალი ციხეში პატიმართა მიმართ დამამცირებელი მოპყრობის პროვოცირების საქმესთან დაკავშირებით წაუყენა. ზურაბ ადეიშვილმა საქართველო 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დატოვა, შესაბამისად, მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზებასა და დანაშაულთა პროვოცირებაში. საქმე ეხება არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, 18 სექტემბერს ციხის სკანდალის გახმაურებამდე რამდენიმე საათის წინსწრებით შსს-ს მიერ გავრცელებულ კადრებს, სადაც ციხის ორი თანამშრომელი პატიმარს სცემს საკანში. შსს-მ მაშინ განაცხადა, რომ ამ ქმედების პროვოცირება „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებული პატიმრის შეკვეთით განხორციელდა. თუმცა მთავარი პროკურატურის მტკიცებით, ეს კადრები ზურაბ ადეიშვილის ორგანიზებითა და დაკვეთით დაიდგა მას შემდეგ, რაც იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა სექტემბრის დასაწყისში მიიღო ინფორმაცია, რომ არსებობდა გლდანის ციხეში გადაღებული პატიმართა ცემისა და წამების ვიდეომასალა, რომელიც შესაძლოა, არჩევნების წინ გამოქვეყნებულიყო.

„17 სექტემბერს – სკანდალური კადრების გავრცელებამდე ერთი დღით ადრე, ადეიშვილმა თავის კაბინეტში დაიბარა მაშინდელი მთავარი პროკურორის მოადგილე დავით ჩხატარაშვილი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი დავით ჭაკუა. ადეიშვილმა ჭაკუას დაავალა გლდანის ციხეში წინასწარ შერჩეული პატიმრების მიმართ დამცირების, წამების, ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ორგანიზება და ამ ფაქტის ვიდეოგადაღება, რათა სკანდალური კადრების მოსალოდნელ გავრცელებამდე საზოგადოებას შექმნოდა აზრი, რომ ისინი არ შეეფერებოდა სინამდვილეს და გადაღებული იყო „ქართული ოცნების“ დავალებით, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, იმისთვის, რომ მაშინდელი ხელისუფლების იმიჯს ზიანი მისდგომოდა. ეს დავალება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომლის მონაწილეობით, 18 სექტემბერს გამთენიისას განხორციელდა ისე, რომ ერთ-ერთმა მონაწილემ, რომლის მიერ გადაღებული კადრები და ცრუ აღიარებითი ჩვენება თითქოსდა პატიმართა ცემა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების შეკვეთით ხდებოდა, შსს-მ 18 სექტემბერს გაავრცელა, წინასწარ იცოდა სამი თვით მისი მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ, რაც ასევე შეთანხმებული იყო ზურაბ ადეიშვილთან“, – განაცხადეს მთავარ პროკურატურაში, როდესაც ადეიშვილს ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს.

მას შემდეგ 9 თვე გავიდა, თუმცა იუსტიციის ექსმინისტრზე არათუ საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, არამედ ის წარმატებით აგრძელებს მაღალ თანამდებობაზე მუშაობას, ამჯერად უნგრეთის რესპუბლიკაში.

გია მეფარიშვილი: „როდესაც წულუკიანმა თქვა, რომ ინტერპოლს არ ჰყოფნის მტკიცებულებები ადეიშვილზე ძებნის გამოსაცხადებლად, გამოდის, რომ მას ბრალი უსაფუძვლოდ წაუყენეს, მტკიცებულებების გარეშე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



თამილა ლომიშვილი: „ძალიან მრცხვენია... მინდა ყველას ხმამაღლა მოვუხადო ბოდიში... ეს ურჩხული, მკვლელი კაცი ადამიანად ვაქციე...“

ნანა შონია

1993 წელს ლოთი ქობალიას მიერ ხობის ცენტრში მოკლული ქართველი ჟურნალისტის დათო ბოლქვაძის მკვლელობიდან **20** წლის თავზე ქობალიას მეგობარი ქალი, ყოფილი ჟურნალისტი თამილა ლომიშვილი „პრაიმტაიმთან“ დუმილს არღვევს და საზოგადოებას ბოდიშს უხდის. ქალი, რომელიც აქტიურად ედგა გვერდში ყოფილ გენერალს და აქტიურად მონაწილეობდა მისი დაცვის საქმეში, დღეს მის ცოდვებზე ხმამაღლა ალაპარაკდა. თამილა ლომიშვილს რომ ბევრი რამ აქვს ლოთი ქობალიასთვის გაკეთებული, ეს საზოგადოებას კარგად ახსოვს. განსაკუთრებით კი **1996** წელს დათო ბოლქვაძისა და მოკლული ბიჭების სასამართლო პროცესი, სადაც ამ ქალბატონმა ლოთი ქობალიას საიუბილეო ტორტი მიართვა და მოკლული ბიჭების მშობლების თვალწინ მისი მისამართით სითბო და ალერსი არ დაიშურა. ბოლქვაძის ოჯახი აქტიურად საუბრობდა ლომიშვილის საქმეებზე და იმაზე, თუ როგორ ახორციელებდა ის ზეწოლას ჟურნალისტის მკვლელობის საქმეში არსებულ ყველა მოწმეზე. მაშინაც კი, როდესაც ერთ-ერთმა მოწმემ მას სახლის კარი არ გაუღო, თამილა ლომიშვილმა სარკმლიდან გადაუგდო მუქარის წერილი და ჩვენების შეცვლისკენ მოუწოდა. სწორედ მის სახელს უკავშირდება ხმები დათო ბოლქვაძის ვითომ მაროდიორობის შესახებ, რომლის გასავრცელებლად თამილა ლომიშვილი ძალისხმევას არ იშურებდა. სწორედ ლომიშვილი მივიდა ხობში ჟურნალისტის მკვლელობის მეორე დღეს დაყაჩაღებულ ვინმე სვეტლანა ბუსკანძესთან და შეუთანხმდა, რომ ის ამ ყაჩაღობის ერთ-ერთ მონაწილედ დათო ბოლქვაძეს დაასახელებდა. ცრუ ინფორმაციის გავრცელება კი ლომიშვილმა სხვადასხვა მედიასაშუალებებშიც მოასწრო. მოგვიანებით თავად ამ მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა აღიარეს, რომ ისინი შეცდომაში ლომიშვილმა შეიყვანა. სასამართლო პროცესზე ხობის პროკურატურიდან გამოთხოვილი მასალებით კი დამტკიცდა, რომ დათო ბოლქვაძე ყაჩაღობის წინა დღეს – **28** ოქტომბერს მოკლეს.

„მეშინია, რომ ნებისმიერ წამს მომკლავს!“

დათოს დაღუპვის შემდეგ ოჯახს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ხობში, ზუსტად იმ დღეს, როდესაც ჟურნალისტი მოკლეს, ერთ-ერთი ოჯახის სარდაფში სამხედრო მოსამსახურე იმალებოდა, რომელიც ზუსტად აღწერდა ეზოში შემოსულ ორ ქალბატონს, რომლებიც სისხლიან კამუფლაჟს ისუფთავებდნენ.

მასპინძელმა ჰკითხა მათ, დაჭრილები ხომ არ ხართ, დახმარება ხომ არ გჭირდებათო? ერთ-ერთმა ქალბატონმა კი მიუგო: „სარდალმა თბილისელი ღორები დახოცა და მათი სისხლი შეგვესხაო“. როგორც შემდეგ ოჯახმა გაარკვია, ამ ქალბატონებიდან ერთ-ერთი თამილა ლომიშვილი იყო.

ამერიკის ახალი ამბების პროდიუსერთან ერთად პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად ხობში ჩასული ქართველი ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე იმ რეალობას ემსხვერპლა, რომელიც მან ადგილზე ნახა და გადაიღო. აფხაზების, ჩეჩნებისა და კაზაკების ტყვიას გადარჩენილი ქართველი ჟურნალისტი 1993 წელს სამეგრელოში, ხობის ცენტრში წამებით მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ კი ლოთი ქობალიამ დათოს ცხედრის დაკრძალვაზე უარი თქვა და მის გარემოცვას მოუწოდა, ცხედარი ღორებისთვის მიეცათ საჯიჯგნად. მოგვიანებით გარდაცვლილის ნეშტი ხობელმა მედდამ და კბილის ექიმმა მოიპარეს და ხობის საავადმყოფოს ეზოში ჩუმად დაკრძალეს. ცხედარს ოჯახმა დათოს სიკვდილიდან ცხრა დღის შემდეგ მიაგნო და თბილისში ჩამოასვენა. ამ საზარელი ფაქტიდან 20 წლის შემდეგ თამილა ლომიშვილი ხმამაღლა ამბობს, რომ ლოთი ქობალია მკვლელია, საზოგადოებასა და სამართალდამცველ ორგანოებს კი საკუთარი სიცოცხლის დაცვას სთხოვს.

რა ხდება ბოლქვაძის მკვლელობიდან 20 წლის თავზე და რა ვითარებაში უწევს თამილა ლომიშვილს დღეს ცხოვრება? „პრაიმტაიმს“ თამილა ლომიშვილი თავად ესაუბრება.

– დათო ბოლქვაძის საქმეზე აქტიურად ვიცავდი ლოთი ქობალიას, დღეს კი ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. არ მინდა ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი, რადგანაც ძალიან მრცხვენია. მინდა საზოგადოებს და ყველას ხმამაღლა მოვუხადო ბოდიში და უფალს შევთხოვ, მაპატიოს. მაპატიოს, რომ ყველა შევიყვანე შეცდომაში და ეს ურჩხული, მკვლელი კაცი ადამიანად ვაქციე. ყველას ვუხდი ამისთვის ბოდიშს და სახალხოდ ვამბობ, რომ მაპატიონ. მეტი როგორ უნდა მოვიქცე, რა უნდა ვქნა, აღარ ვიცი.

– მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება ამტკიცებდა, როგორ მოკლა ლოთი ქობალიამ დათო ბოლქვაძე, თქვენ მას გვერდში ედექით და ყველაფერს აკეთებდით, რომ მისთვის ეს დანაშაული არ დაემტკიცებინათ. დღეს ხმამაღლა ამბობთ, რომ ის მკვლელია. რა გაქვთ სათქმელი საზოგადოებისთვის 20 წლის შემდეგ?

– მე უშუალოდ დათოს მოკვლის მომენტი არ მინახავს და ვერ დავამტკიცებ, მან მოკლა თუ არ ეს ბიჭი. ჩემი გადმოსახედიდან კი ვიტყვი: ამხელა ამაგის შემდეგ მისი ქცევა ბევრ რამეზე მეტყველებს და არაფერი გამიკვირდება, რადგანაც მე მის მიმართ ყველანაირი რწმენა დავკარგე. მარტო ბოლქვაძეს კი არა, ეს ეხება პოლიტიკას, გამსახურდიას და ნებისმიერ სხვა საქმეს. დღეს ვუყურებ მის განსაკუთრებულ სისასტიკეს და ყველაფერი ეს საკუთარ თავზე რომ არ გამომეცადა, კიდევ არ დავიჯერებდი.

ჟურნალისტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა იმ პერიოდში თავზე მეხვია და აქტიურად ვუმკლავდებოდი ამას. როდესაც ის ციხიდან გამოვიდა, ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რადგანაც ამდენი წელი ველოდი მის განთავისუფლებას და ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ახალი ცხოვრება დაგვეწყო. პირველი ორი წელი არაგვიშავდა, მაგრამ მისი და ჩემი უბედურებაც იქიდან დაიწყო, როცა ანაკლიის ახლომდებარე ტერიტორიაზე იჯარით აიღო სასოფლო-სამეურნეო მიწები. მიწის გამოსყიდვა გააკეთა და ასობით ჰექტარი მიწა დაისაკუთრა. მისი ყოველწლიური გადასახადი კი ძალიან დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. თვითონ არ მუშაობდა და ფული არ ჰქონდა. გადიოდა დრო, მე გარკვეული დანაზოგი და მცირედი შემოსავალი მქონდა, ახლობლებსა და ნათესავებს ვთხოვდი და ვაძლევდი მას ამ თანხებს. მუხიანის აგარაკებზე მქონდა დიდი სახლი. ერთ დღესაც ლოთი და მისი შვილი ერთად ჩამოვიდნენ, მათ ორივეს საკუთარი მანქანები მოჰყავდათ გასაყიდად, რადგანაც იჯარის ფულს ვერ იხდიდნენ. ერთკვირიანი სიარულის მიუხედავად, ეს მანქანები ვერ გაყიდეს, დამწუხრებული იყვნენ და ძალიან შემეცოდნენ. ვიცოდი, რომ ერთ ჩემს ახლობელს სახლში 3 ათასი დოლარი ჰქონდა, წავედი და იმ პირობით გამოვართვი, რომ მანქანას გავყიდდით და დავუბრუნებდით. შევთანხმდით, რომ მანქანას

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲐ“

ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲗᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

EXCLUSIVE

„ყოველდღიურად ვუყურებ მის სისასტიკეს. მისი ყველას ეშინია. ამას წინათ რომ მცემდა, ყველა ხედავდა, მეთევზეები და მონადირეები, მაგრამ ვერავინ გაბედა მოსვლა, რადგანაც იციან, რომ ქობალია მკვლელია და იმათაც მოკლავდა“



ᲓᲐᲗᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ჩემს ეზოში დატოვებდნენ და გაიყიდებოდა. ფული რომ მივეცი, მითხრა, საღამოს მოვიყვან მანქანასო და წავიდა მის შვილთან ოჯახში, რომელიც ვარკეთილში ცხოვრობს. მოსაღამოდა, არავინ არ გამოჩნდა, ჩემს ზარებს კი მხოლოდ მეორე დღეს უპასუხა და მითხრა, რომ სამეგრელოში იყო უკვე. მითხრა, მანქანას ნაწილი გაუფუჭდა და სამეგრელოში წავედიო. ეს ყველაფერი გულზე მომხვდა, მაგრამ დიდი ამაგი მქონდა მასზე და ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე მომექცეოდა. ამასობაში დიდი დრო გავიდა, ყველა ვადა ამოიწურა და თანხა უნდა დამებრუნებინა. ვინაიდან არ მქონდა ფული, სახლი ჩავდე იპოთეკით სამი თვით. ვთხოვდი, ქუჩაში არ დამტოვო-მეთქი. სამი თვე გავიდა და პროცენტებს ვერ ვიხდიდი. იძულებული გავხდი, სახლი იპოთეკარებისთვის დამეთმო. ქუჩაში ვიყავი დარჩენილი და მის ნათესავებსაც ვუკავშირდებოდი. მოგვიანებით ამ ვაჟბატონმაც ინება და სამეგრელოში წამიყვანა. ველოდი, რომ იქ ნორმალური სახლი დამხვდებოდა. მითხრა, სანამ მიწებს გავყიდი და სახლს გიყიდი, აქ იყავიო და მეც დავთანხმდი. ადგილზე ჩასულს კი უღრან ტყეში, სოფელ ნარაზენში დამხვდა ბოსელი და ამ ბოსელში დღემდე მიწევს ცხოვრება. უახლოესი მეზობელი ჩემგან ერთ კილომეტრში ცხოვრობს. ადამიანები აქ სანადიროდ და სათევზაოდ თუ მოხვდებიან. მეც დავსახლდი, ცხოველები ძალიან მიყვარს, ძროხები მყავს და მეცხოველეობა დავიწყე. იცით, რა? მთავარი სახლის დაკარგვა არ არის, აქ მორალურ მდგომარეობაზეა საუბარი. ამხელა ამაგი ჩავდე მასში და როგორ დავუშვებდი, რომ ეს ადამიანი იყო ურჩხული. მართლა ურჩხულია. აქამდე ვინმეს ჩემთვის მასზე ცუდი რომ ეთქვა, თავს შევაკლავდი. მაგრამ დღეს ყოველდღიურად ვუყურებ მის სისასტიკეს. რომ ნახოთ, როგორ მცემს, შეგეშინდებათ. ყველას ეშინია. ამას წინათ რომ მცემდა, ყველა ხედავდა, მეთევზეები და მონადირეები, მაგრამ ვერავინ გაბედა მოსვლა, რადგანაც იციან, რომ ქობალია მკვლელია და იმათაც მოკლავდა. ამიტომაც ვერავინ ეკარება. სულ მამუშავებდა, ამხელა ფერმას ვუვლიდი და იმის საშუალებასაც არ მაძლევდა, რომ ჩემთვის ან საჭმელი მეყიდა ან ჩასაცმელი. მერე ერთმა მეზობელმა მირჩია, ჩუმად გადამალე ეს ყველი, ბაზარში წავიღებთ და გაგიყიდითო. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში და ასე ვაბარებდი მეზობლებს საჭმელს.

– ამდენი ხნის მანძილზე რატომ იყავით მასთან, რატომ არ სცადეთ მისგან წასვლა?

– ერთხელ მისი და მოვიდა ჩემთან, მას ვუყვებოდი ყველაფერს. ამიხირდა და შემომივარდა ნაჯახით, ის ქალი რომ არა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. მან ატეხა კივილი და გაჩერდა. მართლა მეშინია, რომ ნებისმიერ წამს მომკლავს! ამას წინათ ეზოში რაღაც რკინა ვერ იპოვა, მიმტკიცებდა, ალბათ, შენ მიეცი ვიღაცასო. თურმე ეზოში დიდ ბალახებში იყო ჩავარდნილი. შემომივარდა, ჯერ თმით მითრია, სახეში მუშტი ჩამცხო და ძირს რომ დავეცი, ისე მირტყა მუშტი და წიხლები, მთელი სახე შეშუპებული მქონდა. მივხვდი, რომ თავში ტრავმა მივიღე. ვკიოდი და ვერავინ გაბედა მოსვლა! ცემით რომ გული იჯერა, მიბრძანა, ადექიო! როგორც იქნა, მოვახერხე მისი ბრძანების შესრულება და ავდექი თუ არა, ხელმეორედ დამიშინა მუშტები და წიხლები! დავვარდი, გონება დავკარგე და მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოვახერხე ფეხზე წამოდგომა. სასწრაფოს გამოძახება მინდოდა, მთლიანად ვცახცახებდი. მიხვდა, რომ გამოვიძახებდი, შემოვიდა, დაჯდა და დამიწყო ყურება! მეუბნებოდა, რას აფერისტობო! იქვე ორლიტრიანი სარძევე იდო, რომელშიც წყალი ესხა და თავზე გადამასხა... მთელი ტანით ვცახცახებდი და ის მაწამებდა. ორი დღე დარჩა, რომ ჩემი წამებისთვის ეყურებინა. ორი დღის მერე წავიდა და მეც გამოვიძახე სასწრაფო. ექიმები რომ მოვიდნენ, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ზუგდიდში, ჭითაწყარის საავადმყოფოში გადამიყვანა, ტვინის შერყევა მქონდა მიღებული. ექიმი მიხვდა, რომ ნაცემი ვიყავი. საავადმყოფოში თანხა იყო გადასახდელი და ამიტომაც მედიკოსები ლოთის დაუკავშირდნენ. სასწრაფოდ მოვიდა, მესმოდა, როგორ ელაპარაკებოდა ექიმს მეგრულად, მაგრამ მეგრული არ მესმის და რაზე საუბრობდნენ, ვერ გავიგე. ცოტა ხანში ექიმი მოვიდა და მითხრა, ქალბატონო, თქვენ ხომ კიბიდან დავარდითო! ის ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატია და სამეგრელოში ჯერ კიდევ აქვს გავლენა, თავისი დანაშაულებრივი ქმედებები დამალოს. ორჯერ ვიყავი თბილისში გამოქცეული და ორივეჯერ გამიყიდა საქონელი. ჩემს საქმეზე ინფორმაცია აქვს ელენე თევდორაძეს და ის არაერთხელ დაუკავშირდა ლოთის. უთხრა, რომ თამილა ამ ყველაფერს საუბრობს და რამე რომ დაემართოს, პასუხი მოგეთხოვებაო. ეს ადამიანი არის მხეცი, რომელიც ყველაფერზე მიდის. გამწარებულია იმისგან, რომ ფული არ გააჩნია. ორგანიზაცია „მეომართა კავშირი“ აქვს, ახლა თბილისშია, ვიღაც ნაცნობები გამოძებნა და „ქართულ ოცნებაში“ აქტიურად ცდილობს შესვლას. მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში ერთვება და იმაზე უარესს იზამს, რაც გაუკეთებია. უკვე მივმართე სახალხო დამცველს, პოლიციას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რომ დამეხმარონ და მიიღონ ზომები, სანამ არ მოვუკლივარ. როგორც კი გაიგებს, რომ მე ეს ყველაფერი გავაკეთე, არ ვიცი, რა მოხდება. ამიტომაც მეშინია. ხმამაღლა ვამბობ – დაუცველი ვარ!

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რა ახალ ბრალდებას უმზადებს პ

გირგვლიანის მკვლელობაში გასამართლებულები პრეზიდენტმა ყალბი ბრძანებულებით შეინყალა?!

გია ალავიძე: ბაჩანა ახალაიას აუცილებლად წაუყენებენ ბრალს, ომის დროს ამ პატიმრების დაწესებულებიდან გაყვანის გამო

მარიამ ნადირაძე

ეს ადამიანი სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ორჯერ დააკავეს. პირველად ეს 2005 წელს მოხდა, როდესაც, როგორც თავად ახსოვს, მისი და აწ გარდაცვლილი პოლიციის მაღალჩინოსნის, დავით კეკუას ინტერესები გადაიკვეთა, მეორედ კი მისი დაკავებით ის ხალხი დაინტერესდა, რომლებიც გირგვლიანის გახმაურებულ საქმეში არცთუ ნათელი სახეებით იყვნენ წარმოდგენილნი. გია ალავიძე კი სწორედ ის ადამიანია, რომელმაც პირველი პატიმრობის შემდეგ ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილს გადასცა ვიდეომასალა, რამდენად კომფორტულ გარემოში იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული კუდ-ის ოთხი თანამშრომელი.

ის ამჟამად თავისუფლებაზეა და მხოლოდ მისი განთავისუფლების შემდეგ პროკურატურამ უკვე დაიწყო ძიება მისი პირველი დაკავების საქმესთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ განცხადება მან რამდენიმე თვის წინ, ჯერ კიდევ პატიმრობაში ყოფნის დროს გაუგზავნა სამართალდამცველებს. რაც შეეხება მეორე ბრალდებას, რომლის გამოც სააკაშვილის სასამართლომ მას შეკრებით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი პროკურატურას რეკომენდაციით მიმართავს, რომ ამის გარშემოც დაიწყონ გამოძიება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ობიექტური გამოძიების შემთხვევაში ამ ისტორიას პროკურატურის დღევანდელი არაერთი მაღალჩინოსანიც შეეწიროს.

„მატროსოვზე ალანიას დაჭერილი იყო იქ მყოფი პატიმრების 80 პროცენტი. თითქმის ყველაზე ჰქონდათ ფაილი. მერე „კაიფობდნენ“ – დაუძახებდნენ პატიმრებს და ეუბნებოდნენ, აი, როგორ გაგიჩალიჩეთო“

ასეა თუ ისე, დღეს გია ალავიძე „პრაიმტაიმის“ სტუმარია და უკვე გახმაურებული საქმეების გარშემო არაერთ სკანდალურ და აქამდე უცნობ დეტალსაც უმხელს.

– ეს ოთხი წელი ისე მოვიხადე, რომ აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდებიათ.

– ეს როგორ შეიძლება?

– საქმეში ეს არ დევს. 25 მაისს გავიდა კადრები ტელევიზიით და 29 მაისს რაღაც საქმე დადეს და ძებნა აქვთ გამოცხადებული. სულ ეს არის. სასამართლოში ერთი დღე საერთოდ მოიპარეს. ეს ის დღე იყო, როდესაც ჩვენება მივეცი ყველაფერზე. ამის ოქმში დაფიქსირება არავის აწყობდა და საერთოდ, ამოიღეს საქმიდან ეს დღე, თითქოს სასამართლო პროცესი საერთოდ არ ჩატარებულა. სამაგიეროდ სად-მა გასცა დოკუმენტი, რომ იმ დღეს ჩემი ბადრაგირება მოხდა.

– ეს საკმაოდ სერიოზული დანაშაულია, რასაც პროკურორიც გადაჰყვება და მოსამართლეც, ობიექტური გამოძიების შემთხვევაში.

– საქმეც ეს არის, ობიექტური გამოძიების შემთხვევაში... ვინც ამ საქმეზე პროკურორი იყო, ახლა გირგვლიანის საქმეს იძიებს. როცა შემხვდა, მითხრა, ჩემი ბრალი არ იყოო. არადა, 20 წლით გამიშვა ციხეში. ამათ ახლა როგორ უნდა ვენდო?

– ის ადამიანები, რომელთა ციხეში ცხოვრებაც თქვენ გაასაჯაროეთ, დაპატიმრების შემდეგ, პრაქტიკულად ისევ იქ დაგხვდათ?

– 12 აგვისტოს დამაკავეს და 3 სექტემბერს ისინი გაუშვეს. მერე ციხეში რაც მოხდა, ეს კიდევ ცალკე თემაა.

– ალბათ, ძალიან სასტიკად გაგისწორდნენ...

– რომ გითხრათ, მცემდნენ-მეთქი, მოგატყუებთ. თავი დავიჭირე, რომ ასე არ გამეხადა საქმე. ბევრ რამეს ვხედავდი, მაგრამ ჩემთვის ვიყავი. ჩემთან დაბალი რანგის ხალხი არ მოდიოდა. თუ ვინმე შემოდიოდა, ეს გაგა მკურნალიძე იყო. მანვე შემომთავაზა, შენყალებაზე დაწერე განცხადება, მაგრამ მერე საქართველო დატოვეო. ეს არჩევნებამდე ორი თვით ადრე მოხდა. უკვე ნათელი იყო, რომ ამათ დიდი ხნის დრო არ ჰქონდათ დარჩენილი. მერე ისეთი თემები და კადრები გამოვუშვი იმ დაწესებულებიდან, რომ მიხვდნენ, უკან არ დავიხევდი. თანაც სტრასბურგში გავუშვი ჩემი საქმე. ამ ყველაფრის მიუხედავად, სამწუხაროდ, პოლიტპატიმრებში ვერ მოვხვდი. გედევან ფოფხაძისგან წერილი მომივიდა, თქვენი საკითხი შემდეგ ეტაპზე გადაწყდებაო. ეს ეტაპი კი ჯერაც არ დასრულებულა.

– ვიცით, რომ თქვენი პირველი დაკავების ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო...

– მე მაშინ, 2005 წელს, მცემეს დათა ახალაიამ, ალანიამ, თოფურიძემ და აფციაურმა. მაშინ დამაკავეს 26 დეკემბერს. არც ხელი ამიფარებია და არც დამიყვირია. ამან უფრო გააცოფა ისინი და მალე დაღალა. ის ღამე იქ გამათენებინეს, 27 დეკემბერს გამომიშვეს დილის 5 საათზე. ვილაც სასტავი მოვიდა, წამიყვანეს საბურთალოს განყოფილებაში და გამაფორმეს. ამ პატიმრობის დროს გამოვითხოვე საქმე, რათა გამეგო, ფიქსირდებოდა თუ არა კუდ-ში ჩემი შეყვანა. შემიყვანეს 26 დეკემბერს 18:55 სთ-ზე, ალანიასთან საშვით და სავარაუდოდ, გავსულვარ 27-ში 16 საათსა და რაღაც წუთზე. ამ დროს დაკავების ოქმი გამოწერილია 27-ში იმ დროს, როცა მე შენობაში ვიყავი. დაკავება გააფორმებინეს რომელიღაც განყოფილებას, იმ დროს, როცა დოკუმენტებით მე უკვე მოდულში ვფიქსირდები. ერთი სიტყვით, უამრავი დარღვევაა ჩემს საქმეში. პრაქტიკულად იგივეა, რაც აზარაშვილს გაუკეთეს. მეორედ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, დამაკავეს მას შემდეგ, რაც ციხეში გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებულთა კომფორტული ყოფა-ცხოვრების შესახებ კადრები ტელევიზიით გავიდა.

– გამოთვალეს, რომ ამის ავტორი რეალურად შეიძლებოდა თქვენ ყოფილიყავით?

– დიახ. იმასაც მიხვდნენ, რომ სხვა ამას ვერავინ გააკეთებდა. ჩემი დაჭერისთვის მათ სხვა მიზეზიც ჰქონდათ. იმ დროისთვის მე უკვე მათი გამოყენებული პროცესორები მქონდა.

– ეს ძალიან საინტერესო ისტორიაა. ამბობთ, რომ მათი კომპიუტერების პროცესორების ციხიდან გამოტანა შეძელით. ეს როგორ მოახერხეთ?

– ეს პროცესორი ვიყიდე. მათ სხვას მიჰყიდეს. იმ სხვისგან კი მე შევიძინე. ის სხვა, ბუნებრივია, ჩემი მიგზავნილი იყო. იქ, ციხეშივე მოეწყო ისე, რომ თითქოს ერთ-ერთ პატიმარს ბავშვისთვის უნდოდა საჩუქრის გაკეთება. ისინიც წამოეგნენ.

– რა ფასად გაყიდეს?

– ჩვეულებრივ ფასად. 300-400 დოლარად.

– მარტო პროცესორი?

– არა, რა თქმა უნდა, მთელი აღჭურვილობით. გაყიდვამდე, ბუნებრივია, ფაილები წაშალეს, მაგრამ, მოგეხსენებათ, მათი აღდგენა დღეს სირთულეს არ წარმოადგენს.

– ეს მათ არ იცოდნენ?

– ამდენი გათვლა არ ჰქონდათ. თანაც ფიქრობდნენ, რომ სულ ხელისუფლებაში იქნებოდნენ. ამჟამად ერთი პროცესორი შსს-ს აქვს, მეორე – პროკურატურას.

– ხელისუფლების შეცვლამდე სად ინახავდით ამ პროცესორებს?

– ჯერ იმ ადამიანთან იყო, ვინც იყიდა, მერე ჩემი მეუღლის სახლში. ჩემს დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე სხვაგან გადავმალე. პირადად მე ერთი პროცესორი მქონდა. რაც შეეხება მეორეს, ის შემდეგ დაწესებულების დირექტორის კაბინეტიდან ამოიღეს, რომელიც პრაქტიკულად, ალანაიას სამუშაო კაბინეტიც იყო.

– ეს პროცესორები რა ინფორმაციას ინახავს?

– ყველაფერს ამათი საქმიანობის შესახებ. პრაქტიკულად, გირგვლიანის საქმეზე დაკავებულები, მატროსოვზე აგრძელებდნენ მუშაობას. მათთან შედიოდნენ თანამშრომლები, იქ იგეგმებოდა რაღაც ოპერაციები – ქონებრივი საკითხები, აგენტებთან მუშაობის თემა, ვინ რა მეთოდებით დაევერბოვკებინათ და ა.შ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა კი ის არის, რომ 2008 წელს ისინი გაიყვანეს და დასასვენებლად ჰყავდათ გაყვანილი ანტალიაში.

– ანტალიის ეგზოტიკური ფოტოებიც ჰქონდათ ამ კომპიუტერში?

– არა. კომპიუტერში ეს მასალა არ ინახებოდა. მე ვიცი, რომ ეს უკვე დადგენილი ფაქტია და ბაჩანა ახალაიას ამის გამოც წაუყენებენ ბრალს. ეს უკვე გამზადებული აქვთ, მე როგორც ვიცი.

– ვინ და ვინ იყვნენ წასულები დასასვენებლად?

– ალანია, ბუცხრიკიძე, ტაბაღუა (მატროსოვის დაწესებულების დირექტ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროკურატურა ბაჩანა ახალაიას?

„როგორც ვატყობ, აქ რაღაც დიდი თამაშებია, თორემ იმასაც კარგად ვხედავდი, პატიმრობის დროს ახალაიას მატროსოვზე სხვადასხვა მაღალჩინოსნები რომ აკითხავდნენ...“

EXCLUSIVE

ვინ იყვნენ ის პატიმრები, ვისთან ერთადაც დეპარტამენტის ყოფილი უფროსი 2008 წლის ომის შემდეგ ანტალიაში ისვენებდა?

ორი) და ბაჩანა ახალაია. ალანიას გარდა, სამივეს გვარი ფიქსირდება საზღვრიდან ამოღებულ დოკუმენტებში. რაც შეეხება ალანიას, მის მიერ იმ დროს თურქეთიდან განხორციელებული ზარები ფიქსირდება ერთ კონკრეტულ ადამიანთან.

– ამბობთ, რომ თქვენზე გაფორმებულ ტელეფონის ნომერს იყენებდნენ. ვისთან არის დაფიქსირებული ზარები?

– უამრავ მაღალჩინოსანთან. თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რასაც ახლა პირველად თქვენთან ვიტყვი. ისინი ლევან ბუხაიძის სახელზე გაფორმებულ ტელეფონის ნომერსაც იყენებდნენ.

– ოქროყანაში წართმეულს?

– საქმეც სწორედ ისაა, რომ მაშინ წართმეული ნომერი არ არის. ეს ამბავი არა მარტო გამოძიებას დაეხმარება, არამედ ბუხაიძის გახსნილობასაც. ბუხაიძეს აქვს მიზეზი იმისთვის, რომ არ იყოს გახსნილი.

– რას გულისხმობთ?

– მე რა უნდა ვიგულისხმო, თვითონ თქვა იმ ინციდენტის შემდეგ პირველივე დღეებში ადამიანმა, ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვსო. ბუხაიძის სახელზე გაფორმებულ ნომერს მერე მე ვიყენებდი.

– ეს როგორ მოხდა? თქვენს ხელში ეს როგორ აღმოჩნდა?

– ხშირად შევდიოდი მათთან. 6-7 თვე ისე ვიყენებდი ამ ნომერს, რომ არ ვიცოდი, ვისი იყო. ერთხელაც რომ შევედი და ავიღე მისი ყუთიდან ეს ბარათი, იქ ამოვიკითხე ლევან ბუხაიძე. ნომრის გაფორმების თარიღად კი ეწერა 2006 წლის 1-ლი ივლისი. ეს ის დროა, როცა ესენი უკვე დაჭერილები უნდა ყოფილიყვნენ. ნომერიც მახსოვს: „899 333...“ ეს ფურცელი მერე 2009 წელს გარეთ გამოვიტანე. ჩხრეკის დროს ამოიღეს და წაიღეს. თუმცა ასლი მქონდა და იმ ადამიანთან იყო, ვინც ახლა შავ ჯიპში ზის.

– ვის გულისხმობთ?

– ერთ-ერთ პოლიტიკოსს, რომელიც ჯერჯერობით არ მეჩვენება. ალბათ, ოდესმე სადმე გადავაწყდები.

– თქვენ, პრაქტიკულად, გირგვლიანის საქმეზე დამოუკიდებელ გამოძიებას აწარმოებთ. რა არის ის სხვა დეტალები, რომლებიც ჯერ არ გახმაურებულა?

– ბაჩანა ახალაიას აუცილებლად წაუყენებენ ბრალს, ომის დროს ამ პატიმრების დაწესებულებიდან გაყვანის გამო. სხვათა შორის, მაშინ, 2008-ში, როცა, ამ ოთხის გარდა, კიდევ 130 პატიმარს ჩააცვეს ფორმა და გასაყვანად ამზადებდნენ, მე მათ დავცინოდი, ვისი იმედი გაქვთ-მეთქი. როგორც ჩანს, ვიღაცამ მიუტანა მათ ენა და ამის გამო გამაკრიტეს. ჩვენს შორის მაშინ ძალიან დაიძაბა ურთიერთობა. ომის დროს, პრაქტიკულად სამი კვირის განმავლობაში, ოფიცერი არ შემოსულა. უპატრონოდ იყო ზონა დატოვებული. შუქები გაჩახჩახებული... საჰაერო დარტყმისთვის შესანიშნავი სამიზნე ვიყავით. როდესაც ესენი 2008 წლის ნოემბრის ბოლოს ძლივს შემოაბრუნეს ზონაში, მერე გამზადდა პრეზიდენტის შეწყალების შესახებ ბრძანებულება, რომელიც არსად არ არის რეგისტრირებული. ეს არ არის სამართლებრივი დოკუმენტი.

– რას გულისხმობთ?

– იმ დროს მეც შემიწყალეს. ჩემს შეწყალებაზე ბრძანებულების ნომერი იყო 767. ამათი კი – 768, სადაც პრეზიდენტი ამ ოთხ პატიმარს სასჯელს უნახევრებდა იმისთვის, რომ მერე „უდო“ ადვილად შეხებოდათ და კიდევ 300 დანარჩენ პატიმარს იწყალებდა, არსად არ არის რეგისტრირებული – არც სად-ში, არც იუსტიციაში, არც სახელმწიფო კანცელარიაში. ერთი სიტყვით, არსად. ამას გარდა, ამ დღეებში პროკურატურა ექსპერტიზას ნიშნავს იმ კომპიუტერებზე, რომლის შესახებაც უკვე გესაუბრეთ.

– და მაინც, რა მასალები ინახება იქ...

– ძირითადად მათი ცხოვრების შესახებ ციხეში. 7000 ფაილი იყო. ვერ დაიჯერებთ, ამათ იქ რისი გაკეთება შეეძლოთ. „კრებსი“ მოსდიოდათ ყოველდღე, დილის შვიდ საათზე, თათბირებს ატარებდნენ. ამ 7000 გაუხსნელ ფაილში ძირითადად ოპერატიული მასალა იყო – ვიღაც დაამანტაჟეს, გადმოიბირეს, ვიღაცას სასტუმროში დაუყენეს აპარატურა და ა.შ. შენახული ჰქონდათ ინფორმაცია სხვადასხვა ჩამორთმეულ თუ ჩამოსართმევ ქონებაზე. ჰქონდათ ინფორმაციები კონკრეტული პირების თანხების მოძრაობაზე – საბანკო გადარიცხვებზე.

– როგორ ახერხებდით ამ ინფორმაციასთან მიღწევას? უპრობლემოდ გსვამდნენ ასეთ კომპიუტერთან?

– როდესაც თავისუფალი იყო კომპიუტერი, მქონდა ამის შესაძლებლობა და შეძლებისდაგვარად ვახერხებდი დათვალიერებას. თუმცა ალანია აპროტესტებდა ამას. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, მართალია, საბოლოოდ ყველაზე დიდი გარეწარი ბიბილურიძე აღმოჩნდა მათ შორის, მაგრამ მაშინ მექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩადენილი საქმეები ყველაზე მეტად მას ანუხებდა და ის ნანობდა. მატროსოვზე ალანიას დაჭერილი იყო იქ მყოფი პატიმრების 80 პროცენტი. თითქმის ყველაზე ჰქონდათ ფაილი. მერე „კაიფობდნენ“ – დაუძახებდნენ პატიმრებს და ეუბნებოდნენ, აი, როგორ გაგიჩალიჩეთო. ვერ წარმოიდგენთ, რა გარეწრები იყვნენ. ალანია იყო ყველა სიბინძურის დამგეგმავი. ვითომ წყნარი ადამიანი იყო, ვითომ ლოცულობდა კიდეც, მაგრამ მხოლოდ ეშმაკმა იცოდა, რა იმალებოდა ამ ყველაფრის უკან.

– რამდენად ობიექტურად იძიებს ახლა პროკურატურა ამ საქმეებს, რომლის შესახებაც ინფორმაცია თქვენგან უხვად მიიღეს?

– როგორც ვატყობ, აქ რაღაც დიდი თამაშებია, თორემ იმასაც კარგად ვხედავდი, პატიმრობის დროს ახალაიას მატროსოვზე სხვადასხვა მაღალჩინოსნები რომ აკითხავდნენ...

– ვინ?

– ახლა არ ღირს ამაზე საუბარი.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამოძიებას ენდობით კიდეც და არც ენდობით...

– როგორც ვატყობ, ესენი ყველა მალე ჩამოიფერთხებიან, მავი მანქანებიდან არაფერი რომ არ უჩანთ.

– ამ განწყობის შემდეგ გასაკვირია, ასე მჭიდროდ მაშინ რატომ თანამშრომლობთ პროკურატურასთან?

– მერე რომ არ ჰქონდეთ თავის გასასამართლებელი რამე, ამიტომ ვაწვდი ინფორმაციებს მაქსიმალურად. თუ საქმეს ობიექტურად არ გამოიძიებენ, მათ სხვა საქმიდან შევუტრიალებ ყველაფერს, რომელსაც ვერსად გაექცევიან და თვითონ შეიძლება გახდნენ დასაჭერები, ვინც ახლა ატარებს გამოძიებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხუდონჰესი - ენერგოდამოუკიდებლობ

ექსპერტები გარდაუვალ კატასტროფაზე საუბრობენ

„ჩვენ ვერ გავხდებით სვანეთის მესაფლავეები!“


ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია

my View
თამარ გორთამაშვილი

ხაიში, გაღმა ხაიში, დაკარი და ტობარი - ეს ის ოთხი სვანური სოფელია, რომელიც მალე საქართველოს ადმინისტრაციულ რუკაზე აღარ იქნება - მას ხუდონჰესი დატბორავს. პროექტი, რომელიც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას ჰპირდება აზრთა სხვადასხაობის მიზეზი ხდება. დაპირისპირებამ ადგილობრივებსა და ინვესტორებს შორის გასულ კვირას პიკს მიაღწია. სვანებმა დაიფიცეს - „ვფიცავ, რომ მე და ჩემი ოჯახი არ დავიშურებთ ჭკუაგონებასა და ძალ-ღონეს, რათა ეს პროექტი არ განხორციელდეს და ყველა გადაწყვეტილებას ფიცისქვეშ მყოფნი მივიღებთ ერთობლივად“. „ ჩვენ ვერ გავხდებით სვანეთის მესაფლავეები!“ - ამბობენ ადგილობრივები. ამჟამად 90 ოჯახია დაფიცებული. ვინც სვანური ტრადიცია და ფიცის ძალა იცის, მიხვდება, რომ ეს პოზიცია შეუვალი და მტკიცეა. როგორც თავად ამბობენ, ისინი წარმოადგენენ უმრავლესობას იმ მოსახლეობისა, რომლებიც უშუალოდ წყალქვეშ ექცევიან.

ინდურ-ინგლისური კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ მდინარე ენგურზე 700 მეგავატიანი ჰესისა და 200 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენებლობას გეგმავს, რომლის შედეგად დაიტბორება 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია და, მათ შორის, რამდენიმე სოფელი, ასევე ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია და სასაფლაოს ტერიტორია.

ადგილობრივები ინვესტორს ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობენ, რაც იმავე ადგილას მაქსიმუმ 40-იანი კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებს, რომელიც სოფელს არ დატბორავს. არის სხვა შეთავაზებაც, შედარებით მაღალი კაშხლის მშენებლობა ხაიშს ზემოთ, მაგრამ არა ისეთის, როგორსაც ინვესტორი აპირებს. ხაიშელების განცხადებით, ამით სოფელი გადაშენებას გადაურჩება, ტაძარი და სასაფლაოც არ მოექცევა წყლის ქვეშ და ენერგეტიკის თვალსაზრისითაც თითქმის იმასვე მივიღებთ.

ადგილობრივებს ორი მოთხოვნა აქვთ - აშენდეს ისეთი სადგური, რომელიც მათ არ შეუქმნის პრობლემებს და მოხდეს მათთვის წართმეული, ჩუმად გადაფორმებული მიწების უკან დაბრუნება.

ადგილობრივთა ალტერნატიული შეთავაზების განხილვას არ აპირებს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“. რაც შეეხება მიწების საკითხს, კომპანიაში განმარტავენ, რომ ეს მიწები კომპანიამ მიიღო სახელმწიფოსგან და არა მოსახლეობისგან.

საუბარია მშენებლობის არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1 400 ჰექტარ მიწის ფართობზე. ხაიშელთა მტკიცებით, ეს მიწები მათი საკუთრება იყო, მაგრამ წინა ხელისუფლებამ ის ინვესტორს მათთან შეუთანხმებლად სიმბოლურ ფასად გადასცა.

ნინო ასათიანი („ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ წარმომადგენელი):

- „განხილვებზე შეტანილი იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისიის ანგარიშის წინასწარი ვერსია. კანონის მიხედვით განხილვების მერე გარემოს დაცვის სამინისტროს და ასევე დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეეძლოთ საკუთარი მოსაზრება გამოეგზავნათ. გარემოს დაცვის სამინისტრომ, ასევე რამდენიმე ორგანიზაციამაც, გამოგვიგზავნა შენიშვნები და კომენტარები, რის შემდეგაც მოხდება ამის გათვალისწინება და როგორც პროცედურა ითვალისწინებს, არაუგვიანეს ერთი წლისა (ბუნებრივია, ჩვენ უფრო ადრე შევიტანთ), საბოლოო ვერსია უნდა შევიტანოთ გარემოს დაცვის სამინისტროში ნებართვაზე და ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე. გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნები ეხებოდა ეკონომიკურ დასაბუთებას, სეისმურ თემატიკას, ძირითადად გარემოზე ზემოქმედების საკითხები იყო...


„80 კაცს აქვს დაფიცებული, 769 ადამიანი ყვება ამ პროექტის არეალში. მე მესმის, რომ ეს ძალიან მტკივნეული თემაა, მაგრა ყველაფერი მოლაპარაკებადია, ყველა საკითხი შეიძლება გადაიჭრას“

- რაც შეეხება განსახლების თემას, ეს როგორ უნდა გადაწყდეს?

- განსახლების თემა გარემოს დაცვასთან არაა კავშირში, სხვა კვლევის საგანია და ჩვენ ამისთვის დავიქირავეთ კანადური კომპანია, რომელსაც 30-წლიანი გამოცდილება აქვს, 70-მდე ქვეყანაში დიდი კაშხლებისა და გაზსადენების, თუ ნავთობსადენების მშენებლობის დროს როგორ ხდებოდა განსახლება. პირველადი აღწერის მიხედვით 769 ადამიანი, 184 ოჯახი მოყვება განსახლების ტერიტორიაზე.

- ისინი კომპენსაციას მიიღებენ?

- სამწუხაროდ, საქართველოში განსახლების კანონმდებლობა არ არსებობს, შესაბამისად, ჩვენ საერთაშორისო გამოცდილებით უნდა ვისარგებლოდ. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, განსახლება მსოფლიო ბანკის სტანდარტებით განხორციელდება.

- ეს რას გულისხმობს?

- მოხდება ქონების აღწერა, ინვენტარიზაცია და ანაზღაურება. ახლა მეორე ფაზა ტარდება და ამის შემდეგ უშუალოდ მოსახლეობასთან მოლაპარაკებით მოხდება ანაზღაურება.

- თუ ეს შეთავაზება არსებობს თქვენი მხრიდან, მაშინ რატომ არის მოსახლეობა წინააღმდეგი?

- ისე გამოდის, რომ კომუნიკაციის ნაკლებობაა. მესმის, რომ ძალიან რთული სიტუაციაა. ძნელია, რომ ადამიანთან მიხვიდე და უთხრა, ქვეყანას სჭირდება და შენ ეს ნაბიჯი უნდა გადადგა. ამიტომ სახელმწიფოც უნდა ჩაერთოს ამ მოლაპარაკებებში. კიდევ ერთი მომენტია, მოსახლეობა ამბობს, რომ სახელმწიფომ ერთ დოლარად გადასცა ეს მინა კომპანიას. კი, რა თქმა უნდა, ეს ერთ დოლარად, სიმბოლურად მოხდა, მაგრამ ჩვენ იჯარით გვაქვს ეს მიწა აღებული და ყოველწლიურად მიწის გადასახადს ვიხდით. ეს მიწები არ იყო დარეგისტრირებული მოსახლეობაზე. ეს იყო სახელმწიფოს საკუთრებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვეუბნებით მოსახლეობას, რომ ჩვენ ამ მიწებს მათ დავურეგისტრირებთ რეესტრში, რომ მათ ჰქონდეთ საკუთრების დამადასტურებელი საბუთი იმისთვის, რომ მათ ფული გადავუხადოთ და გამოვისყიდოთ მათგან ეს მინა.

- და მაინც უარს იღებთ?

- ჯერჯერობით გადამწყვეტი უარი არ მიგვიღია. საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია არ არის.

- მათ დაიფიცეს, მოგეხსენებათ ალბათ მათი ტრადიციები, ეს რას ნიშნავს...

- მე ამ თემაზე არ გავაკეთებ კომენტარს. 80 კაცს აქვს დაფიცებული, 769 ადამიანი ყვება ამ პროექტის არეალში. მე მესმის, რომ ეს ძალიან მტკივნეული თემაა, მაგრა ყველაფერი მოლაპარაკებადია, ყველა საკითხი შეიძლება გადაიჭრას.

- ანუ ეს პროექტი ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელდება?

- ჩვენ არ გავქვს ასეთი პოზიცია. ეს პროექტი ქვეყნისთვის ძალიან საჭიროა და რადგან ქვეყანას ჰქონდა აღებული ასეთი კურსი, მან 2006 წლიდან დაიწყო შესწავლა, თუ რომელი ჰიდროენერგეტიკული პროექტები იქნებოდა მისაღები ქვეყნისთვის და დაიწყეს მუშაობა, რომ ინვესტორები მოეძებნათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც პირველ რიგში საქართველოს სჭირდება.

- ადგილობრივების ალტერნატიულ შემოთავაზებაზე რას იტყვით?

- ეს ასე მარტივი თემა არაა, ეს პროფესიონალების გასარკვევია. არ იფიქროთ, რომ ეს ალტერნატივები არ არის შესწავლილი. ამ პროექტის დამუშავება 30 წლის წინ დაიწყო, ამის შემდეგ 1992 წლიდან კვლევები მიმდინარეობდა, მხოლოდ ჩვენს კომპანიას კი არ ჩაუტარებია?!.. 21 ალტერნატივა იყო განხილული. არ აქვს მნიშვნელობა კაშხლის სიმაღლეს, პროექტი ხომ მომგებიანი უნდა იყოს... ჩვენ გვესმის ადგილობრივების წუხილი. ეს ძალიან სენსიტიური თემაა.

- ისინი საკუთარ კარმიდამოს იცავენ, იქნებ არ უნდათ სხვაგან გადასახლება?

- გასაგებია, მაგრამ ეს მოლაპარაკების თემაა. არც ეგრე ქუხს, როგორც ჩანს.

- რაც შეეხება ეკოლოგიას, არ არის რისკები ამ მხრივ?

- რისკები, რა თქმა უნდა, ყველა პროექტს ექნება ყოველთვის, მაგრამ იმიტომ არის 21-ე საუკუნე, რომ ყველა ეს ეკოლოგიური რისკები არის გათვალისწინებული და მინიმალიზებული. აბა, ამხელა კვლევები რატომ ტარდება? იმიტომ რომ ყველა შესაძლო რისკები, იგივე სეისმიკა, იგივე ღვარცოფები და სხვა, იყოს გათვალისწინებული. არის ერთი მომენტიც, იქ იმხელა ბეტონის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ას შენირული ოთხი სვანური სოფელი

„კატასტროფა გარდაუვალი იქნება. დღესაც არ ვიცით რა პროექტით ახორციელებენ, იმიტომ რომ პროექტირება ბოლომდე არ არის დასრულებული. უფრო სწორად, მონახაზიც კი არ ჩანს წარმოდგენილ დოკუნეტში“

რა დაუჯდება ინვესტორს სვანური ფიცის გატეხვა

EXCLUSIVE



შემავსებლებია გათვალისწინებული, რომ შეიძლება ამ ეტაპზე ხუდონჰესის მშენებლობა გადარჩენაც იყოს იმ ხეობის.

- როდის შეიტანთ გარემოს დაცვის სამინისტროში ხელახლა პროექტს, ნებართვის მისაღებად?

- ძალიან მალე შევიტანთ. რა შენიშვნებიც დაიწერა, მას კიდევ დამატებითი კვლევები სჭირდება, ჩავატარებთ ამ კვლევებს და შევიტანთ.

ხუდონჰესის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით კომენტარი ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემაც გააკეთა. კალაძის განცხადებით, ხუდონის პროექტი ერთ-ერთი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მშენებლობაც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

კახა კალაძე: „დიდი პრობლემა ამ პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებაა და ჩვენ, მთავრობა, ვიძლევით პირობას, რომ თითოეული იქ მაცხოვრებელი ადამიანის ინტერესებს გავითვალისწინებთ და ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც თითოეულ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს გაუხარდება“.

ხუდონჰესის პროექტს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრიც. 16 სექტემბერს „ბუახევიჰესის“ მშენებლობის საფუძვლის ჩაყრისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, თავად ავიდოდა ხაიში.

ბიძინა ივანიშვილი: „თუ საჭირო იქნება, მე თვითონ ვაპირებ ასვლას. ხაიში არის სოფელი და იცით, რომ გასახლება გვიწევს სოფლის. აბსოლუტურად თანავუგრძნობ თითოეულ მოსახლეს. იცოდეთ, რომ ამას მსოფლიო ბანკი აკეთებს, ეს კეთდება ძალიან ცივილიზებულად, ძალიან კარგი შემოსავალი ექნება თითოეულ ოჯახს. თუმცა, მაინც განცდები გასაგებია. შესაბამისად, თანაგრძნობას ვუცხადებ. მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ ისინი ქვეყნის მომავალს ეხმარებიან და ამისთვის იღებენ გარკვეულ მსხვერპლს. თუმცაღა, ანაზღაურება იქნება ძალიან ცივილიზებული და ძალიან ღირსეული. მე მივმართავდი და ვისარგებლებდი შემთხვევით, გაგებით მოეკიდნონ ჩვენი მეგობრები და ჩვენი საყვარელი ხალხი, ჩვენ მაქსიმალურად დავუდგებით გვერდით და მაქსიმალურად ავუნაზღაურებთ იმ ემოციურ დანაკარგს, მატერიალურად და ფინანსურად, რა თქმა უნდა.

პატრიარქის თხოვნა იყო ძალიან საინტერესო ზუსტად ხუდონჰესთან დაკავშირებით. ჩვენ თავში გვქონდა გარკვეული პოლემიკაც კი. მაგრამ სწრაფად გაიგო ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა, ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა შეჩერება, ჩვენ ბოლოში შევთანხმდით იმაზე, რომ ის აუხსნიდა მოსახლეობას, რომ აუცილებელია ასეთი ჰესების მშენებლობა. ჩვენ, გარდა იმისა, რომ გვაქვს ლამაზი ბუნება, ჩვენ კარგად უნდა გავიგოთ, რომ მარტო ლამაზი ბუნება საკმარისი არაა კარგი ცხოვრებისათვის“.

მთავრობის ამ პოზიციისგან განსხვავებული მიდგომა და შეფასებები აქვთ ქართველ ექსპერტებს. გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი და საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე ამ ეტაპზე კაშხლის მშენებლობას დაუშვებლად მიიჩნევს და გარდაუვალ კატასტროფაზე საუბრობს.

ნინო ჩხობაძე: - „პირველ რიგში, ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ჯერ ის დოკუმენტი უნდა იყოს დახვეწილი, რომელიც იტყვის უნდა აშენდეს თუ არა იქ ხუდონი. იმ მგდომარეობაში, როგორც ის არის წარმოდგენილი, იმ პირობებით, ასეთი კაშხლის მშენებლობა ძალიან მაღალი რისკის მატარებელია. გარდა იმისა, რომ ხეობას დაემუქრება რისკები, თვითონ ჰიდროელექტროსადგურს და კვანძს შეიძლება დაემუქროს საფრთხე. ლაპარაკია იმაზე, რომ მარცხენაც და მარჯვენა ნაპირიც, რაზეც უნდა დამაგრდეს კაშხალი, არის არამდგრადი, ეროზირებულია. ამას დაემატა ისიც, რომ ბოლომდე არ არის წარმოდგენილი რა მდგომარეობაშია არსებული შენობები, რაც იქ დატოვებული იყო და არ იყო კონსერვირებული. ის, რომ თავის დროზე არ ჩატარდა კონსერვაცია ამ ობიექტის, ამან გამოიწვია სერიოზული პრობლემები და გამოიწვია ეროზიები.

- ანუ იმ ძველი ნაგებობის ბაზაზე უნდა აშენდეს?

- დიახ, ძველზე უნდა ააშენონ, ასეა წარმოდგენილი, ჩვენ დღეს თურმე ვიხილავთ ძველ პროექტს და არა ახალს და ის ძველი პროექტი ამ შემთხვევაში არის ძალიან სუსტი და გარემოს დაცვის კუთხით საერთოდ გაუმართლებელია. გარემოს დაცვა რომ გავნიოთ გვერდზე, თვითონ კონსტრუქციაზე ძალიან ბევრი კითხვაა დასმული. პრობლემა ის არის, რომ თვითონ იმ დოკუმენტში, გეოლოგები ამბობენ, რომ კიდევ დამატებითი კვლევებია ჩასატარებელი, იმიტომ რომ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა შიგნით, მით უმეტეს, როცა მთლიანად კაშხლის კონსტრუქცია შეიძლება შეიცვალოს.

ყველაზე მთავარი მომენტი, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის მოთხოვნებს, არის საუბარი ალტერნატივებზე. ალტერნატივები დღესდღეობით წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის. არც გეოლოგიაა წარმოდგენილ დოკუმენტში ისე, როგორც უნდა იყოს ასახული, გაკეთებულია მხოლოდ მათემატიკური მოდელირება და არ არის ფიზიკური მოდელირება. რამდენიც არ უნდა იძახოს ინვესტორმა, რომ ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა, უკაცრავად, მაგრამ როცა აშენებ ძალიან დიდი ღირებულების პროექტს, ამ შემთხვევაში ეს რისკი მაინც უნდა გასწიო და უნდა გააკეთო ფიზიკური მოდელირება. ფიზიკური მოდელირება გვიჩვენებს რა პრობლემები შეიძლება კაშხალს შეექმნას და ის, პირველ რიგში, აღმოაჩენს შეიძლება თუ არა საერთოდ ამ ტერიტორიაზე ასეთი ტიპის 200-მეტრიანი კაშხლის მშენებლობა.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ადგილას ასეთი ტიპის, ასეთი მაღალი კაშხლის მშენებლობა პრაქტიკულად შეუძლებელია. არა იმიტომ რომ ეს ჩვენი ახირებაა, არამედ იმიტომ, რომ მთელი ის მონაცემები, რაც ჩვენს ხელთ არის, ამბობენ იმას, რომ იქ ასეთი ტიპის კაშხლის აშენება არის ძალიან დიდი რისკის მატარებელი. რას შეიძლება დაემუქროს რისკი - მდინარის ზედა ნაწილში დარჩება ძალიან ბევრი სოფელი. იმათ გარდა ვისაც გაასახლებენ ამ მშენებლობის შედეგად, ზემოთ კიდევ არის ხალხი და ის ხალხი რჩება პრაქტიკულად არაფრით. მათ არ ექნებათ არც საძოვარი და აღმოჩნდებიან გაუსაძლის პირობებში. მიკროკლიმატი ნამდვილად შეიცვლება იმ ადგილზე, იმიტომ რომ ენგურის კაშხალმა უკვე შეცვალა იქ კლიმატი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თუ ყველაფერი არ იქნება გათვლილი, თუ გეოლოგია არ იქნება შესწავლილი, თუ ყველა ის პარამეტრი, რაც ეხება კონსტრუქციულ ნაწილს, დამცავ სისტემებს, რისკების შეფასებებს, თუ ეს ყველაფერი არ იქნება გაკეთებული, ასეთი პირობებით, ასეთი დოკუმენტით, რა თქმა უნდა, ამის აშენება საერთოდ შეუძლებელია.

აქ არის კიდევ მეორე - მოსახლეობის საკითხი. ძალიან გავრცელებულია აზრი, რომ თითქოს გარემოს დაცვა ეს არის ცალკე და მოსახლეობის საკითხი არის ცალკე. არ არის ეს სინამდვილეში ასე. ეს რომ ასე არ არის ამაზე მეტყველებს თუნდაც მსოფლიოში განხორციელებული ძალიან მსხვილი პროექტები, სადაც კეთდება გარემოს დაცვითი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. თანაც ეს ერთად კეთდება, იმიტომ რომ ძალიან მნიშვნელოვანია რა აზრის არის მოსახლეობა. როცა მოსახლეობა ადგილზე ამბობს, რომ მათთვის ეს არანაირად არ არის ხელსაყრელი, პირველ რიგში, მათი აზრია გასათვალისწინებელი. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს მსოფლიოში, როცა მოსახლეობის პროტესტის შედეგად ძალიან ბევრი დიდი პროექტი დაიხურა, სხვათა შორის ძალიან რენტაბელურიც. რენტაბელობის თვალსაზრისითაც ხუდონს აქვს პრობლემა.

- ინვესტორი კომპანია აცხადებს, რომ ჩატარდება დამატებითი კვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ შევა პროექტი ხელახლა გარემოს დაცვის სამინისტროში, ანუ ამბობენ, რომ ხარვეზებს გამოასწორებენ, ამ შემთხვევაში რა პრეტენზია გექნებათ?...

- ჩვენ ვამბობთ და მათ მიერვე დაქირავებულ კომპანიას უწერია, რომ კიდევ დამატებითი კვლევებია საჭირო. ბოლოს და ბოლოს ერთხელ მაინც ჩაატარონ ნორმალური კვლევა და გათვალონ შესაძლებელია თუ არა აშენება. ჩვენ სერიოზულად დავიბენით - თუ განხილვაზე წარმოდგენილ დოკუმენტში წერია, რომ საუბარია 200-მეტრიან კაშხალზე, მათ მიერვე დაქირავებული გეოლოგიური ჯგუფი ამბობს, რომ ამ ტერიტორიაზე 194 მეტრის ზემოთ კაშხლის მშენებლობა არ შეიძლება. ანუ უკვე ჩნდება ეჭვი, ეს ამბობს ერთს და გეოლოგები მეორეს, ანუ რაღაც პრობლემებია სერიოზული გეოლოგიაში, რამაც თავის დროზე გააჩერა ეს კაშხალი. ნუ ამბობენ ენერგეტიკოსები, რომ ვიღაცას სადმე პოლიტიკური მიზნებით ჰქონდა გადასროლილი ფული საბჭოთა კავშირის დროს, უბრალოდ, საბჭოთა კავშირის დროს აღმოჩნდა, რომ ძალიან სენსიტიურია, ძალიან მოწყვლადია მარცხენა ნაპირი და დღეს ჩვენ ვიცით, რომ არა მარტო მარცხენა ნაპირი არის პრობლემატური, არამედ მარჯვენაც, სადაც უნდა დამაგრდეს კაშხალი.

- თუ არსებული პროექტით განხორციელდება მშენებლობა რა მოხდება?

- კატასტროფა გარდაუვალი იქნება. დღესაც არ ვიცით ჩვენ რა პროექტით ახორციელებენ, იმიტომ რომ პროექტირება ბოლომდე არ არის დასრულებული. უფრო სწორად, მონახაზიც კი არ ჩანს წარმოდგენილ დოკუნეტში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში კი ყველაფერი უნდა იყოს. მას მინიმუმ უნდა ახლდეს ტექნიკური რეზიუმე, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ჩადებული ჩვენი კანონმდებლობით. საერთაშორისო კანონმდებლობით და პრაქტიკით კი იქ საერთოდ დამთავრებული უნდა იყოს პროექტირება და შემდეგ უნდა გაკეთდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება. მე არ ვლაპარაკობ მუშა ნახაზებზე, მე ვგულისხმობ ძირითად პარამეტრებს, რომელიც თავიდანვე უნდა იყოს ცნობილი. ჩვენი ექსპერტები ძალიან ბევრ კითხვას სვამენ იმის გამო, რომ კომპანიის მიერ დაქირავებულ გეოლოგიურ ჯგუფს უწერია სხვა ციფრი და გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წერია სხვა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ციფრია.

ხუდონჰესის მშენებლობა 30 წლის წინ დაიწყო, თუმცა 1989 წელს შეჩერდა. რა გახდა პროექტის გაჩერების მიზეზი, ამაზე სხვადასხვა ვერსიები არსებობს. ერთნი ირწმუნებიან, რომ პროექტი ვეღარ დაფინანსდა, სხვათა აზრით კი მშენებლობა გეოლოგიური პრობლემების გამო შეჩერდა, რომელიც სამუშაოების დაწყებისთანავე გაჩნდა. ექსპერტთა შეფასებით, დღეს ამ ბაზაზე კაშხლის მშენებლობა, არა მარტო ეკოლოგიურ რისკებს შეიცავს, არამედ ნებისმიერი მიწისძვრის, ან მეწყერის შემთხვევაში, შესაძლოა სერიოზული ტრაგედიის მიზეზი გახდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები და კოორდინატორები სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმდნენ?!



მარიამ ნადირაძე

ციხეების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი კვლავაც არ ცხრება. ზოგის მეხსიერებას ჯერაც არ განელებია სასჯელაღსრულების სისტემაში უწინ გამეფებული სისასტიკე, ზოგი კი ახალ ხელმძღვანელობას აკრიტიკებს, საკადრო პოლიტიკისა და „მაყურებლებთან“ გაბმული სიამტკბილობის გამო.

„პრაიმტაიმის“ ახლანდელი რესპონდენტი წლების განმავლობაში მუშაობდა ამ სისტემაში და შესაბამისად, ვფიქრობთ, მასთან დიალოგი საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისთვის.

იმედო ქორჩილავა სისტემიდან პოლიტიკური მოტივით დაითხოვეს. მისი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ თურმე სამსახურში ოპოზიციურ ტელევიზიასა და გაზეთებს ეცნობოდა. დანარჩენს კი ჩვენს მკითხველს ის თავად უამბობს:

– თავიდან ვიყავი რიგითი. ამ სისტემაში მუშაობა 2003 წლიდან დავიწყე. 2005-დან ვიყავი ოფიცერი. მუშაობა დავიწყე ყარაულის უფროსი თანაშემწიდან და ბოლოს ვიყავი რეჟიმის უფროსი ინსპექტორი. სხვადასხვა დაწესებულებებში ვმუშაობდი. დავიწყე მეხუთე დაწესებულებით, მერე გადავედი რუსთავის მეორეში, ისევ მეხუთეში, მერე მეექვსეში და ბოლოს მეჩვიდმეტეში, რუსთავის ყოფილი მეორე კოლონია. მეხუთე დაწესებულებაში მუშაობის დროს შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ პატიმრებს არ ურტყამდნენ.

– ეს რომელი დაწესებულებაა?

– ეს არის ორთაჭალის ყოფილი ციხე, რომელიც დაანგრიეს. იქ 2005-ის სექტემბრამდე ვიმუშავე.

– ბუნტის დროს სად იყავი?

– ყოფილ მეორეში. გარეთ ვიყავი, ყარაულის უფროსად. დღევანდელ მეჩვიდმეტეში. ის რომ დაიკეტა, ისევ გადმომიყვანეს მეხუთეში რეჟიმის ინსპექტორად.

– როდის დაიწყო ყველაზე სასტიკი პერიოდი ამ სისტემაში?

– 2007 წლის მარტი-აპრილი იყო, მეექვსე დაწესებულებაში რომ გადავედი. იქ ხდებოდა საზიზღრობა, რომელსაც ვერ გავუძელი, სამ თვეში დავწერე პატაკი და სისტემიდან წამოვედი. 2008 წლის 1-ელ დეკემბერს დავიწყე მუშაობა რუსთავის მეჩვიდმეტეში. იქ პატიმრების მოყვანის დროს ხდებოდა საშინელებები. ჰკითხონ ნებისმიერ პატიმარს და ეტყვიან, რომ მათი მოყვანის დროს კორპუსიდან არ გავდიოდი და პატიმრების არც ერთ ე.წ. ეტაპს არ დავსწრებივარ.

– მეექვსეში რა „საზიზღრობები“ ხდებოდა?

– ყოველ საღამოს, მაშინ, როდესაც პატიმარს ეკუთვნის უწყვეტი ძილი, ღამის 2-3 საათზე ხდებოდა შევარდნები.

– ვინ უვარდებოდათ?

– ადმინისტრაციის ბრძანებით, თანამშრომლები უვარდებოდნენ პატიმრებს კამერებში, ატარებდნენ ე.წ. შმონებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ პატიმრებს. ნაცემ პატიმარს თუ გამოექომაგებოდი, ვთქვათ, წაქცეულს წამოაყენებდი, მაშინვე მოგვარდებოდნენ – ფულს იღებ, შეკრული ხარო. სრული საზიზღრობა იყო.

– ეს ყველაფერი ადმინისტრაციის ინიციატივით ხდებოდა, თუ ზემოდან იყო ასეთი დირექტივა?

– დეპარტამენტის უკითხავად ამას ვერავინ გაბედავდა. თუმცა, ჩვენ არავინ გვეტყოდა, ვისი ბრძანებით მოქმედებდნენ. მასიურად მიდიოდა ეს „შმონები“ ყველა კორპუსზე.

– ამისთვის სპეცრაზმი მოჰყავდათ?

– არა, ადგილობრივ თანამშრომლებს ავალებდნენ ამის გაკეთებას – აურიეთ, დაურიეთ ყველაფერი, საწოლი აუყირავეთ, ტანსაცმელები ამოუქექეთ, უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი შიში ყოველთვის უნდა ჰქონდეთო.

– ეს რამე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ხდებოდა?

– ეს ხდებოდა მხოლოდ ტერორის მიზნით. თუ რამე ოპერატიული ინფორმაცია არსებობდა, ეს ოპერატიულმა სამსახურმა 2-3 დღით ადრე იცოდა. ამ შემთხვევაში „შმონს“ ღამისთვის არ დებდნენ ხოლმე.

– შენც იყავი იმ ადამიანთა შორის, ვინც კამერებში შუაღამისას უვარდებოდა პატიმრებს?

– როცა შენს კორპუსზე უნდა ჩატარებულიყო ასეთი „შმონი“, გიბრძანებდნენ, რომ შესულიყავი. უარს თუ იტყოდი, გაგიშვებდნენ. მათ გაშვებას კი საკუთარი ნებით წამოსვლა სჯობდა. მე სამუდამოდ თავისუფლებააღკვეთილების კორპუსზე ვიყავი, მესამე კორპუსი იყო, ძველი შენობა.

– მაშინდელ სასჯელაღსრულების სისტემაზე ლეგენდები დადის. შმონების გარდა, გაცილებით მტკივნეულ ზეწოლებზე ჩივიან ყოფილი პატიმრები...

– წამების ფაქტებს პირადად მე არ შევსწრებივარ. ასეთი რამ რომ მენახა, დამერწმუნეთ, არ დავმალავდი. თუმცა, გამიგია, რომ სხვა დაწესებულებებში ხდებოდა კოშმარები. როდესაც ორთაჭალის ციხეში ვმუშაობდი, მაშინ თამაზ მელაძე იყო ციხის უფროსი. დეპარტამენტის უფროსი კი – ახალაია. გარწმუნებთ, ამ პერიოდში იქ მსგავსი არაფერი ხდებოდა. ორთაჭალაში, უბრალოდ, უმძიმესი სიტუაცია იყო იმ მხრივ, რომ ოცკაციან საკანში იყო 70, 80, 100 კაცი, მაგრამ მათ ტერორს ადგილი არ ჰქონია. თუ იყო ინფორმაცია, რომ სადღაც ტელეფონი იყო და ა.შ. მაშინ ე.წ. „პრავერკაზე“ შედიოდნენ და არა იმ დროს, როდესაც შესვლა აკრძალული იყო, ღამის საათებში. იყო შემთხვევები, სამი-ოთხი ტელეფონი გამოგვიტანია.

– ეს ტელეფონები სად მიგქონდათ?

– ეს ყველაფერი ადიოდა უფროსთან და მერე გადაჰქონდათ დეპარტამენტში.

– არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ამოღებული ტელეფონებით ვაჭრობდნენ და ფულს აკეთებდნენ...

– გამორიცხულია, ციხის უფროსს ეს ეკადრებინა. პირადად მე არ გამიგონია. შეიძლება ვინმე უნამუსო ციხის თანამშრომელს ერთი კამერიდან ამოელო და სხვა კამერაში გაეყიდა. ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ხელმძღვანელობა ამაში ვერ გაერეოდა.

– ამ დაწესებულებიდან შენი წამოსვლის მიზეზი ეს საერთო ტერორი იყო?

– რა თქმა უნდა. საერთოდ წამოვედი. არსად გადაყვანა არ მომითხოვია. 2008 წელს, 1-ელ დეკემბერს ისევ დავბრუნდი სისტემაში. რუსთავის მეჩვიდმეტე დაწესებულებაში მეხუთედან წასული თანამშრომლები იყვნენ. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ტერორი არ სიამოვნებთ და ამიტომ დავიწყე იქ მუშაობა. თუმცა, მოგვიანებით სიტუაცია იქაც დაიძაბა. პატიმრების მოყვანის შემდეგ „აღმზრდელობით სამუშაოებს“ ატარებდნენ.

– ეს რას ნიშნავს?

– ე.წ. ჭკუის სასწავლებელ ოპერაციას ატარებდნენ – გალაწუნებები და სხვა ამგვარი, ჭკვიანად რომ ყოფილიყვნენ.

– საუბრობ ე.წ. კარანტინის დაშლაზე, რომლის შესახებაც საზოგადოებამ ცნობილი ციხის კადრებიდან შეიტყო?

– ვსაუბრობ ე.წ. ხეივანზე.

– ეს ტერმინი პირველად მესმის... და ამას ეძახი შენ გალაწუნებას?

– „ხეივანს“ ჩვენს დაწესებულებაში ნამდვილად არ აკეთებდნენ. ასეთი რამ კეთდებოდა ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც ახალი აშენებული იყო, ან ახალი გარემონტებული და პატიმრების მიღებაც ახალი დაწყებული იყო.

– როგორც ჩანს, „ხეივანი“ თქვენს სისტემაში დამკვიდრებული ტერმინია.

– კი, დამკვიდრებული ტერმინია.

– მერე როგორ შეიძლებოდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თავის დაწესებულებაში აეკრძალა ის, რაც დამკვიდრებული იყო სისტემაში? შენ ხომ ამბობ, ასეთი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აღსრულების ყოფილ თანამშრომელთან

იმედო ქორჩილავა

რამ ჩვენთან არ ხდებოდაო?

– ეს „ხეივანი“ ყოველდღიური ღონისძიება არ იყო. როგორც უკვე გითხარი, ასეთი რამ ახლად გახსნილ დაწესებულებებში ხდებოდა იმისთვის, რომ ახლად მოსულს გაეგო, სხვებმა რა „პარში“ გაიარეს და მათაც იგივე მოელოდათ.

– „ხეივანი“ გულისხმობდა პატიმრების ჩაყენებას თანამშრომელთა წრეში და ბლაგვი საგნებითა და წიხლებით ცემას?

– მყავს ნანახი „ხეივანში“ მონაწილე ხალხი, რომელსაც ხელფეხი ჰქონდა დასიებული რამდენიმე კვირის განმავლობაში პატიმრების ცემისგან.

– ასეთი თანამშრომლების შერჩევა როგორ ხდებოდა?

– როდესაც იხსნებოდა დაწესებულება, ყველა დაწესებულებიდან მიჰყავდათ თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი და აცხადებდნენ ყაზარმულ მდგომარეობას, ყველა სამსახურში რომ ყოფილიყო. იქედან ამოარჩევდნენ ისეთებს, რომლებიც ადმინისტრაციის მარჯვენა ხელი იყვნენ და მათი „კაპრიზების“ უბადლო შემსრულებლები. ჩემნაირებს იქ არავინ წაიყვანდა.

– ამ საქმისთვის შერჩეულებს რანგითაც არჩევდნენ?

– არა, ისინი სულით მდაბალი ადამიანები იყვნენ. ბევრი ჩემზე დაბალი იყო ჩინით. ასეთი დამსახურებებისთვის კი შემდეგ მათ ჩინებს უმატებდნენ. იმ დროს, როდესაც მართლა პროფესიონალებსა და უმაღლესი განათლების მქონე კადრებს ოფიცრობას არ აღირსებდნენ ხოლმე.

– შემსრულებლობა გამოიხატებოდა სადიზმში?

– ჯალათობაში... სამაგიეროდ იჩაგრებოდნენ ისინი, ვინც პატიმრობის კოდექსითა და იმ განაწესით ხელმძღვანელობდა, რომელიც კანონით იყო განსაზღვრული.

– პატიმრობის კოდექსისა და განაწესის კარგად ცოდნა თანამშრომლისთვის ერთგვარი დაცვა იყო? თუ გიბრძანებდნენ „ხეივანში“ ჩადგომას და უარს იტყოდი, არ დაგატოვებინებდნენ სამსახურს?

– აი, ამიტომ დამატოვებინეს სამსახური. მათ ჰყავდათ შერჩეული თანამშრომლები არა მარტო ამ „ხეივნებისთვის“, არამედ მიტინგების დასაშლელადაც.

– მიტინგების დასაშლელად თანამშრომლები ციხეებიდან გაჰყავდათ?

– კი, ციხეებში სპეციალური ჯგუფები იყო, სპეციალური ეკიპირებით – ფორმა, ფარები... ვაზიანში დაჰყავდათ სავარჯიშოდ. ოპერაციამდე ერთი კვირით, ან ათი დღით იქ მიჰყავდათ და ამზადებდნენ. ყველას დაურიგდა ფორმა და დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ გამოსაძახებლად.

– ამ აღჭურვილობით მათ ვინ ამარაგებდა – სად-ი, თუ შსს?

– ეს აღჭურვილობა სამსახურში ინახებოდა. ასეთი ათ-ათკაციანი ჯგუფები ყველა დაწესებულებას ჰყავდა.

– რა მონაცემებით არჩევდნენ მათ?

– დამსახურებითა და სანდოობით. პატიმრების ასაწიოკებლად კი – ლოტოტრონის წესით... მსჯელობდნენ, ამ საღამოს ვის შევუვარდეთო. ჰოდა, ასე, ღამის სამ საათზე შევიდოდნენ და ისე აურევდნენ ყველაფერს, რომ პატიმრები ორი-სამი თვე ვერ აწყობდნენ, ვერ ალაგებდნენ კამერას. მაგალითად, გადიოდა ფეხბურთი და რომელიმე პატიმარი ხმამაღლა იტყოდა – გოოოოლ! ესენი გაბრაზებულზე შევარდებოდნენ კამერაში და დალეწავდნენ იქაურობას. რადიო „ლარიოკებში“ იყიდებოდა. იყიდდნენ პატიმრები და მერე ესენი ჩამოართმევდნენ.

– რატომ? აკრძალული ნივთი ხომ არ იყო?

– არა, არ იყო აკრძალული. ასეთი ნივთების წართმევა ასეთი თანამშრომლების უბრალო ახირება იყო. ეს იყო დატერორებისა და დაშინებისთვის კარგი მიზეზი. თუმცა, „მაყურებლებთან“ ტელევიზორები რჩებოდა, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

– „მაყურებლები“?! ამბობენ, რომ მაშინ ეს ინსტიტუტი არ არსებობდა...

– „მაყურებელი“ ყველა კამერასა და კორპუსს ჰყავდა. მაგრამ ისინი იყვნენ ადმინისტრაციისგან დანიშნული მაყურებლები. ეს ინსტიტუტი არ იყო მხოლოდ რუსთავის მეექვსე დაწესებულებაში, სადაც სამი თვე ვიმუშავე. სხვაგან ყველგან იყო. შემიძლია კონკრეტულად გვარებით დავასახელო ეს ადამიანები. ადმინისტრაციას მათთან ჰქონდა მეგობრული დამოკიდებულება. „დატასაობდნენ“, სადაც უნდოდათ და როცა უნდოდათ. რეჟიმის უფროსს ვინ ჰკითხავდა კამერიდან კამერაში კაცის გადაყვანას? პატიმარი იქ გადაჰყავდათ, სადაც „მაყურებელი“ იტყოდა.

– ეს სიამტკბილობა როგორ აეწყო?

– ადმინისტრაციამ ასეთი „მაყურებლები“ პატიმრების სამართავად დანიშნა, როგორც ეს თავის დროზე სტალინმა გააკეთა. რა საჭირო იყო „მაყურებელი“ ციხეში, როდესაც არის თანამშრომელი? რასაც ის მუშტით და ფულის შეწერით წყვეტს, მე კოდექსით უნდა გავაკეთო ეს, როდესაც სისტემის თანამშრომელი ვარ. საკანში რომ შეხვალთ, იქ იმდენი პატიმარია... ზოგი მართლა გამოუსწორებელი დამნაშავეა. მათ ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკო და რაში მჭირდება მე ამისთვის „მაყურებელი“?

– რამდენადაც ვიცი, იქ თანამშრომლებზეც მიდიოდა თვალთვალი...

– ეს სიმართლეა. პირადად მე დამიყენეს კამერა მოსასვენებელ ოთახში. ამით აღმოაჩინეს, რომ ოპოზიციურ არხებს ვუყურებდი და ოპოზიციურ გაზეთებს ვკითხულობდი. მერე ადმინისტრაციაში ვიღაცას მიუტანია ინფორმაცია, ზვიად ძიძიგურს მისცა ხმაო. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მომთხოვეს სამსახურის დატოვება. კაი დედის შვილი იყავი და არ დაწერდი პატაკს და არ წახვიდოდი. დამემუქრნენ, ბიჭები გყავსო. ერთ წამში გავუჩალიჩებთ ნარკოტიკებსო...

– ასე ვინ დაგემუქრა?

– უშუალოდ ციხის უფროსი, ლაშა ბრეგაძე. როგორც ვიცი, მასთან გაგა მკურნალიძე ყოფილა მისული. უცებ გადაუწყვეტიათ ჩემი ბედი.

– მართლა ასე იყო? მართლა ოპოზიციურად იყავი განწყობილი?

– მე მქონდა ჩემი აზრი და გამოვთქვამდი უკმაყოფილებას იმ ხელისუფლების მიმართ. ყველა მიტინგზე დავდიოდი. ახლა რომ ამბობენ, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გამო ხალხს სამსახურიდან უშვებენო, ამის შესახებ ერთ ფაქტს გეტყვი, მაგრამ სახელებისა და გვარების დასახელებას ნუ მომთხოვ: 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, სასჯელაღსრულების სისტემაში სამუშაოდ ამის შემდეგ მიიღეს ნაციონალები. მათგან ბევრი იყო ყოფილი კოორდინატორი, აქტივისტი... მე კი დღესაც ვერ ვბრუნდები. არაერთი განცხადება დავწერე და გავაგზავნე. აღმოჩნდა, რომ უაზროდ. ლოტოტრონის პრინციპია? მე სამსახურში მიღებას კი არა, აღდგენას ვითხოვ. დღეს სასჯელაღსრულების სისტემაში ის ხალხი მუშაობს და თანაც, გაორმაგებული ხელფასით, ვინც ჩემზე და ჩემნაირებზე ინფორმაციებს აგროვებდა. ჩემი ათსულიანი ოჯახი კი დედაჩემის პენსიით ვცხოვრობთ და ჩვენს სახლში შპალერები იმ ზომაზეა შეჭმული, სადამდეც ვწვდებით. ახლა ვფიქრობ, რა აზრი ჰქონდა ჩემი და ჩემი შვილების ბრძოლას, როცა ყველა, ვინც მე მებრძოდა, არხეინად ცხოვრობს. მაშინ უსაფრთხოების უფროსმა, ლევან პაჭკორიამ პირდაპირ მითხრა, ახლა გაგიშვებ და ძიძიგურმა და „გრეჩიხამ“ მოგცენ ხელფასიო. ვინც ჩვენი არ არის, ჩვენთან არ არისო!

– დღეს ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ხშირად სტუმრობდა ბაჩანა ახალაია არაფხიზელ მდგომარეობაში და პატიმრებს თავად უსწორდებოდა...

– ასეთი რამ პირადად მე არ მინახავს. თუმცა ჩემთან მოუყვანიათ პატიმრები სხვა დაწესებულებიდან, რომლებიც ყვებოდნენ, როგორ მოტეხა ახალაიამ ფეხი, ან როგორ გაუსწორდა მას დეპარტამენტის უფროსი პირადად.

– ძალიან საინტერესო თემაა ნარკოტიკული საშუალებების მოძრაობაც ამ სისტემაში...

– იქ ნარკოტიკები ვერ შეაღწევდა. თუმცა, პატიმრები მასიურად იღებდნენ საძილე საშუალებებს, „ფენაზეპამსა“ და სხვა ამგვარს. ასეთ წამლებს არიგებდნენ პრობლემატური პატიმრებისთვის. თუ მას არ ეყოფოდა ერთი, აძლევდნენ ორს, სამს, რომ გათიშულიყვნენ და აღარავინ შეეწუხებინათ. ასეთ წამლებს ექიმი იძლეოდა. თუმცა, ამის მარაგი უფროსის კაბინეტში იყო და შესაძლოა, მათი გაცემა ციხის უფროსსა და „მაყურებელს“ შორის შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტილიყო.

– ე.ი. „მაყურებელს“ ამ შემთხვევაშიც შეეძლო პროტექციის გაწევა რომელიმე პატიმრისთვის?

– ეს მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. მეტიც, „მაყურებელი“ იქ ყველაფერს წყვეტდა. ახლა სოზარ სუბარს რომ აბრალებენ, თითქოს ეს ინსტიტუტი აღადგინა, ეს არც არასდროს გამქრალა სისტემაში და ამ ყველაფერს ისევ ნაციონალების ნარჩენები აკეთებენ. უფრო მეტსაც გეტყვით: როდესაც ჩემს აღდგენაზე შევიტანე განცხადება დეპარტამენტის უფროსისა და მინისტრის სახელზე, ჩემმა ახლობელმა მითხრა, თუ იქ მიუთითე, რომ თავის დროზე ოპოზიციონერობის გამო გაგიშვეს, ჩათვალე, შენი საქმე წასულიაო. ამ შენს განცხადებებს პირველ პირებამდე არავინ მიიტანს, რადგან სისტემა სავსეა მკურნალიძისა და ახალაიას კადრებითო. გამოდის, რომ სულ ტყუილად მივდიოდი რისკზე და სულ ტყუილად ვიცავდი ჩემს პრინციპებს ოპოზიციის მიტინგებზე. 26 მაისს სოსო ჯაჭვლიანთან, კურტანიძესთან, ჯაიანთან, გოგი ქავთარაძესთან ერთად ვიდექი, როცა გაგვიყვანეს და გვცემეს, წაგვიყვანეს ქალაქის სამმართველოში. ტელეფონი წამართვეს და ჯიბიდან 17 ლარი ამომიღეს იმ მათხოვრებმა. ვინც მე მცემა, ისინი სამსახურში არიან და მე ვცდილობ, თავი აღვიდგინო. ახლა ერთადერთი საპრეზიდენტო არჩევნების იმედი მაქვს, როდესაც საბოლოოდ მოშორდება ეს ნაციონალური ნარჩენები სახელისუფლებო სისტემას.

PRIME Time

გაზეთ „პრაიმტაიმის“ 23 სექტემბრის (N38) ნომერში 28-ე გვერდზე მოხდა ტექნიკური შეცდომა - კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის ზურაბ ბიგვავას ფოტოს ნაცვლად დაიბეჭდა სოციოლოგ ზურაბ ბიგვავას ფოტო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ხალხის გარეშე ბურჯ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ამაში ახალი არაფერია. ჯერ კიდევ 2007 წლიდან ვუყურებთ, როგორ უქნევს თითს ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას ოპოზიციიდან, როგორი ტონით ჰპირდება საკუთარი ხმების დაცვას და როგორ იმუქრება „არშერჩენის“ პოლიტიკით. ექვსი წლის შემდეგ მხოლოდ 3-4%-შია სხვაობა. დანარჩენი „დეჟავიუს“ პრინციპით ვითარდება. თუ 3% რეიტინგის მქონე პარტია და მისი ლიდერი ხელისუფლებისა და, უფრო კონკრეტულად, მიხეილ სააკაშვილის დასრულებით იმუქრებოდა, დღეს, მაქსიმუმ, 10%-იანი ძალაუფლება ბურჯანაძეს იმის თქმის უფლებას აძლევს, რომ პრეზიდენტის რანგში ივანიშვილს პრემიერის პოსტზე დარჩენას შესთავაზებს.

პოლიტიკაში ამბიცია საჭირო თვისებაა. თუმცა ბურჯანაძის შემთხვევაში ის მხოლოდ დაღუპვის იარაღად იქცა. ეს იარაღი თავად ნინომ ააშენა საკუთარი თავის წინააღმდეგ ისე, რომ ვერც კი გააცნობიერა. ასე იყო 2009-2011 წლებში, ანუ იგივე „ბელა ჩაოს“ პერიოდში და ასეა დღესაც. ჯერ კიდევ ქუჩაშია და თავი უკვე პრეზიდენტი ჰგონია. უფრო მეტიც, მოქმედ პრემიერს თანამდებობაზე დარჩენას სთავაზობს. მოკლედ, მისი პოლიტიკა დაახლოებით ასეთია – ის ჯერ „ჭოპას“ იძახის და საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ცდილობს, გადახტეს. პოლიტიკური შედეგებით ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ხტომაში „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ჩემპიონია. მისი მაქსიმუმი მსხვერპლით დასრულებული მიტინგებია და სწორედ ასეთით იმუქრება ახლაც.

მობილიზებული, გათვლილი, მოზადებული დაცვის მექანიზმები ბურჯანაძის სუსტი წერტილია. დიპლომატიური პოლიტიკის შემუშავებაზე მეტად სწორედ ამ მექანიზმების შემუშავება ხიბლავს. ირაკლი ბათიაშვილმა ამჯერადაც დაადასტურა მსგავსი მექანიზმის არსებობა. დეტალებს, ბუნებრივია, არავინ გვაცნობს, თუმცა შინაარსი იგივეა. ნინო ბურჯანაძის ძალა ისევ ხმამაღლა აცხადებს, რომ წინასწარვე გამარჯვებულია და ისევ წინასწარვე ირწმუნება, რომ ხელისუფლება მასშტაბური გაყალბებისთვის ემზადება. ოღონდ ამჯერად მთავარ დამნაშავედ ის ბიძინა ივანიშვილის გუნდს ასახელებს. ვინაიდან ბურჯანაძეს ივანიშვილთან თანამშრომლობა სურს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მის პირად ინტერესებში შედის, ამიტომ ივანიშვილს დამნაშავეობიდან საკუთარი სურვილითვე ათავისუფლებს. ბათიაშვილი აცხადებს, რომ პრემიერის გუნდი ლიდერის ნებართვის გარეშე შეეკრა ნაციონალებს და სწორედ ისინი გეგმავენ პირველი მეორე ადგილების გადანაწილებას. ბურჯანაძის არც ერთი მხარდამჭერი, პარტიის არც ერთი წევრი და შტაბის არც ერთი წარმომადგენელი იდეის დონეზეც კი არ უშვებს, რომ ნინომ შეიძლება ბუნებრივად აიღოს მესამე ადგილი. სწორედ ამიტომ ისინი საბრძოლველად არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უკვე მზად არიან.

ირაკლი ბათიაშვილი, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი:

– ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა საგრძნობმა ზრდამ, როგორც ჩანს, სერიოზული ქაოსი გამოიწვია როგორც „ქართული ოცნების“ შტაბში, ასევე ნაციონალებში. სწორედ აქედან გამომდინარე, „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის არსებული კოჰაბიტაცია ღია თანამშრომლობაში გადაიზარდა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ყველგან ვხედავთ, რომ ადგილი აქვს ურთიერთგარიგებას და ფარულ ალიანსს ამ ორ ძალას შორის. ამ გარიგების მიზანი არის ერთი – ყველანი ბურჯანაძის წინააღმდეგ. მათი მიზანია, რომ არ დაუშვან ნინო ბურჯანაძის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში. რეგიონებში ყველაზე აქტიურად ადგილზე მუშაობას აწარმოებს მხოლოდ ნინო ბურჯანაძის რეგიონალური შტაბები. არც „ოცნება“ და არც ნაციონალები არ არიან აქტიური პიარკამპანიით დაკავებული, რადგან ისინი ურთიერთშეთანხმებით ემზადებიან მასშტაბური გაყალბებისთვის. ამაში მათ ხელს უწყობს ისიც, რომ საარჩევნო კომისიებში მხოლოდ ეს ორი სუბიექტია წარმოდგენილი. ეს სამწუხარო რეალობაა, მესმის მათი შიში ბურჯანაძის გამარჯვების გამო. უკვე ამუშავდა სერიოზული მექანიზმები ბურჯანაძის წინააღმდეგ, ვგულისხმობ აუდიტის სამსახურს. მასიურად შემოვიდნენ ჩვენს ოფისებში, დაიწყეს ჩვენი წევრების, შტაბის წარმომადგენლების დაბარებები. ერთიერთზე ხდება ის, რაც ხდებოდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების დროს. მოგელაძისდროინდელი მექანიზმები მუშაობს. მოგელაძეს ფორმალურად იოტისოდენა დანაშაული და კანონისგან გადაცდენა არ ჰქონია. ყველაფერს კანონის ჩარჩოებში აკეთებდა. იგივე ტექსტებით საუბრობს ახლა აუდიტის სამსახურიც. მოგელაძის ტექსტებით საუბრობენ აბსოლუტურად. „ოცნებამაც“ და ნაციონალებმაც მთელი საქართველოს მასშტაბით გახსნეს ოფისები, თუმცა არსად არ შესულა აუდიტის სამსახური. ჩვენ ამ პროცესებს აბსოლუტურად მობილიზებული და მომზადებულები შევხვდით, ძალიან მობილიზებულად და აწყობილად მუშაობენ ჩვენი ოფისები.

– რა მექანიზმებით აპირებთ ხმების დაცვას?

– მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყურადღება გაამახვილონ ამ საგანგაშო პროცესებზე, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ის გაყალბებები, რაც ჩაფიქრებული აქვთ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მზად ვართ, თითოეული ხმა დავიცვათ, ჩვენი მხრიდან ყველა ზომას მივიღებთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არჩევნები არ გაყალბდეს. ჩვენ ვგრძნობთ და ყოველდღიურად ვხედავთ მზარდ მხარდაჭერას დედაქალაქსა და რაიონებში. ჩვენი შტაბები, ჩვენი აქტივისტები, ჩვენი მხარდამჭერები არიან მობილიზებულები.

– ამბობთ, რომ მხარდაჭერა არის მზარდი, თუმცა, როგორ ახსნით რეიტინგებს?

– ჩანაფიქრი სწორედ ეს არის, რომ მესამე ადგილზე გაიყვანონ ნინო ბურჯანაძე. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოუვათ, არც მეორე ადგილზე გაყვანა გამოუვათ. როგორი რეიტინგები ქვეყნდებოდა ოქტომბრის არჩევნების წინ, ეს ყველას გვახსოვს, თუმცა შედეგი აბსოლუტურად სხვა იყო. გამოაქვეყნებენ მოგონილ რეიტინგებს და დარწმუნებული ვარ, გაავრცელებენ ათასნაირ დეზინფორმაციას, მაგრამ მხარდამჭერთა რაოდენობის ზრდა იმდენად ძლიერია, რომ ვერაფერს დაგვაკლებენ.

– თქვენ ეჭვქვეშ აყენებთ NDI-ს კვლევებს?

– თქვენ აღიარებთ NDI-ს იმ კვლევებს, რომელიც ოქტომბრის არჩევნებამდე გამოქვეყნდა? აშკარაა, რომ ის რიცხვები ტყუილი იყო. რაც შეეხება ამჟამინდელ პერიოდს. ვიცით, რომ გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი მთლიანად დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაზე, წინაალმდეგ შემთხვევაში ის ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევდა ნინო ბურჯანაძეს.

ვინ უჭერს მხარს ნინოს? ამაზე პასუხი უკვე დიდი ხანია გვაქვს. მისი მხარდამჭერების სამი კატეგორია არსებობს: ბუნებით რადიკალები, ანუ ადამიანების ის კატეგორია, ვისაც ქუჩაში გამოსვლა არ ბეზრდება, ვისაც სიამოვნებს დასჯილი და დაპატიმრებული ადამიანების ხილვა; საბჭოთა კავშირის ნოსტალგიით შეპყრობილები, ანუ კატეგორია, ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთთან, იქნება ეს ევრაზია თუ სხვა სახით განახლებული საბჭოთა კავშირი, უნდა ვიყოთ; და მესამე – სულ მცირე ნაწილი, ვისაც გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ნინო ბურჯანაძის გზა ერთადერთი და სწორია.

სოციოლოგების, ექსპერტებისა და პოლიტიკოსების აზრი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა და ყველა მათგანი ერთდროულად აცხადებს, რომ ასეთი ადამიანების რაოდენობა ბევრია და მით უფრო საქართველოს ამომრჩევლების 50%-ზე მეტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება. შესაბამისად, ნინო ბურჯანაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი რეალურად არ აქვს. არათუ გამარჯვების, არამედ მეორე ადგილზე გასვლის საკითხსაც დიდი კითხვის ნიშანი უზის. ეს NDI-ს კვლევებმაც დაამტკიცა. ამიტომ ბურჯანაძეს ისღა დარჩენია, წინასწარვე შეაგუოს საკუთარი მხარდამჭერები, რომ არჩევნები გაყალბდება და მათ ერთდროულად მოუწევთ მიტინგების დაწყება, საარჩევნო ოლქებთან მობილიზება არჩევნების დღეს და საკუთარი პროტესტის რადიკალურად დაფიქსირება.

რა გეგმები აქვთ შემუშავებული „დემოკრატიულ მოძრაობაში“, როგორ აპირებს ბურჯანაძე ხმების დაცვას და როგორ იმოქმედებს ის 28 ოქტომბრიდან...

ვალერი გელბახიანი:

– მართლაც არის ინტერესთა თანხვედრა ნაციონალებსა და „ოცნებას შორის“. ეს ლოგიკურია, არც ერთს არ აწყობს პარლამენტის დათხოვნა. ვადამდელი არჩევნები მათთვის დამღუპველია. ნინო ბურჯანაძის მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების შესახებ აერთიანებთ „ოცნებასა“ და ნაციონალებს. შემიძლია, ცალსახად ვთქვა, რომ აშკარად იგრძნობა მოსახლეობის დამოკიდებულება ნინო ბურჯანაძის მიმართ. ეს ვერანაირად ვერ აისახება გამოკითხვებში. რაც არის თვალსაჩინო, ეს ყველაზე კარგად ჩანს, უბრალოდ, ადამიანებთან გასაუბრებით. გამოკითხვები არის იმისთვის, რომ გაიგო, რა ბალანსი არსებობს. თუ სოციოლოგიური გამოკითხვის მიზანია პოლიტიკური ტექნოლოგია, ანუ რომ დაამახინჯონ არსებული რეალობა, ეს, რა თქმა უნდა, ეხერხებათ.

– თქვენ ამბობთ, რომ ბურჯანაძის რეალური რეიტინგი სულ სხვაა?

– მე მაგალითად, როდესაც „ოცნების“ რეიტინგს ვუყურებ, მეცინება. წერენ, რომ მარგველაშვილს 65%-იანი წინსვლა აქვს, ბურჯანაძეს კი – 7%-იანი. ეს ძალიან სასაცილოა, რადგან, მე სადაც დავდივარ და ვისაც ვხვდები, ყველა ბურჯანაძეს უჭერს მხარს. თავისუფალ რეჟიმში, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ნინო ბურჯანაძემ გაიმარჯვოს. სწორედ აქ ემთხვევა ნაციონალებისა და „ოცნების“ ინტერესები. მით უმეტეს, ეს ეხება ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდგომ პერიოდს. ამ პერიოდში, რა თქმა უნდა, კონფიგურაცია შეიცვლება, პოლიტიკური სპექტრი გადალაგდება. პრემიერის გადადგომის გამო მთავრობაც უნდა გადადგეს და ახალი მთავრობა შეიქმნას. ეს თავისთავად პარლამენტშიც გამოიწვევს გადაადგილებებს. თუ პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გახდება, მაში ახალი პრემიერის დამტკიცებაზე სწორედ ბურჯანაძის თანხმობა დასჭირდებათ. ასეთ შემთხვევაში ეს მწყობრი კოჰაბიტაცია აირევა და თავდაყირა დადგება ამ ორი ძალისთვის. ბუნებრივია, რომ ნაციონალებიცა და „ოცნებაც“ ყველაფერს გააკეთებენ, რომ მათთვის ცუდი შედეგი არ დადგეს. მათთვის ნინო ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლაც მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში ბურჯანაძე კვლავ დაუბრუნდება საზოგადოებას, ანუ ქუჩას და მოითხოვს ვადამდელ არჩევნებს.

– ანუ ბურჯანაძე მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში აუცილებლად გავა ქუჩაში?

– ცხადია, რადგან პარლამენტიცა და მთავრობაც ლეგიტიმაციის გარეშე რჩება.

– ხალხი გაჰყვება ბურჯანაძეს ქუჩაში?

– გაჰყვება. ხალხის გარეშე ბურჯანაძე ქუჩაში არ გავა.

– ვთქვათ, როგორც ამბობთ, მართლაც მასე მოხდა, გავიდა ხალხი ქუჩაში და დაიწყო მიტინგები. სიტუაციის ასე განვითარებაც ბევრჯერ გვინახავს...

– არ იქნება ასე მარტივად. ალბათ, იქნება მოთხოვნა, ეს ჩემი ვარაუდია. როდესაც არის ხალხის მოთხოვნა, იქ, ბუნებრივია, რეფერენდუმისთვის ხელმოწერები შეგროვდება. თუ რეფერენდუმი არ დაკმაყოფილდება, ამას მოჰყვება პოლიტიკური პროტესტი. ამ შემთხვევაში აქციებს შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური კრიზისი, რაც თავისთავად მივა ვადამდელ არჩევნებამდე.

– პოლიტიკურ კრიზისს ხელისუფლება აკრძალავს, ანუ თუ საქმე ასე სერიოზულად იქნება, არ ფიქრობთ, რომ ძალოვნები საპროტესტო აქციებს არ დაუშვებენ?

– ესეც მრავალჯერ ნანახი თემაა საქართველოში. მთავრობა, რომელიც სააკაშვილს მეთოდებს გაიმეორებს, მკაცრად დაისჯება. ვერანაირი შემდგომი მთავრობა ვერ გაუძლებს იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებდა. დარბევა და აზრის გამოხატვის თავისუფლების აღკვეთა – ეს უკვე რეჟიმის შექმნის მცდელობა იქნება. ამ რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოლა ხალხმა და ახალი მთავრობა ამას ვერ გაბედავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში შესვლა მოუწევს. რაც შეეხება კრიზისს, ის ორნაირი შეიძლება იყოს – პოლიტიკური და ეკონომიკური. ეკონომიკური პრობლემები ისედაც სერიოზულია და ეს კიდევ მოიმატებს, რადგან ინერციით არ ხდება.

– თქვენ ამბობთ, რომ ამ მხრივ, ეკონომიკას მიტინგები კიდევ უფრო დაარტყამს?

– რა თქმა უნდა, სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება. მომავალი წლის ბიუჯეტი ისე არ დაიგეგმება, როგორც იყო დაგეგმილი გასული წლის ბიუჯეტი, იქნება შეკვეცა, შესაძლოა, მოჰყვეს სეკვესტრი. ეკონომიკური კრიზისი თავისთავად გამოიწვევს პოლიტიკურ კრიზისს. ან პირიქით, პოლიტიკური კრიზისი იწვევს ეკონომიკურ კრიზისს. ივანიშვილის პოსტიდან წასვლა და პარლამენტში ძალების გადაჯგუფება ავტომატურად გამოიწვევს პოლიტიკურ კრიზისს. ორივე კრიზისიდან გამოსავალი არის ვადამდელი არჩევნები. ეს არის აქსიომა. ერთადერთი კონსტიტუციურად სწორი გზა არის ვადამდელი არჩევნები.

– გარდა ამ მოთხოვნისა, ბურჯანაძის შტაბის უფროსი, ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ შემუშავებული აქვთ მექანიზმები, როგორ უნდა დაიცვან საკუთარი ხმები. რა მექანიზმებზე შეიძლება ისინი საუბრობდნენ?

– ხმის დაცვის რამდენიმე მექანიზმი არსებობს. ბურჯანაძეს კომისიაში წევრები არ ჰყავს, სამაგიეროდ მათ ჰყავთ დამკვირვებლები საარჩევნო ოლქებსა და უბნებში. მას შეუძლია თითო ოლქზე ორ-ორი ადამიანი დანიშნოს, რაც იმას ნიშნავს, რომ 3600 უბანზე შეეძლება დანიშნოს 7200 ადამიანი. ისინი გააკონტროლებენ, რომ არ მოხდეს ჩანერა, გადაწერა.

– ამ ადამიანების განცხადებებს იურიდიული ძალა ექნება?

– რა თქმა უნდა, ისინი დაწერენ ოქ-

ვალერი გელბახიანი: „თუ დარღვევის ფაქტების ოდენობა 7-10%-ს გადააჭარბებს, მაშინ შეიძლება დადგეს არჩევნების ჩაშლის საშიშროება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანაძე ქუჩაში არ გავა“

ირაკლი ბათიაშვილი:

„ჩვენი მხრიდან ყველა ზომას მივიღებთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არჩევნები არ გაყალბდეს“

EXCLUSIVE

მს, გაასაჩივრებენ, რომ არ ეთანხმებიან შედეგებს. მათი საჩივარი შეიძლება განიხილოს ზემდგომმა საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ. თუ დარღვევის ფაქტების ოდენობა 7-10%-ს გადააჭარბებს, მაშინ შეიძლება დადგეს არჩევნების ჩაშლის საშიშროება. თუმცა ეს არ არის დაცვის ერთადერთი გზა. შეიძლება რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა წინასწარვე შეიმუშაოს ფორმატი და დარღვევების შესახებ ფაქტები მაშინვე მიაწოდოს საერთაშორისო ორგანოებს, დამკვირვებლებს, დიპლომატიურ კორპუსებს.

– თუ ბურჯანაძე ვერ მიიღებს საუკეთესო შედეგს, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და ცესკოს მიერ მოხდება შედეგების აღიარება, როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ბურჯანაძის ნაბიჯები?

– ჩვენ გვინახავს მსგავსი რამ საქართველოში, ამიტომ ეს ვერსია არ არის გამორიცხული. თუკი საარჩევნო დარღვევები ისე იქნება შეფუთული, რომ ვერავინ ვერ დაინახავს, ამ შემთხვევაში ხალხი იქნება მთავარი ძალა. თუკი ხალხის განწყობა იქნება საპირისპირო, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმებიან შედეგებს. რომ დაიცვა საკუთარი ხმები, მაშინ უბანზე უნდა გყავდეს მობილიზებული საკუთარი ამომრჩეველი.

– თქვენ ამბობთ, რომ ბურჯანაძემ შეიძლება საარჩევნო უბნებთან მოაწყოს მინიმიტინგები?

– თუ კონკრეტულ უბანზე იქნება 50 ხმა ბურჯანაძის სასარგებლოდ, ადგილზე კი მივა, ვთქვათ, 200 კაცი და იტყვის, ჩვენ ყველამ ბურჯანაძეს მივეცით ხმაო, მაშინ მარტივად გაირკვევა რეალობა. ხმების დაცვის ბოლო გზა კი არის არჩევნების შედეგების არცნობა და არაღიარება

– და თუ მარტო ნინო ბურჯანაძე არ აღიარებს ამ შედეგებს, რა პრობლემა შეექმნება ამით ვინმეს?

– ბურჯანაძის შტაბი არ ცნობს არჩევნების შედეგებს და დაიწყებს საპროტესტო აქციებს. გაიხსენეთ 2003 წელი, მაშინ არა თუ არ მოხდა შედეგების ცნობა, არამედ გასაჩივრდა სასამართლოში და იქაც არ აღიარეს.

– ანუ ამ შემთხვევაში ბურჯანაძის ბედი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, გაჰყვება თუ არა მას ხალხი ქუჩაში კიდევ ერთხელ?

– თუ მას ხალხის მაღალი მხარდაჭერა ექნება, არჩევნებს ვერ გაუყალბებენ.

– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნინო ბურჯანაძე წაგების შემთხვევაში ეცდება, რევოლუცია მოაწყოს?

– რევოლუციაზე არ არის საუბარი, აქ საუბარია იმაზე, რომ ბურჯანაძე ყველაფერს გააკეთებს, რათა საკუთარი ხმები დაიცვას, მსოფლიოს გააგებინებს, რომ არჩევნები გაყალბდა და ეს შედეგები ლეგიტიმური არ არის.

– ისინი წინასწარვე ამბობენ, რომ ხელისუფლება ემზადება არჩევნების გასაყალბებლად, ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ამით წინაპირობას ქმნიან ქუჩაში გასვლისთვის?

– ქართველი ამომრჩეველი უკვე კარგად არის გაცნობიერებული გაყალბების მექანიზმებში.

– თუმცა საკუთარი ამომრჩევლის მხრიდან ივანიშვილის მიმართ არის ნდობა, რომ არჩევნები არ გაყალბდება...

– არაფერი არ სჯერა ხალხს, ასე არ არის. არავის არ სჯერა, რომ არ გაყალბდება. რადგან ამაზე უკვე საუბრობენ, უკვე ისმის კითხვები, ანუ არ სჯერათ. ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან. გლდანში „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ჩაატარა შეხვედრა, სადაც დღისით, მზისით 5 მოქმედი მინისტრი ესწრებოდა პიარ-კამპანიას. ამის შემდეგ როგორ დავიჯერო, რომ სახელმწიფო რესურსის გამოყენება არ ხდება? ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო და სწორედ ამ ლოგიკით არ შეიძლება დაიჯერო, რომ არჩევნები არ გაყალბდება.

NDI-ს კვლევებს ეჭვქვეშ, ბათიაშვილის გარდა, ექსპერტების ნაწილიც აყენებს. მამუკა არეშიძეს მიაჩნია, რომ ბევრი მიზეზი აქვს, არ დაუჯეროს ნავაროს შედეგებს. NDI-ს არა, მაგრამ სტუდენტების მიერ ჩატარებულ კვლევებს თვალდახუჭული ენდობა არეშიძე, სადაც ბურჯანაძე, სავარაუდოდ, მარგველაშვილსაც კი უსწრებს.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– მე, მაგალითად, NDI-ს კვლევების არ მჯერა. სამწუხაროდ, NDI-მ ნაციონალების ზენიტში ყოფნისას რამდენჯერმე ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ინსტიტუტი მთლიანად რომელიმე რეჟიმის ყურმოჭრილი მონაა, თუმცა იმ ნაწილმა, რომელიც თბილისში მუშაობს, თავის დროზე შეცდომები დაუშვა და მე მაქვს უფლება, რომ მათი არ დავიჯერო. რაც შეეხება ბურჯანაძის მეორე ადგილს, მე ვეყრდნობი გარკვეულ სოციოლოგიურ კვლევებს, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაატარეს. გარდა ამისა, არსებობს ადამიანის სოციალური სურათის აღქმის უნარი და ამ ფაქტებზე დაყრდნობით ვერ ვხედავ, რომ ბაქრაძეს რაიმე შანსი ჰქონდეს გამარჯვების.

– როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ ბურჯანაძე გამოვა ქუჩაში?

– ეს რთული სათქმელია, თუმცა, ალბათ, შეეცდება, აქციებით დაამტკიცოს საკუთარი სიმართლე. ვფიქრობ, იმდენად მნიშვნელოვანი არ იქნება აქციები, რამდენადაც სასამართლო პროცესები. ის შეეცდება, შეამოწმოს, როგორ იყო დათვლილი ხმები არჩევნების შემდეგ და შესაბამისად, მიმაჩნია, რომ იურიდიული გზა უფრო მნიშვნელოვანი იქნება. დიდი მნიშვნელობა აქვს დამკვირვებლების არჩევნებზე ყოფნას. ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება, რომ სამართლებრივად ყველაფერი გამართული იყოს არჩევნებზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როდესაც დემეტრე 5 წლის გახდება დედამისს ხელბო

მარიამ ნადირაძე

ეს ისტორია ბათუმში ყველამ იცის, თუ როგორ აქცია სააკაშვილის დროინდელმა სამართალმა აჭარის დამსახურებული არტისტის, ნუგზარ შალიკაშვილის ორივე შვილი „ყაჩაღად“.

ამბავი შოკისმომგვრელია, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ სრულიად უდანაშაულო 5 წლის დემეტრე ზარალდება.

ერთ დღეს, ხელვაჩაურში...

ყველაფერი 2008 წელს, 27 აგვისტოს დაიწყო, როდესაც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გემოლაურში ყაჩაღურმა ჯგუფმა, რომელიც ხუთი წევრისგან შედგებოდა და მათ შორის ერთი ახალგაზრდა გოგო იყო, ცინცაძეების ოჯახში იარაღით შეაღწია და მუქარით 1000 დოლარი მოითხოვა. ოჯახის დიასახლისი, ციალა ბაკურიძე და მისი ქალიშვილი წებოვანი ლენტით გაკოჭეს და რაკი ადგილზე ფული არ იყო, სამიათასი ლარის ღირებულების ოქრო წაიღეს. ეს იყო ორი ბეჭედი და ერთი სამაჯური.

დამნაშავეები სახლში შეღწევამდე მეზობელმა, ნათელა კაზეიშვილმა შეამჩნია. გაგიკვირდებათ და ამ ერთი თვალის შევლებით მან ყველა ზედმიწევნით დაიმახსოვრა, თანაც ისე, რომ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დეტალურად აღწერს დამნაშავეების სიგრძე-სიგანეს, ფერს და მოხდენილობას. ჰო, რაც მთავარია, კარგად ახსოვს მათი ტანსაცმლის ფერი და ალბათ, მასალის შემადგენლობაც...

28 აგვისტოს კი ჯვარს იწერენ მონა ღვთისა ნოდარი... და მხევალი ღვთისა ნათია... ნათია შალიკაშვილი იმდროისთვის 3 თვის ფეხმძიმეა და მუცელიც უკვე ეტყობა...

ეს ორი ამბავი ერთმანეთს, ალბათ, არასდროს დაუკავშირდებოდა, რომ არა ერთი თვის შემდეგ პოლიციაში შესული შეტყობინება. რა მოხდა შემდეგ, ამის შესახებ თავად ისტორიაში მონაწილე მთავარი პერსონაჟები გვიამბობენ.

სპეცოპერაცია

ნათია შალიკაშვილი ხელოვნების ინსტიტუტში ლექციებს ახლაც კითხულობს. ამავდროულად რამდენიმე საჯარო სკოლაში ცეკვის გაკვეთილებს უტარებს ბავშვებს. 2008 წლის ზაფხულში ის, 7 წლის ლოდინის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს შვილს ელოდა და თავსაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. ამ დროს კი...

ნათია შალიკაშვილი: „დილის 6 საათი იქნებოდა. მე და ჩემს მეუღლეს გვეძინა. მოულოდნელად ორმოცამდე პოლიციელი შემოვარდა სახლში. მათგან ერთ-ერთი, ქალბატონი იყო, რომელიც ჩემს საძინებელში დატოვეს. ჩემი მეუღლე კი მაშინვე გაიყვანეს. ჩავიცვი და მეც გავედი მისაღებ ოთახში. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, აბრძანდი ფეხზეო. როდესაც ავდექი, გამეცნო, მე გამომძიებელი ოლეგ მიქელაძე ვარ. თქვენ ეჭვმიტანილი ხართ ციალა ბაკურიძის ჯგუფურ ყაჩაღობაშიო. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო ჩემთვის. პირველ რიგში იმას ვფიქრობდი, სტრესში არ ჩავვარდნილიყავი და ბავშვს რამე არ მოსვლოდა. ეს ფეხმძიმობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გამომიცხადეს, შენ და შენი მეუღლე დაპატიმრებულები ხართ და ახლა, პარალელურად ხდება ბანდის სხვა წევრების დაკავებაო. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ „ბანდის ერთ-ერთი წევრი“ ჩემი ძმა თუ იქნებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი. აღმოჩნდა, რომ მასაც პარალელურად იჭერდნენ ჩემი მშობლების სახლში. გაირკვა, რომ ჩვენ გარდა დაიჭირეს კიდევ ორი პიროვნება, რომლებსაც არც ჩვენ ვიცნობთ და არც ისინი გვიცნობდნენ. გადაგვიყვანეს ხელვაჩაურის პოლიციაში. მე შემიყვანეს პოლიციის უფროსის, ბუბა ბოლქვაძის კაბინეტში. მისი მოადგილე იყო დათო გოგუაძე. ორივე კაბინეტში დამხვდა. პირველივე წუთიდან, როგორც კი მითხრეს ეჭვმიტანილი ხარო, ადვოკატთან დარეკვას ვითხოვდი. უარს მეუბნებოდნენ, ჯერ არ საჭიროებ ადვოკატსო. პოლიციის უფროსსაც იგივე მოვთხოვე. მან დამარეკინა. ხელვაჩაური ბათუმიდან დაახლოებით 20 კილომეტრით არის დაშორებული. სანამ დამცველი ამოვიდოდა, მე პოლიციის უფროსი მესაუბრებოდა. მისგან შევიტყვე, რომ დაყაჩაღებული იყო ციალა ბაკურიძე, ხუთი ხართ ეჭვმიტანილები. სამნი თქვენ ხართ და დანარჩენი ორი შენ უნდა მითხრაო. ჯობია აქ ილაპარაკო და აქ გავარკვიოთ ყველაფერი, თორემ ისეთ ადგილას გადაგიყვანენ, მერე აღარაფერი გიშველისო. თუ ჩვენთან ითანამშრომლებ, მოლაპარაკებაზე წამოხვალ, გავითვალისწინებთ, რომ ხარ ქალბატონი, ფეხმძიმედ, გამონაკლისს დავუშვებთ და შეიძლება საპროცესო გარიგება მხოლოდ შენთან გაკეთდესო. დანარჩენს არავის არაფერი ეშველებაო. თუ არ ვითანამშრომლებდი, მემუქრებოდნენ: ციხეში გამშობიარებთ, ბავშვს წაგართმევთ და უპატრონო ბავშვთა სახლში წავიყვანთო. იქვე შევიტყვე, რომ ჩემი ძმაც დაჭერილი იყო. გავგიჟდი, ჩემს ძმას რა სჭირდა სამაგისო, 11 ათასი დოლარი ხელფასი აქვს-მეთქი? მერე გადამიყვანეს პროკურატურაში ამოცნობაზე. ამოცნობას ესწრებოდა იმჟამინდელი პროკურორი გელა მახარაძე. არსებობს ვიდეო-ფირებიც, როგორ ტარდებოდა ამოცნობა... ჩემს მეუღლეს აღმოაჩნდა ალიბი. იმ დღეს, როდესაც ყაჩაღობა მოხდა, ჩემი მეუღლე წასული იყო მონასტერში, რომელიც მაღალმთიან რაიონშია, სადაც მობილურიც კი არ იჭერს. ამის დასადასტურებლად ბათუმში მთელი საპატრიარქო ჩამოვიდა. ბერებს ველარ შეკადრეს პოლიციელებმა, გვატყუებთო და ჩემს მეუღლეს ყაჩაღობაზე ბრალი მოუხსნეს. მაგრამ სახლში რომ შემოგვიცვივდნენ, პოლიციელებმა ჩაგვიდეს პატარა ზომის იარაღი. სნორედ ამ იარაღის უკანონო შენახვისთვის წაუყენეს ბრალი და მიუსაჯეს ერთწლიანი პატიმრობა.

გაუშვეს ის ვიღაც ორი პიროვნებაც, ბრალი არ დაუმტკიცდაო და მარტო მე და ჩემი ძმა გამოვდექით ყაჩაღები. წარმოიდგინეთ, ფეხმძიმე ვიჯექი ციხეში და არც ვიცოდი, ვის მაგივრად, ან რატომ. მერე, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას, მოსამართლემ დაგვიკმაყოფილა შუამდგომლობა და მე გირაოს სახით 50 ათასი ლარის გადახდის საფასურად გამომიშვეს. ჩემი ძმა კი 1 წელი იჯდა, სანამ საპროცესო შეთანხმებაზე არ დაიყოლიეს. ამისთვის პროკურატურა ყველაფერს აკეთებდა და ბოლოს მიაღწიეს კიდეც, რადგან ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა“...

თენგიზ შალიკაშვილი: „ვერასდროს ვიფიქრებდი ასეთი რამ თავს თუ გადამხდებოდა: დილის ექვსი, შვიდის ნახევარი იქნებოდა, წვიმიანი ამინდი იყო. მამაჩემმა შემოაღო ჩემი საძინებლის კარი, სადაც მე, ჩემს მეუღლეს და ორ მცირეწლოვან ბავშვს გვეძინა. თენგო, პოლიცია მოვიდაო, წამოვდექი თუ არა, სამი, თუ ოთხი სული შემოვარდა ჩვენს ოთახში. ჩემმა მეუღლემ უთხრა კიდეც, იმის ნამუსი მაინც იქონიეთ, რომ ჩავიცვათო. სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული, ალბათ, შიშობდნენ, არ

თენგიზ შალიკაშვილი:

„მარწმუნებდნენ, შენი და გეხვეწებაა, ფეხმძიმედ ვარ, თავის თავზე აიღოს დანაშაული და ამით მე გადავრჩებიო“

ნათია შალიკაშვილი:

„ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ „ბანდის ერთ-ერთი წევრი“ ჩემი ძმა თუ იქნებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რკინლებს დაადებენ და ციხეში 11 წლით გაამწესებენ!



საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

სუბიექტი საქართველოს იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო - აჭარის პრობაციის ბიურო

LEGAL ENTITY UNDER PUBLIC LAW - TERRITORIAL BODY OF NATIONAL AGENCY OF PROBATION - PROBATION BUREAU OF ADJARA

26/08/2013

MCLA 5 13 00015659

გაფრთხილება

მსჯავრდებულ: ნათია ნუბარის ასულ შალიკაშვილს

მცხოვრები: ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 2, ბინა 37

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის განაჩენით სასჯელი გადავადებული გაქვთ შვილის 5 (ხუთი) წლის გახდომამდე. თქვენზე შესაბამისი კონტროლის განხორციელების მიზნით " არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა უნდა გამოცხადდეთ პრობაციის ბიუროში - ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №70

მორეს გოგაძე
აჭარის პრობაციის ბიუროს ოფიცერი

„შვილი იზრდებოდეს და დედას გული უსკდებოდეს, ამნაირი გინახავთ რამე?“

„ფეხმძიმე ვიჯექი ციხეში და არც ვიცოდი, ვის მაგივრად“

EXCLUSIVE

„მემუქრებოდნენ: ციხეში გამშობიარებთ, ბავშვს წაგართმევთ და უპატრონო ბავშვთა სახლში წავიყვანთო“

გავქცეულიყავი. ჩემთვის არ უთქვამთ, რატომ უნდოდათ ჩემი წაყვანა. მითხრეს, განყოფილებაში რომ წავალთ, იქ გაიგებო. შემდეგ შემოვიდა პოლკოვნიკი ბუბა ბოლქვაძე, მათი უფროსი იყო. მკითხა, სად იყავი ამ დღეებში, რას შვრებოდიო? როგორ არ გრცხვენია ეს რომ ჩაიდინეო? მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ჩემი ოჯახის წევრებისთვის თვალებში ვერ შემეხედა. მთელი ოჯახი ვეხვეწებოდით ეთქვა, რა დავაშავე... შემდეგ ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს ხელვაჩაურის განყოფილებაში. დამინყეს სად იყავი ამა და ამ დღესო? ერთი თვის წინანდელ ამბავს მახსენებდნენ. მე რა უნდა გამეხსენებინა? თქვენ გახსოვთ სად იყავით ერთი თვის წინ 6 საათზე? შემდეგ მოვიდა ბუბას მოადგილე, მას ხელი არ დაუკარებია ჩემთვის, მაგრამ მუქარით მელაპარაკებოდა - მაინც ნეხვში ხარ ჩაძირული კისრამდე, შენი შველა მაინც არ იქნება, დაემშვიდობე ცხოვრებასო. ბოლოს, 2-3 საათი რომ მაწვალეს, მითხრეს, ერთი თვის წინ იყაჩაღე და არ გახსოვსო? მე გამეცინა, ვიფიქრე, მაღალი ხელფასი მაქვს და ფული უნდათ-მეთქი. მაშინაც და ახლაც ვმუშაობ გერმანულ კომპანია „კოლუმბია“-ში, მეზღვაური ვარ. ხელფასი ყოველთვიურად 8 700 დოლარი მაქვს და ყოველი 11 თვის გასვლის შემდეგ ბონუსის სახით 500 დოლარი მემატება. ანუ, იმ დროისთვის თვეში ზუსტად 10 ასთას 250 დოლარს ვიღებდი. მერე რომ მითხრეს, თურმე იმ სოფელში, რომელიც, შვილებს გეფიცები, დღესაც არ ვიცი სად არის, ოთხ ადამიანთან ერთად წავსულვარ და 1 000 დოლარი მომითხოვია, სულ გადავირიე. გამოდის, რომ 200 დოლარი რომ მიმეღო, იარაღი ავიღე, მთა და ბარი შემოვიარე, ვიღაცა დავსკოჩე და თანაც ამ საქმეში ჩემი ფეხმძიმე დაც დავიხმარე?! იმ ქალს ჩემთვის რომ დაერეკა და ეხვეწნა, ამოდი, 1 000 დოლარი უნდა გაჩუქოო, აზრადაც არ გავივლებდი იქ წასვლას. აღმოჩნდა, რომ პროკურატურაში სულაც არ ხუმრობდნენ. პროკურატურაში ამოცნობაზე. წამიყვანეს, მერე კი ციხეში... იქ 1 კვირა კარცერში ვიყავი, ვშიმშილობდი. ჩემთვის არავის ხმა არ გაუცია. ზუგდიდის ციხიდან ახალაიას ხალხიც ჩამოვიდა. ჩემთვის იმათაც კი არ შეუხიათ ხელი, რადგან ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. ბოლოს, პროკურორმა გიორგი დავითაშვილმა დამიყოლია საპროცესო გარიგებაზე. მანამდე არაერთხელ სცადეს, მარწმუნებდნენ, შენი და გეხვეწება, ფეხმძიმედ ვარ, თავის თავზე აიღოს დანაშაული და ამით მე გადავრჩებიო. არ დავუჯერე, ხელნაწერი შემომიტანეთ-მეთქი, რადგან ამას ჩემი და არ იტყოდა. რა თქმა უნდა, არავითარი ხელნაწერი არ შემოუტანიათ, რადგან ტყუილი იყო ეს ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს, როცა ვნახე ვერაფერს ვაღწევდი, ვაღიარე ჩემი მონანილეობა ყაჩაღობაში, მაგრამ სხვა არავინ დამისახელებია, ან ვინ უნდა დამესახელებინა, როცა ნარმოდგენა არ მქონდა ამ საქმეზე? ჯარიმის სახით 15 ათასი ლარი გადამახდევინეს და სასჯელის ზომად ზუსტად ერთი ნელი შემიფარდეს, რამდენიც უკვე ვიჯექი. ზოგი მეკითხება, რატომ ვაღიარე, როცა დამნაშავე არ ვიყავი. ოჯახი მელუპებოდა, ორი მცირეწლოვანი შვილი, მეუღლე და მშობლები, რომლებიც აბსოლუტურად ჩემს შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებულნი. პრინციპზე რომ დავმდგარიყავი, როგორ ფიქრობთ, ამ ნაციონალებს მოვუგებდი რამეს? ახლა იმას ვნერვიულობ, ჩემი დის საქმე როგორ გადაწყდება“...

სხვათა შორის, შალიკაშვილების ოჯახმა წარმოგვიდგინა დოკუმენტაციაც, რომლის მიხედვითაც იმ დროისთვის, როდესაც ყაჩაღობა მოხდა, თენგიზ შალიკაშვილს საქართველოს ბანკის ანგარიშზე 32 ათასი დოლარი ჰქონდა. როგორც ჩანს, გამოძიებამ ჩათვალა, რომ მას დამატებით 200 დოლარის ყაჩაღური გზით შოვნა სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა.

განაჩენი

საქმეს ყველა გამოეთიშა ნათიას და თენგოს გარდა. ნათიას მეუღლეს ალიბი აღმოაჩნდა, დანარჩენი ორი დაკავებული პირისგან ერთ-ერთი, ოლეგ ხოზრევანიძე ხელვაჩაურის პოლიციის შეფის ახლო ნათესავი აღმოჩნდა და ის ამოცნობაზეც კი არ მიუყვანიათ. რაც შეეხება როინ მელაძეს, მისი ამოცნობის დროს, მოწმემ, ნათელა კაზეიშვილმა, ხელი სულ სხვას, ხელვაჩაურის პოლიციის თანამშრომელს დაადო, თითქოს ის იყო ყაჩაღური ბანდის წევრი.

მიუხედავად იმისა, რომ მან ნათია შალიკაშვილიც „ამოიცნო“, არავის გასჩენია ეჭვი, რომ ის უკვე დისკრედიტებული მოწმე უნდა ყოფილიყო და თუ მან პოლიციელი მიიჩნია ყაჩაღად, ცეკვის მასწავლებელიც ყაჩაღი რომ ყოფილიყო, არაფერი უჭირდა. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის არ იცრუებდა, მაგრამ რატომ? - ამ კითხვას არავინ, არცერთი ფორმით არც ერთ ინსტანციაში აღარ სვამდა. ერთი სიტყვით, პროცესები უკვე მარტში დაიწყო, როდესაც პატარა დემეტრე უკვე მოევლინა ქვეყანას.

მოსამართლე ლევან თევზაძემ ნათიას და მის ძმას 11 წლით და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. თენგოს შესახებ უკვე გიამბეთ, რაც შეეხება მის დას, განაჩენში ჩაიწერა, რომ მისი აღსრულება მოხდებოდა მაშინ, როდესაც დემეტრე 5 წლის გახდებოდა.

ბავშვი კი 2009 წლის 16 მარტს დაიბადა...

განაჩენი - მიუხედავად იმისა, რომ...

... უხეშად არის დარღვეული მოწმეთა ამოცნობის წესი. როდესაც ნათია შალიკაშვილი მოწმეს და დაზარალებულს ფოტოზე ამოაცნობინეს სურათები შავ-თეთრი იყო და დანარჩენი 3 გოგონას სურათებისგან განსხვავებით, ნათია გამორჩეულად მსხვილ პლანშია გადაღებული. ამას გარდა, დაზარალებულის ამოცნობის ვიდეოფირით ირკვევა, რომ ის ბოლომდე არ არის დარწმუნებული, ნათია, რომ ის ყაჩაღი გოგოა... პროკურორი კი დაჟინებით მოითხოვს მისგან კონკრეტულ პასუხს, რაც კანონის უხეში დარღვევაა. თენგიზს კი, ამოცნობისას, სხვებისგან განსხვავებით, თეთრი ფეხსაცმელი ეცვა. ამასთან, ის დაზარალებულმა ვერ ამოიცნო. ამის მიუხედავად, ამოცნობის ოქმი ერთადერთ მტკიცებულებად რჩება და-ძმის ბრალეულობის დასამტკიცებლად.

... მოწმე კაზეიშვილი ყაჩაღობაში მონაწილე გოგონას შესახებ წერს, რომ იყო 170-175 სმ სიმაღლის, ქერა, ეცვა „შორტები“ და ფოთლისფერი „კოფტა“. ნათია შალიკაშვილი არის 156 სანტიმეტრი სიმაღლის და დანაშაულიდან მეორე დღეს, ჯვრისწერის დროს გადაღებულ სურათებში აშკარად ეტყობა მუცელი, რაც ასეთ დაკვირვებულ ქალბატონს თურმე გამორჩა...

... სოფელიც და ცინცაძეების სახლიც მიუდგომელია ე.წ. „დაბალპასადკიანი“ მანქანებისთვის. და თუ მაინც ასეთი მანქანა იქ ააღწევდა, მას აუცილებლად აღმოაჩნდებოდა ძირში ნაჩხაპნები. მოწმის მტკიცებით დამნაშავეები გადაადგილდებოდნენ ფორდის მარკის ლუქიანი და მსხვილი ვერცხლისფერკანტებიანი მანქანით. გამოძიებამ მტკიცებულებად ამოიღო თენგო შალიკაშვილის კუთვნილი „ბეემვე“, ე.წ. ტროიკა, რომელსაც არც ლუქი აქვს და არც ვერცხლისფერი კანტები. უფრო მეტიც, არსებობს ქუჩის ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ეს მანქანა დანაშაულის დროიდან სულ რამდენიმე წუთში ოზურგეთში ფიქსირდება. ამასთან, ექსპერტიზა ჩაუტარდა თენგოს მანქანას და მას არავითარი ნაჩხაპნი არ აღმოაჩნდა და არც დანაშაულის ადგილის ნიადაგი დაფიქსირდა მასზე...

... და კიდევ სხვა უამრავი კანონდარღვევა...

პერსონაჟთა ბედის ბორბალი

პროკურორი გელა მახარაძე „დანაშაულის გახსნიდან“ 6 თვეში სიმამრთან ერთად თაღლითობით დაიჭირეს. მოგვიანებით კი პრეზიდენტის შენყალებით ეღირსა თავისუფლებას.

პროკურორი გიორგი დავითაშვილი, რომელიც სასამართლო პროცესებზე უჭერდა ბრალდებას მხარს, თბილისში, მთავარ პროკურატურაში გადმოიყვანეს.

მოსამართლე ლევან თევზაძე სააპელაციო სასამართლოში დაანინაურეს.

ბათუმის პროკურორი, ავთანდილ კილაძე კი, რომელიც ნაციონალებმაც კი გაარიდეს პროკურატურის სისტემას და 2012 წლის თებერვალში გარემოს დაცვის ინსპექციაში გადაიყვანეს, ძველი სამსახურებრივი მანქანის შენარჩუნებით და გაზრდილი ხელფასით, ხელისუფლების ცვლილებისთანავე, თანაჯგუფელი, ზაქარია ქუცნაშვილის პროტექციით ამჟამად აჭარის პროკურატურაში ერთ-ერთ მაღალ პოსტზე მსახურობს.

ამ ვითარებაში კი, და-ძმა შალიკაშვილებს განცხადება აქვთ შეტანილი მთავარი პროკურატურის იმ 12-კაციან ჯგუფში, რომელსაც ძველი საქმეებისთვის უნდა გადაეხედა და ამჯერად გენერალურ ინსპექციად გადაკეთდა. ბუნებრივია, საეჭვოა, რომ ახლაც თანამდებობაზე მომსხდარ ყოფილ პროკურორებს და მოსამართლეს ვინმე ხელს ახლებს, თუმცა მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, შოთა კაკულია გვარწმუნებს, რომ თუ ვინმეს ბრალეულობა გამოიკვეთება, სწორედ მათი პირდაპირი მოვალეობაა მასზე რეაგირება.

რეალური დამნაშავეების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან თუნდაც გამოძიებასაც რომ დავუჯეროთ, რომელმაც ყაჩაღობის საქმე ასე წარმატებულად გახსნა, მათაც კი აკლიათ საქმეში 3 დამნაშავე...

შალიკაშვილების ადვოკატი, რამინ პაპიძე სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას მიიჩნევს, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ დიდი გაფაციცებით ელოდება სრულიად ადვოკატთა სამყარო...

ნათია შალიკაშვილი კი ამასობაში შიშით ელოდება 2014 წლის 16 სექტემბერს, საკუთარი შვილის დაბადების დღეს.

საუბრის ბოლოს მან „პრაიმტაიმს“ ბათუმური კილოთი ერთი მიამიტური კითხვა დაუსვა: „შვილი იზრდებოდეს და დედას გული უსკდებოდეს, ამნაირი გინახავთ რამე“?

P.S. ამ 5 წლის განმავლობაში ნათია შალიკაშვილი არაერთხელ წავიდა უცხოეთში ბავშვების გასტროლებზე წასაყვანად. ახლახან კი მან პრობაციიდან გაფრთხილება მიიღო იმის შესახებ, რომ ვინაიდან აღსრულების დრო ახლოვდება, მას ეკრძალება საზღვრის გადაკვეთა. კურიოზია, მაგრამ 11 წლით თავისუფლების აღკვეთის მომლოდინე ქალი იმდენჯერ დაბრუნდა ქვეყანაში, რამდენჯერაც საზღვარი გადაკვეთა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის ემირის ყოფი
კავშირი აქვს მას ლაფ

ქალი ვარ და ყოველთვის შურისძიების წინააღმდეგი ვიყავი. ასეთი რამ არასდროს მანიჭებს სიამოვნებას. ეს მე შვილს ვერ დამიბრუნებს. დაე, ალაჰმა დასაჯოს ყველა, ვინც დამნაშავეა...

რა ინფორმაცია
სალამ ზაურბეკ
სპეცოპერაციამ

<u>მარიამ ნადირაძე</u>

ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ გამოძიება ისევ გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს. ჯერჯერობით არავითარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ გაუმხელიათ ოფიციალურ ორგანოებს. კულუარულად ცნობილია, რომ მზად არის იმ ექსპერტიზის დასკვნები, რომელიც რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილთა ექსჰუმაციის შედეგად დაიდო. მაგრამ არც ამ დასკვნის შინაარსს არავის აცნობს გამოძიება.

ეს დუმილი, ბუნებრივია, ექსპერტებსაც და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსაც გარკვეულ და არცთუ უსაფუძვლო ეჭვებს უჩენს.

ოჯახები იმედოვნებენ, რომ გამოძიება სათქმელს საპრეზიდენტო არჩევნებამდე იტყვის, ექსპერტები კი ეჭვობენ, რომ სამართალდამცველები არ აპირებენ მომხდარის შესახებ სრული სურათის წარმოჩენას. მათი ვარაუდით, გამოძიების შესაძლო შედეგები ასეთი იქნება: მომხდარი ამბავი მხოლოდ რეგიონული პრობლემის ჩარჩოებში ჩაჯდება და არავინ შეეხება იმ საერთაშორისო დონის სინდიკატს, რომელსაც ამ პროვოკაციით რეგიონში დესტაბილიზაციის გამოწვევა უნდოდა. და თუ გამოძიება მართლაც ამ ჩარჩოებში მოექცა, არც იმას გამორიცხავენ, რომ ამას შურისძიების მთელი სერიალი მოჰყვეს იმ კონკრეტული ადამიანების მისამართით, ვისაც პროკურატურა დამნაშავეებად გამოგვიცხადებს, თუნდაც ეს ყოფილი ხელისუფლების მინისტრები, ვანო მერაბიშვილი და ბაჩანა ახალაია იყვნენ.

რამდენად იზიარებენ ამ მოსაზრებას დაზარალებული ოჯახები?

„პრაიმტაიმი“ ამჯერად ერთ-ერთი გარდაცვლილის, 20 წლის სალამ ზაურბეკოვის დედას, მალქან ისრაპილოვას ავსტრიაში დაუკავშირდა.

თუმცა, სანამ მასთან ახლა ჩაწერილ ინტერვიუს გაგაცნობთ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა, შეგვეხსენებინა ზოგიერთი რამ, რასაც ის „პრაიმტაიმს“ მაისში უყვებოდა, როდესაც ჩვენ ერთმანეთს დუისში შევხვდით:

მალქან ისრაპილოვა, სალამ ზაურბეკოვის დედა: „დიდი ხანია უკვე ვენაში ვცხოვრობთ. სალამი 7 წლიდან თავისუფალ ჭიდაობაზე დადიოდა. 72 მედალი ჰქონდა აღებული. 22 მარტსაც სპორტული ჩანთით გავიდა სახლიდან. მალე შეჯიბრი ექნებოდა და 2 კილო უნდა დაეკლო. მას მერე აღარ მინახავს. რომ არ დაბრუნდა, ძებნა დავიწყეთ. პოლიციის რწმუნებულსაც შევატყობინეთ, მაგრამ ძებნა არ აღძრა. 18 წლის ზემოთ ბიჭი შეიძლება ნებისმიერ ადგილას იყოსო... მოგვიანებით ჩეჩნური არხებით შევიტყვეთ, რომ ბიჭები საქართველოში მიდიოდნენ, რომ მერე იქიდან ჩეჩნეთში გადასულიყვნენ და ჯიჰადი აღესრულებინათ. მე და ჩემი მეუღლე მაშინვე თბილისში გამოვემგზავრეთ. სხვათა შორის, იგივე თვითმფრინავით მოდიოდა მუჰამედ იბრაგიმოვი, მეტსახელად აბუჰამზა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ახმედ ჩატაევიც ავსტრიიდან გაფრინდა. როგორც ჩანს, მათგან შეიტყო ჩემმა შვილმა იმის შესახებ, რომ საქართველოდან შეიძლებოდა ჩეჩნეთში შეღწევა. ჯერ დუისში ჩავედით. მიგვასწავლეს სახლი, სადაც ის სხვა სამ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დილით დავუდარაჯდით, რადგან გვითხრეს, დილაობით სალოცავად მიდიან და მაშინ შეგიძლიათ ნახოთო. სამი გამოვიდა. ჩემი შვილი კი – არა. როგორც ჩანს, ვიღაცამ შეატყობინა. ეს, ალბათ, აბუჰამზა იქნებოდა. მერე გაირკვა, რომ ის თბილისში წაიყვანეს. ვის არ მივმართეთ და ვის არ ვთხოვეთ დახმარება. პოლიციიდანაც მოვიდნენ, ჩატაევსაც ვესაუბრეთ სკაიპით. დაგვპირდნენ, დეპორტაციას გავუკეთებთ და გამოვუშვებთო. ამ იმედით დავბრუნდი ავსტრიაში. 29 აგვისტოს საქართველოდან იმ ხალხმა დამირეკა, ვინც სალამის ძებნაში მეხმარებოდა და გვითხრეს, რაც მოხდა. ჩამოვედით, რომ ცხედარი მიგვეღო. უარს გვეუბნებოდნენ. იძულებული გავხდი, ავსტრიის პოლიციისთვის მიმემართა. მათაც აქაური შინაგან საქმეთა სამინისტრო გააფრთხილეს, რომ, თუ ცხედარს არ გვაჩვენებდნენ, თავად ჩაერთვებოდნენ საქმეში. შემდეგ კეთილი ინებეს და მაჩვენეს... დაზუსტებით არც ახლა ვიცი ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 4 თვის წინ ავსტრიაში აბუჰამზა ჩამოვიდა და რაღაცები მიამბო. მაგრამ აქვე ვიცი, რომ მისი ნაამბობი მართალი არ არის. მანამდე დუისშიც ვნახე ერთი გადარჩენილი. მეტსახელად ზუბაირს ეძახდნენ. ეს სექტემბერში მოხდა. ეს ბიჭი პოლონეთიდან იყო ჩამოსული. იმუქრებოდა, გაგვყიდეს და სანამ შურს არ ვიძიებთ, არ მოვისვენებთო. ვილაც სანდროს ახსენებდა და ზელიმხანს. არ გვიეჭვია, რომ სროლას აგვიტეხდნენ, თავისი მანქანებით შეგვიყვანეს ხეობაშიო. მიამბო, როგორ წავიდნენ ძალოვნებთან მოლაპარაკებაზე ჩატაევი, აბუჰამზა და მანსური. მერე სროლის ხმა მოესმათ, მაგრამ ყურებს არ დაუჯერეს... როდესაც სროლა ატყდა, ზოგი ჩაის სვამდა, ზოგს ეძინა და ზოგიც მორიგეობდაო. მაინტერესებდა, როგორ გადარჩნენ დანარჩენები. მითხრა, ჩვენ მაღალზე ვიყავით და მოვახერხეთ გამოსვლაო. მაგრამ არ მჯერა. ისინი ნაკაწრის გარეშე გადარჩნენ... როდესაც ბრძანება გასცეს, იარაღი დაყარეთ, კორიდორს გაგიკეთებთ და იქ გაგიყვანთ, საიდანაც მოხვედითო, ცოცხლად ისინი გადარჩნენ, ვინც ეს გააკეთა. ვინც არ დაუჯერა, ისინი მოკლეს. ახლა ველოდები სამართლიან გამოძიებას. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგო, რისთვის მომიკვდა შვილი?“

ამ საუბრის შემდეგ რამდენიმე თვეში „პრაიმტაიმსა“ და ქალბატონ მალქანს შორის საუბარი კვლავ შედგა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ის ამჟამად ავსტრიაში იმყოფება:

– თქვენ იმედოვნებდით, რომ გამოძიება ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა. რა ვითარებაა ამჟამად? რამე შედეგი არის? რამე შეგატყობინეს, თუნდაც ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი?

– მეც მინდოდა გამეგო რამე ექსპერტიზაზე, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს. სხვა გარდაცვლილების მშობლებსაც ვკითხე და მათთვისაც არაფერი მიუციათ. არაფერი იციან.

– ამ ხნის განმავლობაში თბილისიდან ვინმე ხომ არ დაგიკავშირდათ ოფიციალური სტრუქტურებიდან? რამე კითხვები დაგისვეს?

– მხოლოდ ერთხელ იყო, დაახლოებით ორი თვის წინ დამიკავშირდა გამო-

„ჩემს შვილს დაუტოვებია რაღაც ჩიპი თავისი თანამოაზრეებისთვის. დაუბარებია, ჩემს მშობლებს მიეცითო. ამბობენ, ამ ჩიპში მისი ანდერძი უნდა იყოსო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ლი ცოლი აიმა და რა ...ნყურის მოვლენებთან?

მალქან ისრაპილოვა

...ინახება ჩიპში, რომელიც ...ოვმა ლაფანყურის ...დე თანამოაზრეებს გადასცა?

მძიებელი. ჩემს ფოსტაზე რაღაც ფოტოები ჰქონდა გამოგზავნილი კითხვით, ვიცნობდი თუ არა ამ სურათებში ნაჩვენები პირებიდან ვინმეს.

– რა შინაარსის სურათები იყო? ვინ იყვნენ ამ სურათებზე გამოსახულნი?

– ის გამომძიებელი პირადად არ დამკავშირებია. უბრალოდ, სურათები გამომიგზავნა. სხვადასხვა შინაარსის იყო. იქ ჩემი შვილი არ გახლდათ გადაღებული. კითხვა იყო დასმული, ვინმეს ვიცნობდი თუ არა იმ ადამიანებიდან. ზოგი სურათი ზღვაზე იყო გადაღებული, ზოგი – ბუნებაში, საქართველოშიც, ავსტრიაშიც... ზუსტად არ შემიძლია გითხრათ, რადგან იყო სურათები ევროპულ სტილშიც... ბევრი ვიცანი ამ ფოტოებზე, მაგრამ რისთვის სჭირდებოდათ ეს ხალხი, წარმოდგენა არ მაქვს.

– ისინი, ვინც ამ სურათებზე ამოიცანით, თქვენი შვილის მეგობრები იყვნენ?

– არ ვიცი, ჩემი შვილი მათ იცნობდა თუ არა. მაგრამ მე ბევრი ადამიანი ამოვიცანი.

– როგორ ფიქრობთ, როგორ მიდის ამ საქმის გამოძიება?

– ჩემი აზრით, საერთოდაც არავითარი გამოძიება არ მიდის. როცა რამის გაგება მინდა, ყველა ჩუმადაა. გავიგე, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ხალხი მიჰყავთ დაკითხვაზე. იმ ოჯახის წევრებს ჰკითხავენ, ვინც ჩვენ გვიმასპინძლა და მიგვიღო. ჩეჩნები არიან. გვეხმარებოდნენ.

– არსებობს ვარაუდი, რომ გამოძიებას დამნაშავეებად მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკების დასახელება უნდათ და უფრო მსხვილი მასშტაბის დამნაშავეებს შესაძლოა, ხელი დააფარონ...

– მე კი მგონია, რომ არც ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკების დანაშაულს გამოკვეთენ და საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ მხოლოდ ჩეჩნები არიან ყველაფერში დამნაშავეები. ხელისუფლება დაგვპირდა, რომ ყველაფერს ზუსტად გამოიძიებდა, მაგრამ...

– თუ გამოძიება მარტო ამ კუთხით წავა, კონფლიქტის საშიშროება მართლა არსებობს? ამას ექსპერტები ვარაუდობენ...

– ამაზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ის კი ვიცი, რომ, თუ მაინც არ გამოიძიებენ, სიმართლე თავის თავს სადღაც მაინც გამოაჩენს.

– პირადად თქვენ რას აპირებთ?

– მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება მაინც შეეცდება, რომ ობიექტურად და კეთილსინდისიერად ნაიყვანოს გამოძიება...

– შევიტყვეთ, რომ გამოძიება ავსტრიაშიც ტარდება. ამას ავსტრიის ხელისუფლება აკეთებს, თუ რაიმე დაინტერესებული ჯგუფი?

– ჩვენი ხალხი ატარებს აქ გამოძიებას და არ გაჩერდებიან, სანამ ადრე თუ გვიან ყველაფერი არ გაირკვევა. ისინი იძიებენ, ვინ ნაიყვანა ეს ბიჭები ავსტრიიდან. იქ, საქართველოში, რა ჯგუფი ჩამოყალიბდა. როგორ მოახერხეს გადარჩენილებმა თურქეთის გავლით ავსტრიამდე თავისუფლად ჩამოღწევა.

– ვინც ცოცხლად ჩამოღწევა მოახერხა, ამ ადამიანებს შეხვდით?

– კი, შევხვდი და ველაპარაკე კიდეც.

– რას ამბობენ?

– მეუბნებიან, რომ ჩემს შვილს გაუმართლა, რომ ლაფანყურში მოკვდა. რომ ის სამოთხეში მოხვდება. მათ კი არ გაუმართლათ. არადა, ეს ხალხი ჩვეულებრივ, ნორმალურად ცხოვრობს საკუთარ მეუღლეებთან და შვილებთან ერთად.

– რას ყვებიან, რეალურად რა მოხდა ხეობაშიო... თუნდაც, როგორ გადარჩნენ? როგორ გამოაღწიეს? რატომ დაიხოცნენ სხვები?...

– ამას არ ყვებიან. უბრალოდ, ამბობენ, რომ გარდაცვლილებს, მათგან განსხვავებით, გაუმართლა.

– ფაქტებს არ ყვებიან? რამე გვარებს არ ასახელებენ, ვინც ამ საქმეში იყვნენ გარეულნი?

– ამ ადამიანების დასახელება მათ არ აწყობთ. რომ თქვან, ამის შემდეგ ნორმალურად ვეღარ გააგრძელებენ ცხოვრებას. ამბობენ, რომ დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ არ დახოცავდნენ. რადგან ისინი ნორმალურად გაამგზავრეს. მერე კი უთხრეს, რომ საზღვარზე რუსები ელოდებოდნენ და უნდა შეჩერებულიყვნენ. ეს ბიჭები კი არ დანებდნენ.

ყველა თავისებურად ყვება ამ ამბავს. უკვე აღარავის მჯერა. ერთ-ერთ ადამიანს ვესაუბრე ამ ჯგუფიდან. მან მომიყვა, თითქოს ჩემს შვილს დაუტოვებია რაღაც ჩიპი თავისი თანამოაზრეებისთვის. დაუბარებია, ჩემს მშობლებს მიეცითო. ამბობენ, ამ ჩიპში მისი ანდერძი უნდა იყოსო.

– მოგცეს ეს ჩიპი?

– ჯერ არ მოუციათ.

– იქ შესაძლებელია მართლა ანდერძი იყოს? იქნებ სხვა ინფორმაციაა?

– ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ არ მაძლევენ ამ ჩიპს.

– ვის აქვს ახლა ის?

– მათ, ვინც გადარჩა. ისინი, ვინც აქ, ავსტრიაში არიან, მპირდებიან ამ ჩიპის მოძებნას, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობენ. ამბობენ, რომ ჩემს ბიჭს ჰყავდა ქალი, 10-12 წლით უფროსი. მასთან ერთად წასულა საქართველოში. იქ გოგონაც შესძენიათ. ამბობენ, ის ვიღაც ემირის ყოფილი ცოლია, სახელად აიშა.

– საინტერესოა, დაკითხეს თუ არა ეს ქალი ოფიციალურმა ორგანოებმა... ფიქრობთ, რომ იმ ჯგუფში იყო ეს ქალი, როდესაც ლაფანყურში ეს სპეცოპერაცია მოხდა?

– არა. ის იქ ამ დროს არ ყოფილა. ზოგი ამბობს, რომ ის იმ დროს ფეხმძიმე იყო. მე თვითონ ვიკვლევ ამ ამბავს. თუ ჩემს შვილს მართლა დარჩა მემკვიდრე, მინდა ეს დაზუსტებით ვიცოდე. ეს ჩემი პირადი ინტერესია.

– ბევრია ისეთი, ვინც ლაფანყურში სპეცოპერაციის დროს გადარჩა და ახლა ავსტრიაში ცხოვრობს?

– სამნი არიან.

– ისინი არ დაუკითხავთ?

– როდესაც გამომძიებლები აქ ჩამოვიდნენ, მე მაშინ საქართველოში ვიყავი.

– ამბობენ, თითქოს ერთი დაიკითხა მხოლოდ.

– ვიცი, რომ იყვნენ ჩემს ოჯახში. დაგვპირდნენ, რომ კიდევ ჩამოვიდოდნენ...

– ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში ჩართული იყვნენ საერთაშორისო დონის ფიგურები და საქართველოს გამოძიება არ აპირებს მათ დასახელებას...

– რა თქმა უნდა, იყვნენ... ვიღაცას, ძალიან სერიოზულს დანამდვილებით უნდოდა, რომ ეს ბიჭები საქართველოში ჩაეყვანა და იქ ის მომხდარიყო, რაც მოხდა... მე ზუსტად ვიცი, რომ ამ ჯგუფში იყო ადამიანი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაღაც სინდიკატთან და ყველა ინფორმაციას მათ გადასცემდა. ის იქ შემთხვევით დაიღუპა. ის არ იყო არც ქართველი და არც ჩეჩენი.

– ვისზე მიანიშნებთ? გარდაცვლილთა ვინაობა ოფიციალურად ცნობილია...

– არ მინდა მისი ვინაობის დასახელება. შესაძლებელია ეთნიკურად იყო კიდეც ჩეჩენი, მაგრამ მთავარია, ვის ინტერესებზე მუშაობდა.

– როგორ ფიქრობთ, თუ გამოძიება მართლა აარიდებს თავს ამ მიმართულებით მუშაობას, ამას რის გამოწვევა შეუძლია?

– ყველაფერი უფლის ხელშია. სასჯელი მაინც იქნება. ძალიან არ მინდა ამაზე საუბარი, მაგრამ... არ ვიცი, რას ფიქრობენ სხვა მშობლები, მაგრამ... ეს ყველაფერი ალაჰის ხელშია.

– სხვა მშობლებს როცა ვესაუბრეთ, გაირკვა, რომ ისინი იმედოვნებენ, თითქოს არჩევნებამდე გამოძიება თავის სათქმელს იტყვის...

– რომელ არჩევნებზეა საუბარი? რამდენჯერ შეიძლება არჩევნებზე დავამყაროთ იმედები? როცა გვამის გადმოცემას გვპირდებოდნენ, მაშინაც არჩევნებამდეო, გვეუბნებოდნენ... მერე ისევ არჩევნებს გვიხსენებდნენ, როცა რაღაც მნიშვნელოვანი იყო გადასაწყვეტი. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? ამით, უბრალოდ, დროს ნელავენ, მეტი არაფერი. საქართველოს ხელისუფლება დაგვპირდა, რომ დეტალურად და პატიოსნად გამოიძიებდა ყველაფერს. 100 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ ასეც მოიქცეოდნენ, მაგრამ ახლა სულ სხვა რამეს ვხედავ.

– რას ხედავთ?

– არაფერსაც არ გააკეთებენ. თუ რამე გამოიკვეთა გამოძიებით, ამასაც გააქრობენ, თუ უკვე არ გააქრეს.

– ამის რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ მათ. ახლა ხომ ახალი ხელისუფლებაა საქართველოში? ეს სპეცოპერაცია კი ძველი ხელისუფლების კისერზეა...

– ისინი ყველა ერთმანეთთან კავშირშია. რამდენიმე ჩეჩენი ბიჭია გარდაცვლილი. ეს რა არის იმ პოლიტიკასთან შედარებით, რაც იქ ხორციელდება?

– აქ ექსპერტები შესაძლო შურისძიებაზეც საუბრობენ იმ ადამიანების მისამართით, ვისაც გამოძიება დამნაშავეებად დაასახელებს...

– არასდროს დაუტოვებიათ ჩეჩნებს ვინმე შურისძიების გარეშე. ეს ხომ თქვენთანაც და ჩვენთანაც ერთნაირად ხდება? მაგრამ ადამიანმა უნდა იცოდეს, ვისზე უნდა იძიოს შური...

– ვთქვათ, გამოძიების მიერ გამოკვეთილ „დამნაშავეებზე“...

– არ ვიცი. ამ საკითხზე პასუხს ვერ გაგცემთ. ქალი ვარ და ყოველთვის შურისძიების წინააღმდეგი ვიყავი. ასეთი რამ არასდროს მანიჭებს სიამოვნებას. ეს მე შვილს ვერ დამიბრუნებს. დაე, ალაჰმა დასაჯოს ყველა, ვინც დამნაშავეა. რაც შეეხება იმას, რას ფიქრობენ ჩვენი მამაკაცები, ამის შესახებ ისინი ხმამაღლა არასდროს იტყვიან. იტყვიან, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხვალ შურს იძიებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის ლევან

რა კავშირები რუსეთთან და დაბრუნდა საქ

EXCL

ერეკლე სტურუა

რადიკალი პრორუსები ბრუნ-დებიან. ჯერ თემურ ხაჩიშვილი ჩამოვიდა, სკანდალური განცხ-ადებით ქართველ პენსიონერებს რუსულ პენსიას დაჰპირდა და გა-რანტად რუსეთის ბიუჯეტი „ჩა-დო“. ანუ ფულს პუტინი იხდისო. ახლახან კი ლევან პირველიც გვ-ესტუმრა. ბრალდებები ორივეს მისამართით საკმაოდ მძიმეა. ხა-ჩიშვილი, რა თქმა უნდა, „მხედრი-ონთან“, სამოქალაქო დაპირისპ-ირებასთან და სისხლისღვრასთან ასოცირდება. ანუ ყველაფერ იმ-ასთან, რაც 90-იანი წლების და-საწყისში საქართველოში ხდებ-ოდა. ლევან პირველს კი ბრალად მკვლელობა ედება. ქორწილში დაქვრივებული ახალგაზრდა გო-გო ირწმუნებოდა, რომ საკუთარ ქორწილში მას მეუღლე სწორედ ლევან პირველმა მოუკლა.

ბრალდებებს ხაჩიშვილიც უარყ-ოფს და ლევან პირველიც. სამაგი-ეროდ ორივე მათგანი ჰონორზეა და პოლიტიკაში დაბრუნების პრ-ეტენზია აქვს. სწორედ რუსეთში ხედავენ ისინი საკუთარი შელახუ-ლი რეპუტაციის აღდგენის თუ არა, შელამაზების საშუალებას მაინც და ფინანსური რესურსებიც სწორედ იქ ეგულებათ.

რუსეთს, შეიძლება ითქვას, ორ-ივე მათგანი თავისებურად და სა-კუთარი შესაძლებლობების ფარგ-ლებში ეხმარებოდა. სააკაშვილის დროს თითქმის ყველა იმ ღონისძ-იებაში მონაწილეობდნენ, რომე-ლიც მაშინდელ ხელისუფლებას და-ასრულებდა; ახლა, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ერთი ნაბიჯით წინ წაიწიეს და ამიტომაც ევრაზიულ კავშირზე ალაპარაკდნენ.

ხაჩიშვილიც ამ მისიით ჩამოვიდა და პირველიც. პირველმა ერთხელ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტ-ერვიუში განაცხადა კიდეც:

– ჩემი მთავარი ამოცანა საერთა-შორისო ორგანიზაციებთან სააკაშ-ვილის რეჟიმის კრიტიკაა. ამ რეჟი-მის პირობებში არანაირ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს. როცა ის შეიცვლება, სუფთა მოედანზე მე ჩემი იდეები მაქვს...

ამ იდეების წარმოჩენას ლევან პირველი ახლა ცდილობს და პა-რალელურად არც სისხლისღვრას, რევოლუციასა და სამოქალაქო და-პირისპირებას გამორიცხავს. ანუ 90-იანი წლები, იგივე, ვთქვათ, ხა-ჩიშვილის საქართველოც, შეიძლება დაბრუნდეს.

ლევან პირველს ალექსანდრე ებრალიძესთანაც ჰქონდა ურთი-ერთობა და მინდია გულუასთანაც. ებრალიძის ფინანსებით შექმნეს კონგრესი, სადაც არაოფიციალური შეხვედრები იმართებოდა.

კონგრესის გარდა, არაოფიცი-ალური შეხვედრები სხვაგანაც იმ-ართებოდა და ლევან პირველი იქ ჩნდებოდა პუტინთან დაახლოებულ ჟურნალისტ მაქსიმ შევჩენკოსთან ერთად.

შევჩენკო ვენის შეხვედრების გამო წუხდა, ქართული მედია ინფო-რმაციებს მალავსო. მაშინ „პრაიმტ-აიმმა“ შეკითხვით მიმართა შევჩენ-კოს:

„პრაიმტაიმი“: მაგალითად, რას უმალავს?

მაქსიმ შევჩენკო: უმალავს, მა-გალითად, იმას, რომ პარიზში ყოფნ-ისას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე შეხვდა და ესაუბრა ლევან პირველს – შესანი-შნავ ქართველსა და თავისი ქვეყნის პატრიოტს. აბა, რომელმა თქვენგ-ანმა იცით ამ შეხვედრის შესახებ?

ამ შეხვედრის შესახებ მართლაც არავინ არაფერი ვიცოდით. პატრ-იარქის მდივანმა, მიქაელ ბოტკოვ-ელმა კი მხოლოდ ის გვითხრა, რომ ლევან პირველი ნამდვილად იმყო-ფებოდა პარიზის ტაძარში, სადაც ილია მეორემ წირვა აღავლინა (სპ-ეციალურად ჩამოვიდა ამ მიზნით ვენიდან), თუმცა მისთვის უცნობია, გაიმართა თუ არა პირისპირ შეხვ-ედრა და რას ეხებოდა საუბარი.

„პრაიმტაიმი“: ვინ აფინანსებს ვენის შეხვედრებს? ამბობენ, რომ მთავარი დამფინანსებელი ალექსანდრე ებრალი-ძეა.

მაქსიმ შევჩენკო: ამ ღონისძიებას აფინანსებენ ავსტრიული ორგანიზა-ციები, ხოლო ალექსანდრე ებრალიძე აქტიური მონაწილე იყო და მეტი არაფ-ერი. ის ქართველი პატრიოტია, ძალიან უყვარს საქართველო და ჩემთვის გა-უგებარია, რატომ გამოიწვია საქართ-ველოში ასეთი მწვავე რეაქცია სოჭში გაკეთებულმა მისმა განცხადებამ – პრ-ეზიდენტობის თაობაზე. მით უმეტეს, რომ ალექსანდრე ებრალიძე საქართვე-ლოს მოქალაქე არ არის და საპრეზ-იდენტო არჩევნებშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას

„პრაიმტაიმი“: ამბობენ, ის მუ-ხროვანის პუტჩს აფინანსებდაო.

მაქსიმ შევჩენკო: ამ ბრალდე-ბებს დამტკიცება სჭირდება.

პუტჩთან კავშირს ოფიცია-ლურად ყველა უარყოფს, თუ-მცა ფაქტია, რომ ზემომყვ-ანილი ფიგურები პირდაპირ თუ ირიბად პუტჩისტებთან-აც იყვნენ დაკავშირებულნი და ყველა იმ მოძრაობასთან, რომელიც სააკაშვილის გა-დაყენებას მოითხოვდა.

შემდეგ ყველაფერი რუ-სული პროტოკოლის მიხე-დვით: უარი კოჰაბიტაციას, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა, ნა-ციონალების დაჭერა და გა-სამართლება და ევრაზიულ კავშირში შესვლა. ამ იდ-ეოლოგიას სხვა რადიკალ პრორუსებს შორის ლევან პირველიც იზიარებს.

ლევან პირველმა კოჰაბიტაციის შესახებ საკუთარი აზრი „პრაიმტაიმთან“ დააფიქსირა:

– სავარაუდოდ, რადიკალურ ამბებამდე მივა ეს ყველაფერი... ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს მოხდეს იმ გზით, რა გზითაც წარსულში ხდებოდა. არის კიდევ მეორე თეორიული გზა – როდესაც ქვეყანა გადადის მხოლოდ შიდა პოლიტიკურ ბრძოლაზე, წინსვლა არ არის და სწორედ ამან შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები, მათ შორის პარლამენტის დაშლა... დარწმუნებული ვარ, რომ მესამე ძალა გამოჩნდება, იმიტომ რომ პოლიტიკური ვაკუუმი იქმნება. ეს ორი პოლიტიკური ძალა ისეა ერთმანეთით გართული, რომ ქვეყანაში არანაირი წინსვლა არ არის. ყოველთვე გაიზრდება იმ ხალხის რაოდ-ენობა, ვინც ხვდება, რომ ქვეყანა პოლ-იტიკურ კრიზისში შედის. ხალხი თვითონ დაიწყებს ძიებას და სწორედ მაშინ გა-მოჩნდება სხვა პოლიტიკური ძალა, რ-ომელიც სიტუაციას გამოასწორებს. თვ-ითონ ვითარება შექმნის მესამე პოლ-იტიკური ძალის აუცილებლობას. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ვინ იქნება ეს, დღეს ცოტა რთულია თქმა, მაგრამ კრიზისის დროს უფრო აშკარა გახდ-ება. გეტყვით, რა ტიპის იქნება მესამე ძალა – ის გამოვა განსხვავებული ლო-ზუნგებით, ვიდრე ეს ორი არსებული. მათ ლოზუნგები ძირითადად ერთნაირი აქვთ. ისინი იბრძვიან ხელისუფლებაში გამაგრებისთვის და საკუთარი ეკონომ-იკური ინტერესების დასაცავად. მოსა-ხლეობა, რომელსაც ორივე ძალისგან ეს განცხადებები და დეკლარაციები ესმის, მალე დაიღლება და მოვა დრო, როცა ახ-ალი ლოზუნგები გაჩნდება.

მესამე პოლიტიკურ ძალაში, ალბათ, სწორედ ისინი მოიაზრებიან, ვისთვისაც ევრაზია არის ამოსავალი.

ლევან პირველის პოლიტიკაში გააქ-ტიურება, რომელიც ყოველთვის ფუ-ლთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე პოლ-იტიკასთან და მძიმე ბრალდებისა თუ სხ-ვა მოტივებით გაიქცა საქართველოდან, დღეს ბევრ შეკითხვას ბადებს.

როგორც მიანიშნებენ, ის ფინანსური წრეები, რომლებთანაც პირველს ურთი-ერთობა ჰქონდა, იაპონჩიკის, პატარკ-აციშვილისა და ბერეზოვსკის ხაზი იყო.

სოცქსელებში დაიწერა: „ლევან პი-რველის ბიზნესში მოსვლა რიჩარდ ჯა-ვახაძისა და, შესაბამისად, დათო სანი-კიძის დამსახურებაა, რომლებთანაც ის ავსტრიაში ყოფნის დროს მე-გობრობდა. საქმეში

„პარიზში ყოფნისას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე შეხვდა და ესაუბრა ლევან პირველს...“

მაქსიმ შევჩენკო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველი

აქვს მას რატომ ართველოში

USIVE

„სავარაუდოდ, რადიკალურ ამბებამდე მივა ეს ყველაფერი... ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს მოხდეს იმ გზით, რა გზითაც წარსულში ხდებოდა“

ჩახედულნი იმასაც ამბობენ, რომ წარმატებული ბიზნესი ლევან პირველმა, სწორედ, სანიკიძე-ჯავახაძის ფულზე ააგო... დათო სანიკიძე 80-იან წლებში გამოჩნდა. მას ფართო კონტაქტები ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის საქმიან წევრებთან. მის ფინანსურ ოპერაციებში ყოველთვის რუსეთში ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის, ვიაჩესლავ ივანკოვის (იაპონჩიკის), ფული ბანდდებოდა და წარმატების შემთხვევაში მონაგები ერთი ორად იზრდებოდა (ცნობისთვის: ვიაჩესლავ ივანკოვი ბადრი პატარკაციშვილისა და ბერეზოვსკის ჯგუფის სხვა წევრებთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა). როგორც ამბობენ, მის ბიზნესს ედუარდ შევარდნაძე მფარველობდა.

რიჩარდ ჯავახაძე – ასოცირდება კრიმინალურ ავტორიტეტთან. მისი ვაჟის, აკაკი ჯავახაძის სახელთან ასოცირდება ბევრი მკვლელობა თბილისში. ის სანიკიძის მფლობელობაში მყოფი სასტუმრო „მეტეხის“ მენეჯერი იყო“.

ბიზნესში – კრიმინალური კვალი, პოლიტიკაში – ტერორისტული შეხედულებები. მაგრამ ვიღაც შევჩენკოს რომ აქვს ასეთი შეხედულებები, ამის გაგება კიდევ შეიძლება. პუტინთან დაახლოებული ჟურნალისტი რომ მიიჩნევს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელია, ეს გასაგებია და არა მისაღები, მაგრამ ლევან პირველს რომ ეს სრულიადაც არ აწუხებს, ესაა გაუგებარიც და მიუღებელიც.

და საერთოდაც, „კაგებეს“ აგენტია ლევან პირველი? ფული უფრო უყვარს ვიდრე საქართველო? თუ არის რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ ლევან პირველს, ნინო ბურჯანაძესა და ვალოდია პუტინს ესმით და დანარჩენ სამყაროს არა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის ფულს ხარჯავს ნინო ბურჯანაძე?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დედაქალაქში მოძრაობისას, ალბათ, ხშირად შეამჩნევდით წინასაარჩევნო სარეკლამო ბანერებს... მათი რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, სარეკლამო კომპანიებს ნამდვილად ოქროს ხანა უდგათ. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ფართომასშტაბიანი კამპანიით ნინო ბურჯანაძე სარგებლობს. სწორედ მისი გამოსახულებიანი ბილბორდები სჭარბობს ყველაზე მეტად დედაქალაქში. „სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის" – ამ სლოგანით არის გაფორმებული ნინო ბურჯანაძის სარეკლამო ბანერები. ბურჯანაძის გარდა, სხვადასხვა უბნებში შეხვდებით „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის ბილბორდებსაც. კონკურენტებისგან განსხვავებით, გარე სარეკლამო ბაზარი ჯერჯერობით არ აუთვისებია „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს.

დედაქალაქში სარეკლამო ბილბორდების განთავსება 540-დან 8000 დოლარამდე ჯდება

„პრაიმტაიმი" დაინტერესდა, რა უჯდებათ საპრეზიდენტო კანდიდატებს სარეკლამო კამპანია. კომპანია „აუთდორში", რომელიც გარე რეკლამის ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა, განგვიმარტეს, რომ ფასები ბილბორდის მოცულობასა და ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული. დაინტერესებული პირები კომპანიასთან, მინიმუმ, ერთთვიან საიჯარო ხელშეკრულებას აფორმებენ, რომლის ყველაზე მინიმალური ღირებულება 540 დოლარია, დედაქალაქის ცენტრალურ უბანში, მოძრავი პრიზმის სახით, სარეკლამო ბილბორდის განთავსება კი 4000-დან 8000 დოლარამდეც მერყეობს. მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატისთვის, ცხადია, ფინანსები სარეკლამო კამპანიისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მას ხომ ზურგს მილიარდერი პრემიერი უმაგრებს. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის ზურგს, „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი დაფინანსების წყაროებს კვლავაც ასაიდუმლოებს, შესაბამისად, რჩება სივრცე სხვადასხვა ვერსიებისთვის.

სარეკლამო ბილბორდების გარდა, ნინო ბურჯანაძე ერთმანეთის მიყოლებით ხსნის საარჩევნო შტაბებსაც, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაფინანსების ნაწილს მალავს. ამის შესახებ განცხადება გასულ კვირას აუდიტის სამსახურმა გააკეთა. უწყებამ მოკვლევის შედეგად ბურჯანაძის 90-მდე საარჩევნო შტაბი აღმოაჩინა მაშინ, როდესაც პარტიას დეკლარაციაში მხოლოდ 19 ოფისი ჰქონდა მითითებული.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „დემოკრატიული მოძრაობის" მიერ, 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი დეკლარაცია შეისწავლა, სადაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ 1 ოფისის იჯარა. მაშინ, როდესაც მათ ვებგვერდზე განთავსებული იყო დეტალური ინფორმაცია 9 ოფისის შესახებ. წინასაარჩევნოდ, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის მიერ, თითქმის ყველა რაიონში იხსნებოდა და იხსნება ოფისები. ამის შესახებ ინფორმაციებს საინფორმაციო საშუალებებიდან ვიღებთ. ამ ოფისების შესახებ ინფორმაცია აუდიტის სამსახურში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამიტომ დაიწყო შემოვლა, აღმოჩენილ და დასურათებულ იქნა დაახლოებით 90-მდე ოფისი, პარტიის მიერ კი, 13 სექტემბრის მდგომარეობით, მხოლოდ 19 ოფისი იქნა დეკლარირებული. ამის შედეგად, მონიტორინგის სამსახურის მიერ დაიწყო გამოკითხვების ჩატარება და მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ გაიზარდა პარტიის მიერ დეკლარირებული ოფისების რაოდენობა 72-მდე, როგორც არაფულადი შემოწირულობა და წარმოადგინეს შესაბამისი ღირებულებები", – განაცხადა აუდიტის სამსახურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა რუსუდან შამუგიამ.

მისივე თქმით, აუდიტის სამსახურმა, მათ მიერ აღმოჩენილ ოფისებზე დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა „რათა დადგინდეს პარტიის მიერ დამალული ოფისების საბაზრო ღირებულება, პარტიის მიერ გაღებული ხარჯის დადგენის მიზნით".

ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ირაკლი ბათიაშვილი ეჭვობს, რომ აუდიტის სამსახური მიზანმიმართულად ეწევა „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის დისკრედიტაციას. რაც შეეხება ფინანსებს, ის ამბობს, რომ საარჩევნო კამპანია, მათ შორის სარეკლამო სეგმენტი და ოფისები, ძირითადად შემოწირულობებით ფინანსდება.

„ნინო ბურჯანაძის ბილბორდები იმის მეათედიც კი არ არის, რაც მარგველაშვილის. რატომ ამ კუთხით არ ისმის კითხვები, იგივე აუდიტის სამსახურის მხრიდან? თავის დროზე რა ქმედებებსაც ახორციელებდა მოგელაძე, ზუსტად ანალოგიურ ქმედებებთან გვაქვს საქმე დღესაც. შემოდიან ოფისებში, იბარებენ, მიდის ტოტალური შემოწმებები. რატომ? სხვა პარტიებს ოფისები არ აქვთ? ზუგდიდის ოფისში შემოვიდა, მაგალითად, ექსპერტიზის ბიურო, დაიწყეს აზომვები ჩვენს ოფისში, მოპირდაპირე მხარეს მდებარე „ქართული ოცნების" ოფისით, რა თქმა უნდა, არც კი დაინტერესებულან. თეთრი წყაროში შემოვიდნენ ასევე, ზედა სართულზე არის ჩვენი ოფისი, ქვეითი – ნაციონალების, ნაციონალების არ გვაინტერესებსო, ჩვენი ოფისით დაინტერესდნენ მაინცდამაინც. ერთი მოიკითხეთ, საერთოდ გადახდილია თუ არა მარგველაშვილის ბილბორდებში თანხა. ნინო ბურჯანაძეს ყველაფერი გადახდილი აქვს და კანონის დარღვევით არაფერი კეთდება. რაც შეეხება ქალბატონ ნინოს კამპანიას, ყველაფერი აღრიცხულია საარჩევნო ფონდში. არის შემოწირულობები. მათ შორის სერიოზული შემოწირულობები", – ამბობს „პრაიმტაიმთან" საუბრისას ირაკლი ბათიაშვილი.

აუდიტთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გაუჩნდა ნინო ბურჯანაძესაც. ის ეჭვობს, რომ სახელმწიფო მანქანა მის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მუშაობს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით:

– ჩვენი წარმომადგენლები ხვდებიან აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს, სადაც, ალბათ, წინასწარ, ან უკვე საბოლოო დასკვნას გვეტყვიან. ერთი რამ ფაქტია – აუდიტის სამსახურმა ჩვენი პარტიის შემოწმება ძალიან მასშტაბურად დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, არ მსმენია, რომ სხვა პარტიებსაც ასე ამოწმებდნენ.

იყო თუ არა ეს პოლიტიკური შეკვეთა, ვერ გეტყვით. ეს გამოჩნდება დასკვნის შემდეგ. არ მიდა წინასწარი დასკვნები გავაკეთო. უბრალოდ, ამან ძალიან მასშტაბური ხასიათი რომ მიიღო, ფაქტია.

ის, რომ ყველა ოფისის მეპატრონეს იბარებდნენ, ზოგჯერ იბარებდნენ არაუფლებამოსილ პირს, ანუ, ვთქვათ, არა მეპატრონეს, რომლის სახელზეც იყო გაფორმებული ოფისი, არამედ მის პრობაციონერ ქმარს, ან შვილს... თავიდანვე გავაკეთე განცხადება, რომ კონტროლის პალატა, აუდიტის სამსახური დამსჯელი ორგანოები არაა და წესით, ისინი დარღვევას კი არ უნდა ელოდებოდნენ, თუ ასეთი ფაქტები იყო, მათ მამინვე უნდა შეეტყობინებინათ ჩვენთვის და მოეცათ რეკომენდაცია, სასწრაფოდ გაგვეფორმებინა ოფისი, ან მიგვეღო ზომები, რომ ხარვეზი არ ყოფილიყო. ჩვენ ამ ხარვეზს აუცილებლად აღმოვფხვრიდით. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს, მაგრამ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ასეთი მასშტაბური შემოწმება რომ ხდება, ეს კითხვებს აჩენს.

შემოწირულობად მიღება ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მხარდამჭერი უფასოდ, ან ძალიან შეღავათიან ფასად გვითმობს ოფისს. ასეთი ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ დაზუსტებით ვერ გეტყვით. მე ნამდვილად არ მცალია ასეთ დეტალებში ჩასახედად. მე ვიცი ერთი რამ, რომ ჩვენი პარტია ის გამონაკლისია, სადაც ადამიანები ენთუზიაზმით მოდიან და ეს ბოლო წლებშიც გამოჩნდა.

ვინ არიან ბურჯანაძის შემომწირველები? ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს „დემოკრატიულ მოძრაობაში" არ იძლევიან. საზოგადოების ნაწილი კი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბურჯანაძე უცხოეთიდან ფინანსდება. გასულ კვირას, პუბლიცისტმა მაია ორჯონიკიძემ, საკუთარ წყაროზე დაყრდნობით, ინგა გრიგოლიას გადაცემაში განაცხადა, რომ „აქვს ინფორმაცია საქართველოში რუსეთიდან 10 მილიონი დოლარი შემოსვლის შესახებ". **მაია ორჯონიკიძეს** ჩვენ ამ ინფორმაციის დაკონკრეტება ვთხოვეთ:

„მე არ მაქვს კონკრეტული მტკიცებულება და ცხადია, ამას ვერ დავადასტურებ, თუმცა პიროვნებას, რომელმაც ეს მითხრა, ვენდობი და ვიცი, რომ შიგნიდან აქვს ეს ინფორმაცია. დიახ, საუბარია რუსეთიდან 10 მილიონი დოლარის შემოსვლაზე და გასაკვირი ის იქნებოდა, ეს თანხა ბურჯანაძესთან რომ არ წასულიყო", – ამბობს მაია ორჯონიკიძე.

მოკვლევის შედეგად ბურჯანაძის 90-მდე საარჩევნო შტაბი აღმოაჩინეს, მაშინ, როდესაც პარტიას, 13 სექტემბრის მდგომარეობით, დეკლარაციაში მხოლოდ 19 ოფისი ჰქონდა მითითებული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიხეილ სააკაშვილის მეორე სუნთქვა, ბიძინა ივანიშვილის „გარჩევები“ და ნინო ბურჯანაძის „ქაოსი“

„საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო კვირეებისა თუ თვეების მანძილზე გაკეთებული მეგობრული განცხადებების მიუხედავად, რუსული საოკუპაციო ძალები აგრძელებენ წინსვლას, ხალხს ყოფენ მავთულხლართებით...“

ქეთი ხატიაშვილი

რაც დრო გადის, არჩევნები საქართველოში სულ უფრო დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ტარდება. უფრო ზუსტად, მით უფრო დემოკრატიულია არჩევნები, რაც უფრო სუსტია პრორუსული ძალების ჩართულობა საარჩევნო პროცესში. მიზეზი მარტივია – საქართველოში პრორუსული ორიენტაცია იმდენად არაპოპულარულია, რომ ისინი არჩევნებში არც მონაწილეობენ. დემოკრატიულ წესრიგში მათ გამარჯვების არანაირი შანსია არ აქვთ, მხოლოდ რუსული ქაოსის პირობებში შეუძლიათ ხელისუფლებაში მოსვლა.

ამ ქაოსის შექმნას კი ყოველთვის ცდილობდნენ – სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფიგურები სხვადასხვა დოზითა და ფინანსური საშუალებებით.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, კანონმდებლობა და მომზადება დასავლური გვაქვს, გარემო – ჯერ ისევ სახიფათო. ყოველ არჩევნებს ელექტორატი მეორედ მოსვლის შიშით ხვდება. „ამრევის“ როლში ყოველთვის პრორუსული ძალები არიან.

და საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისი სულაც არ არის. ბალტიისპირა ქვეყნები დიდი ხანია ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან, თუმცა, რუსეთი მათ კბენას მაინც ახერხებს. დემოკრატიული წესრიგის შესანარჩუნებლად ამ ქვეყნებში დღემდე არსებობს რუსულენოვანი მოსახლეობის პრობლემა. ეს ის ნაპერწკალია, რომელზეც რუსული ნავთის დასხმას მოსკოვი მუდმივად ცდილობს. ზოგჯერ წარმატებითაც. ამ ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში ახლა პირველად გაჩნდა პრორუსული ორიენტაციის პარტიები. მართალია, ჯერ ისინი ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილნი, თუმცა კრემლი მათი მეშვეობით ამ სივრცეში დაკარგული გავლენების დაბრუნებას მაინც შეეცდება. არის შემთხვევები რუსეთის მხრიდან საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებითაც.

უკვე ევროპულ ბალტიაზეც კი ცდილობს პუტინი ხელის ფათურს, არაფერს ვამბობ ისეთ ქვეყნებზე, როგორი უკრაინა, მოლდოვა, საქართველო ან აზერბაიჯანია. ამ ქვეყნებში არჩევნები ნამდვილ კოშმარს ემსგავსება, სწორედ რუსული ფაქტორის გამო. უკრაინა, მაგალითად, ბოლო არჩევნებში ორად გაყოფის რისკის ქვეშ დადგა.

მეთოდები შესაძლოა, სხვადასხვაა – ბალტიაში ის იარაღად რუსულენოვან მოსახლეობას იყენებს, მოლდოვასა და საქართველოში – ტერიტორიებს, უკრაინას გაყოფით დაემუქრა... თუმცა, მიზანი ყველგან ერთია – ქაოსის შექმნა ოქროს თევზის დაჭერის მიზნით. თევზაობა მას ბალტიაში უჭირს, ამ ქვეყნებს დასავლეთი იცავს. დანარჩენი ქვეყნები კი იძულებულები ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ანკესს არ წამოვეგოთ. თუმცა, ეს იოლი სულაც არ არის. უკრაინა თუ დასავლეთად და აღმოსავლეთად გაყოფის საფრთხის წინაშე იდგა, ახლა ჩვენ რუსეთის მხრიდან მცოცავ ოკუპაციას ვადევნებთ თვალს.

ასეთ ქმედებებს, როგორც წესი, რუსეთი სწორედ არჩევნების დროს მიმართავს ხოლმე. ასე იყო და არის პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდ უმრავლესობაში. დანარჩენები, უბრალოდ, ელოდებიან, რას იზამენ, მაგალითად, იგივე უკრაინა ან საქართველო. თუკი მათ გამოუვათ, ეს შემდეგ ჯაჭვური რეაქციით გადაედება მთელ რეგიონს, ამიტომაცაა პუტინისთვის ასე მნიშვნელოვანი სწორედ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური არენიდან გაქრობა. სააკაშვილი ის უკანასკნელი რეგიონული ლიდერია მის თვალში, რომელმაც კრემლის მეპატრონეს ევრაზიული წესრიგის დამყარებაში შეიძლება ხელი შეუშალოს.

პუტინს სააკაშვილისადმი თავისი დამოკიდებულება არასოდეს დაუმალავს. ყველასთვის გასაგები იყო, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის მთავარი მისია სწორედ სააკაშვილის პოლიტიკიდან გაყვანა იყო. ამიტომაც არის თავად ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა კანონზომიერი. შესაძლოა, სწორედ ამას გულისხმობს პრემიერი, როცა ამბობს, რომ მან დაპირება შეასრულა – ოპოზიციას მას პოლიტიკურ ბრძოლაში დაეხმარა და ხელისუფლებაში მოიყვანა.

თუმცა, აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სააკაშვილის პოლიტიკიდან გაყვანა მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც პუტინის დავალების შესრულება. ივანიშვილი რუსული პროექტის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

პროექტი ნინო ბურჯანაძეა. მას რომ არჩევნები მოეგო, პროდასავლური ძალებისგან მთელ ქართულ სივრცეს გაწმენდდა. მცდელობა ნამდვილად ექნებოდა... ბიძინა ივანიშვილს სწორედ იმას საყვედურობენ, რომ ნაციონალები, ანუ პროდასავლური ძალები არ აღგავა პირისგან მიწისა. სწორედ ამას ეძახის ნინო ბურჯანაძე სამართლიანობის აღდგენას. ის ამ შემთხვევაში პუტინის ამორძალია.

ბიძინა ივანიშვილმა კი საქართველო თითქოს ისევ არჩევანის წინაშე დააყენა. პუტინი, ისევე როგორც თავის დროზე გორბაჩოვი და ელცინი, კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდეს რომ რუსეთის პრობლემა პრეზიდენტები – გამსახურდია, შევარდნაძე ან სააკაშვილი – კი არ იყვნენ და არიან, არამედ ქართველი ხალხი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას ირჩევს. აი, ეს არჩევანი უნდა გააკეთოს საქართველომ უახლოეს არჩევნებზე.

რატომაც არა, შესაძლოა, ხალხს მართლაც მოუნდეს იცხოვროს არა ისე, როგორც ბალტიის ქვეყნები, არამედ ისე, როგორც ბელორუსი, და ევრაზია არჩიოს ევროკავშირს. მაგრამ თუკი საქართველოს მოქალაქეები ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაშინ მათ ჯერ რუსთაველის გამზირიდან 9 აპრილის მემორიალური დაფა უნდა აიღონ. მაშინ ნინო ბურჯანაძეს მართლაც არ უნდა ჰქონდეს უფლება, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპული გმირი ბიჭების საფლავები გვირგვინით შეამკოს.

ასე რომ, ბიძინა ივანიშვილმა თითქოს შანსი მისცა როგორც პრორუსულ ძალებს, ისე პროდასავლურ ფიგურებს, საქართველოში თავიდან მოიპოვონ გავლენები. შესაძლოა, ეს ცუდია და იმ წარსულში გვაბრუნებს, როცა ასეთი არჩევანი ერთხელ უკვე გამოვხატეთ არჩევნებისა თუ რეფერენდუმის გზით, თუმცა ეს მაინც ის რეალობა აღმოჩნდა, რომელსაც თავი ვერ დავაღწიეთ. საკმაოდ დიდი იყო მოსკოვის მხრიდან ქართულ პოლიტიკაში ქაოსის შემოტანის მცდელობა. გარკვეულწილად ეს ქაოსი ბიძინა ივანიშვილმა თითქოს შეაჩერა კიდეც.

გამსახურდიას ერთი წელიც არ აცადეს, ის რუსული ფულითა და იარაღით ჩამოაგდეს; შევარდნაძეს რუსეთმა ორი ტერაქტი მოუწყო, მაშინ მოსკოვი, შეიძლება ითქვას, მთლიანად აკონტროლებდა შევარდნაძის მთავრობას. ზოგს კორუფციის ინტერესით, ზოგსაც – იდეოლოგიურად. სააკაშვილი მუდმივ რუსულ თავგადასავლებში იყო.

ახლა საფრთხის წინაშე ბიძინა ივანიშვილი დადგა. დავით უსუფაშვილმა მართალია, დაგვარწმუნა, რომ სჯერა ნინო ბურჯანაძის, როცა ის ამბობს, რომ ჭორებს არც თავად ავრცელებს და არც მისი მითითებით ვრცელდება. თუმცა, ამ მხრივ, ალბათ, ჟურნალისტებმა გაცილებით მეტი ვიცით. დიახ, ნინო ბურჯანაძის ოფისი პირად საუბრებში ხშირად, ზოგჯერ კი მისი „ნაყიდი“ ექსპერტებიც ავრცელებენ ჭორს, რომ გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ იმიტომ წამოაყენა პრეზიდენტობის კანდიდატად, რომ სუსტია, ამით კი ნინო ბურჯანაძეს უთხრა: შენკენ ვარ, მიაწექი, გაიმარჯვეო...

ამ და სხვა სახის ჭორებმა თუ თქმულებებმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ექსპერტის მხრი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რამდენიმე წელიწადში, თქვენ გაიხსენებთ ჩემს სიტყვებს, ვლადიმერ პუტინი აღარ იქნება არც კრემლში და არც რუსულ პოლიტიკაში“

დან ვრცელდებოდა, ბიძინა ივანიშვილი აიძულა, დიდი შოუ მოეწყო. ეს შეხვედრაზე მეტად ხაფანგი იყო... შუშის სასახლეში შეკრებილ ექსპერტებს პრემიერმა პასუხი მოსთხოვა იმ შეფასებების გამო, რომელიც გასაღდა, როგორც ფაქტები...

ბიძინა ივანიშვილს პრეტენზიები ძირითადად სწორედ იმ ექსპერტებთან ჰქონდა, ვინც ბურჯანაძისთვის მისაღებ იდეებს წინასწარმეტყველებენ პოლიტიკაშიც. მაგალითად, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას არამხოლოდ პარლამენტში, აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოშლასაც კი...

და როცა ივანიშვილმა იგივე ექსპერტებს (რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება) ჰკითხა: კი მაგრამ, რომ ამბობთ, „ქართული ოცნება“ დაიშლებაო, სად უნდა წავიდნენ? ვის ხედავთ? ვინმე არის სადმეო? ყველამ დუმილით უპასუხა. შეხვედრაზე არავინ აღმოჩნდა ისეთი გამბედავი, ეთქვა: ნინო ბურჯანაძეა ასეთი ძლიერიო. არადა ისინი, ვინც ექსპერტებიდან ბურჯანაძეს გულშემატკივრობენ, თითქმის ყველა ინტერვიუში აცხადებდნენ, მეორე ტური გაიმართება, ნინოს რეალური გამარჯვების შანსი აქვსო.

მაგალითად, იგივე რამაზ საყვარელიძემ, რომელიც ძალიან ხშირად საუბრობს ბურჯანაძის მაღალ რეიტინგზე, ივანიშვილის კითხვა, – აბა ვის ხედავთო, – უპასუხოდ დატოვა. ეს რას ნიშნავს – სახელი თავად დაარქვით.

თუმცა, თუ 90-იანი წლების დასაწყისის პოლიტიკურ არენას დღევანდელს შევადარებთ, მივხვდებით, რამდენად დაიწმინდა ქართული პოლიტიკა პრორუსული ფიგურებისა და რუსული აგენტურისგან. სისხლისღვრისა და პროვოკაციების მასშტაბებიც შემცირდა, თუმცა რისკი ჯერ კიდევ არსებობს.

პროვოკაციას ახლაც ელოდებიან. უბრალოდ, ნინო ბურჯანაძემ უკვე დააანონსა. მან უკვე თქვა, რომ არ ენდობა NDI-ს კვლევებს. კვლევების მიხედვით, მისი რეიტინგი 7%-ია. ანუ ის მესამეა, გიორგი მარგველაშვილისა და დავით ბაქრაძის შემდეგ. ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ გამოვა ქუჩაში და თითოეულ ხმას დაიცავს.

თუკი NDI-ს კვლევებს არ ენდობა, რატომ ენდობა საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებებს? მისთვის საკუთარი ექსპერტები, როგორც ჩანს, უფრო მეტია. ასე რომ, ისევ ქაოსის მოლოდინში ვართ. როგორი იქნება „ვარდების რევოლუცია 2“? ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არავის უჭირს... ამბობენ, რომ საერთოდაც არ იქნება.

რატომ ჰგონია ბურჯანაძეს, რომ ის კიდევ ერთხელ მოაწყობს რევოლუციას? მაშინ ხომ ვითარება სულ სხვანაირი იყო. არჩევნები გაყალბდა და ის საერთაშორისო ორგანიზაციებმაც არ აღიარეს. გარდა ამისა, შევარდნაძის პოლიტიკური დრო ამოწურული იყო. ბიძინა ივანიშვილის მიმართ კი ხალხს ჯერ ისევ აქვს მოლოდინები.

მოკლედ, განსხვავება ბევრია, მაგრამ გეგმა მაინც არსებობს. თუმცა, ასეთი გეგმა ნინო ბურჯანაძეს სააკაშვილის დროსაც ჰქონდა. მაშინაც ამბობდა, 9 აპრილს სააკაშვილი დასრულდებაო! შემდეგ ასეთივე დასასრული თბილისს მან 26 მაისს უწინასწარმეტყველა. მაგრამ კინაღამ თავად დასრულდა პოლიტიკაში.

რეგიონალური მოთამაშე

როგორც არ უნდა ჟღერდეს, პოსტსაბჭოთა რეგიონში ვლადიმერ პუტინის ერთადერთი კონკურენტი მიხეილ სააკაშვილია. პუტინის პოლიტიკური პროექტი – ევრაზია ევროკავშირის ალტერნატიული და ანალოგიური უნდა იყოს. სააკაშვილი კატეგორიული წინააღმდეგია, ბურჯანაძე – კატეგორიული მომხრე და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა აცხადებს, რომ მათ კუ-

რსი დასავლეთისკენ აქვთ აღებული, ოღონდ ეს რუსეთის გაღიზიანებას არ გამოიწვევსო. ამ არგუმენტს, სხვათა შორის, ახალ ხელისუფლებაში ყველა იმეორებს, თუმცა ვერავინ ასაბუთებს. ვერც დაასაბუთებს. მედვედევმაც და პუტინმაც უკვე აღიარეს, რომ 2008 წლის ომი ნატოს შესაჩერებლად დასჭირდათ.

პუტინი რუსეთის იმპერატორად რჩება, სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადას ასრულებს. დიდი მკითხაობაა გამართული, სად წავა სააკაშვილი. ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილი პოლიტიკას ჩამოშორდება. კულისებში აცხადებენ, მას ან დაიჭერენ, ან გაქცევას შესთავაზებენო. თუმცა, ყველა, ვინც სააკაშვილის გაეროში გამოსვლას უსმინა, დამეთანხმება, რომ სააკაშვილი პოლიტიკურ ბრძოლას გააგრძელებს; რომ შეიძლება ვიღაცისთვის ყოფილიყო ბუნდოვანი სააკაშვილის მომავალი, მისთვის კი აქ შეკითხვები არც არასოდეს არსებობდა – ეროვნული მოძრაობა გრძელდება, ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის არ დასრულებულა.

სააკაშვილს პოლიტიკაში მეორე სუნთქვა გაეხსნა... მისი გაეროში გამოსვლა სავსე იყო ბრძოლისა და გამარჯვების ოპტიმიზმით. მან საკმაოდ ემოციურად ისაუბრა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობაზე, თქვა, რაოდენ მნიშვნელოვანია დასავლეთის, კერძოდ კი გაეროს როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში პროცესების დემოკრატიულად განვითარებისთვის. ისაუბრა რუსეთის ფაქტორზე, რომელიც ცდილობს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებას ბოლო მოუღოს და ისინი ევრაზიულ კავშირში იძულებით შეათრიოს. მოკლედ, ამ სიტყვის მოსმენა ნამდვილად ღირდა. თავად პრეზიდენტმა გამოსვლას „პესიმიზმისა და ჟიმედობის“ წინააღმდეგ ხმის ამოღება უწოდა.

გთავაზობთ ამ გამოსვლას შემოკლებით:

– ...საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო კვირეებისა თუ თვეების განმავლობაში გაკეთებული მეგობრული განცხადებების მიუხედავად, რუსული საოკუპაციო ძალები აგრძელებენ წინსვლას, ხალხს ყოფენ მავთულხლართებით, საფრთხეს უქმნიან ჩვენს ეკონომიკას, მიიწევენ ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და საქართველოს მთავარი გზატკეცილისკენ, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ჩვენი ქვეყნის მდგრადობას...

ცუდად მხდის, როდესაც „კაგებეს“ ოფიცერი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს უკითხავს ლექციას თავისუფლებაზე, ღირებულებებსა და დემოკრატიაზე, მაგრამ ეს ახალი პროექტი (ევრაზიული კავშირი) ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ის ამაზე ლექციას უკითხავს...

ევრაზიული კავშირი შეიქმნა, როგორც ევროპის კავშირის ალტერნატივა, რომელსაც ვლადიმერ პუტინი საკუთარი პრეზიდენტობის მთავარ პროექტად განიხილავს...

ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას დიდი დრო და უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდება. შეიძლება რაღაც მომენტში იფიქრო კიდეც, რომ მირაჟის მიღწევას ცდილობ... ვინმე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ შეიძლება, უბრალოდ, დაიღალოს და იკითხოს: რატომაც არა...

უცნაურია, მაგრამ ბოლო წლებში – და უფრო მეტად ბოლო თვეებში – თბილისში, კიევსა და კიშინიოვში ჩვენ გვესმის საზიზღარი მუსიკა, რაც თავდაპირველად მოსკოვში დაიწერა. გვესმის, რომ ჩვენი ტრადიციები იმსხვრევა დასავლეთის ზეგავლენის გამო; რომ ქრისტიანულ დღესასწაულებს გეიაღლუმები ჩაანაცვლებს, ხოლო ეკლესიებს მულტიკულტურული დისნეილენდები შეცვლის. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი მართლმადიდებლური იდენტობა საფრთხეშია. დაბოლოს, ვითომც არაფერი, გვესმის, რომ ჩვენს ყოფილ ბატონებთან გვაერთიანებს საერთო პატივისცემა წესიერებისა და ტრადიციების მიმართ. ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილონი ვართ, რომ დავიჯეროთ პუტინისა და სხვათა ეს ტყუილები, როგორც წინა თაობები იჯერებდნენ და... ნება დავრთოთ მათ, მიიტაცონ ჩვენი სუვერენიტეტი...

რამდენიმე წელიწადში – თქვენ გაიხსენებთ ჩემს სიტყვებს – ვლადიმერ პუტინი აღარ იქნება არც კრემლში და არც რუსულ პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებს, რომ კიდევ 20 წელიწადი დარჩება პოსტზე... რუსეთის მოქალაქეთათვის ის დარჩება ძველი დროის აჩრდილად, იმპერიის, კორუფციისა და ჩაგვრის აჩრდილად...

როგორ გგონიათ, არის თუ არა კრემლი მზად, განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის საკითხი დღეს, როცა მთავრობა უკვე შეიცვალა თბილისში? სულაც არა... საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო კვირებისა თუ თვეების მანძილზე გაკეთებული მეგობრული განცხადებების მიუხედავად, რუსული საოკუპაციო ძალები აგრძელებენ წინსვლას, ხალხს ყოფენ მავთულხლართებით...

...ჩვენ ბევრი კარგი რამ გავაკეთეთ. როდესაც მე პრეზიდენტი გავხდი, იმ დროს ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი ვიყავი მსოფლიოში, მაგრამ მე მესმის, რომ ზოგიერთი რამ ძალიან დიდი საფასურის შედეგად გაკეთდა. ჩვენს აჩქარებულ მცდელობებში, რომ დაგვემყარებინა ახალი რეალობა, შიდა და გარე საფრთხეების ფონზე, შეცდომებიც დავუშვით და ხანდახან გზაც მოვჭერით...

ზოგჯერ ძალიან შორს წავედით, ზოგჯერ კი არასაკმარისად შორს. მე სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას ყველა ნაკლოვანებაზე. და გულთან ახლოს მიმაქვს ყველა იმ ადამიანის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ საკმარისად ვერ იხეირა ჩვენ მიერ განეული სამუშაოთი, ან ვინც თავს ჩვენი რადიკალური მეთოდების მსხვერპლად თვლის...

მსურს, მივმართო საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც მხარს უჭერდა ჩვენს პროექტს, პოლიტიკასა და პარტიას და მათაც, ვინც უარყოფდა მათ – თუ რაოდენ ამაყი ვარ მათი მოწიფულობით და სიმამაცით, რაოდენ მოკრძალებით ვუცქერ მათ მიერ გაღებულ მსხვერპლსა და ძალისხმევას...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავერსის დიდი გათამაშება იწყება!

"ავერსის" ერთგული მომხმარებლებისათვის წამახალისებელი გათამაშება პირველად 2009 წელს შედგა და, მას შემდეგ, სასიამოვნო ტრადიციად დამკვიდრდა. ამჯერად, "ავერსი" მეხუთე გრანდიოზულ გათამაშებას გთავაზობთ, რომელიც 30 დეკემბერს "რუსთავი 2"-ის დილის ეთერში გაიმართება.

ავერსის დიდი გათამაშება გამორჩეულია წინა გათამაშებებიდან, რადგან არის შესაძლებელი მომენტალური გათამაშება, რაც საშუალებას მოგცემთ საოცნებო პრიზები ათთიაქში 20 ლარის ღირებულების პროდუქციის შეძენისთანავე მოიგოთ. ამ თანხის დახარჯვის შემთხვევაში საჩუქრად მიიღებთ მომენტალური გათამაშების ერთ ბილეთს, ხოლო შესაბამისი მტრედები ბარათზე დაგერიცხებათ. შეგიძლიათ, ასევე, დაგროვილი 10 მტრედი 1 ბილეთზე გადაცვალოთ, გადათხიოთ და მომენტალურად გახდეთ სასურველი პრიზის - ფოტოაპარატის, აიფონის, აიპადის, დოლივას სასაჩუქრე კოსმეტიკური ნაკრების ან ავერსის სასაჩუქრე ბარათის მფლობელი...

ყოველ დაგროვილ 50 მტრედზე საჩუქრად წამახალისებელი გათამაშების 3 ბილეთს მიიღებთ და მათ სანაცვლოდ მტრედები არ ჩამოგეჭრებათ. თუ ვერ გახდით მომენტალური გათამაშების გამარჯვებული, ავერსი გაძლევთ კიდევ ერთ შანსს, რადგან ყველა ბილეთი ერთვება დიდ გათამაშებაში, სადაც შეგიძლიათ მოიგოთ 5-ჯერ 5 000 ლარი, 5-ჯერ 10 000 ლარი და მთავარი პრიზი 20 000 ლარი. ერთგული მომხმარებლებისათვის კი, ვისაც 50-ზე მეტი ბილეთი ექნება დაგროვილი გათამაშდება ორ კაციანი საგზური ხმელთაშუა ზღვაზე.

იღბალი ადამიანებს, ხშირად, მოულოდნელად სწყალობთ და "ავერსის" ოთხივე წინამორბედი გათამაშება გამარჯვებულთათვის, მართლაც, სიურპრიზი და უდიდესი სიხარული გახლდათ. გათამაშების მონაწილეებს დაგროვილი თანხის და შესაბამისი ბილეთების რაოდენობის შემოწმება შეუძლიათ "ავერსის" ათთიაქებში ან "ავერსის" ვებ გვერდზე www.aversi.ge/card.php

მეხუთე გრანდიოზულ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ბილეთები "ავერსის" ათთიაქებში განთავსებულ ყუთებში 2013 წლის 22 დეკემბრამდე ჩაყარეთ.

იყავით "ავერსის" ათთიაქების ერთგული მომხმარებელი, დააგროვეთ მტრედი ბარათზე თანხა და გახდით უამრავი პრიზის მფლობელი.

მთავარი პრიზი
20 000 ლარი

10 000 ლარი
5 გამარჯვებულს

5 000 ლარი
5 გამარჯვებულს

დაგროვილ 50 ბილეთზე გათამაშდება 2 კაციანი საგზური ხმელთაშუა ზღვაზე

ავერსის დიდი გათამაშება გაიმართება 30 დეკემბერს რუსთავი 2-ის დილის ეთერში

(+995 32) 2-967-227
www.aversi.ge

ავერსი
AVERSI

ავერსი გისურვებთ მოგებას ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არჩადენილი ყაჩაღობისთვის მისჯილი 9-წლიანი პატიმრობა?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ქართული მართლმსაჯულების ისტორიას ბევრი უცნაური საქმე ახსოვს. მაგალითისთვის გახმაურებული „ცოცხალი მკვდრის“ ამბავიც საკმარისია. პირს, რომელიც მკვლელობისთვის გაასამართლეს, გაირკვა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ „მკვდარი“ ცოცხალი აღმოჩნდა. ეს არ გახლავთ ქართული მართლმსაჯულების ერთადერთი უცნაურობა. რამდენიმე დღის წინ „პრაიმტაიმს“ დაუკავშირდნენ ყაჩაღობისთვის გასამართლებული თორნიკე ხუციძის, დავით ქობულაძისა და ზურაბ ურთმელიძის ადვოკატები. ირკვევა, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირები დღემდე იხდიან სასჯელს იმ ყაჩაღობისთვის, რომელსაც სრულიად სხვა პირი აღიარებს. საქმე ეხება 2010 წლის 5 იანვარს, ქუთაისში ე.წ. წისქვილკომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ყაჩაღობას, რისთვისაც სამართალდამცველებმა ზემოხსენებული სამი პირი დააპატიმრეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მოქალაქე თეა ჯღამაძესა და ირმა გრძელიძეს თავდამსხმელებმა 18 ათას 450 ლარის ღირებულების პირადი ნივთები გასტაცეს. ყაჩაღობისთვის თორნიკე ხუციძეს, დავით ქობულაძესა და ზურაბ ურთმელიძეს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ისინი დღესაც ამ სასჯელს იხდიან, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს სხვა პირის აღიარებითი ჩვენება.

დავით ქობულაძე

ზურაბ ურთმელიძე

სამი ახალგაზრდა დღემდე სასჯელს იმ ყაჩაღობისთვის იხდის, რომელსაც სრულიად სხვა პირი აღიარებს

ნინო რობაქიძე

EXCLUSIVE

„საქმის წარმოების მთელ ეტაპზე განსასჯელები თავს არ ცნობდნენ დამნაშავედ და მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მსვლელობების დროს გამოკვლეული იქნა მათი უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლოს მხრიდან უსაფუძვლოდ მოხდა ამ მტკიცებულებათა არგაზიარება და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ადვოკატი **ნინო რობაქიძე.**

ვინაიდან უზენაესი სასამართლოს მიმართვის შემდეგ ამოიწურა ყველა ის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომელიც დაცვის მხარეს მისცემდა საშუალებას, დაემტკიცებინა საკუთარი პოზიციის უტყუარობა, ადვოკატებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. მოპოვებული მასალებით, რომელიც ადვოკატებმა გაგვაცნეს, შეიძლება ითქვას, სრულიად სხვაგვარი სურათი იხატება.

„თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ერთ მტკიცებულებაზე. კერძოდ, საუბარია ქუთაისის #2 დაწესებულების მსჯავრდადებულის ლაშა კოღუაშვილის მიერ, როგორც თავისი დამცველისთვის, ისე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისთვის მიცემულ ჩვენებაზე. ამ პიროვნების ჩვენებით ცალსახად მტკიცდება მსჯავრდადებულთა უდანაშაულობა, ვინაიდან ეს ადამიანი აღიარებს, რომ მას, სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, 2010 წლის 5 იანვარს ჩადენილი აქვს თეა ჯღამაძისა და ირმა გრძელიძის ყაჩაღობის ფაქტი. არსებული მასალების ფონზე გაუარესდა მსჯავრდადებულთა ისედაც მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა“, – აცხადებს ადვოკატი **სოფიო ჯინჯიხაძე.**

ადვოკატი: „ამ პიროვნების ჩვენებით ცალსახად მტკიცდება მსჯავრდადებულთა უდანაშაულობა“

დამოუკიდებლად ჩატარებული გამოძიების დროს მოპოვებული მასალები ადვოკატებმა პროკურატურასაც წარუდგინეს, საიდანაც მიღებული პასუხით ირკვევა, რომ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების დეტექტივის თანაშემწე, გამომძიებელი ზაზა ტორაძე. ფაქტობრივად, აღნიშნულ საქმეს იძიებს იგივე განყოფილება, რომელსაც თავის დროზე ებარა სამართალწარმოება.

„როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მსჯავრდადებულმა კოღუაშვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის რაიონულ პროკურატურას, რომ აღნიშნული ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით დაეკითხათ ის. კოღუაშვილი დაიკითხა ისევ ქუთაისის პოლიციის პირველი განყოფილების გამომძიებლის მიერ, პროკურორის მონაწილეობით. როდესაც მან ჩვენების მიცემა დაამთავრა, ცნობილი გახდა, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი პირები იყვნენ ისინი, ვინც მონაწილეობდნენ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირების საქმის გამოძიებაში, რის გამოც მან შეწყვიტა ჩვენების მიცემა და პროტესტის ნიშნად საჩივრებით მიმართა სხვადასხვა სამართალდამცველ ორგანოებს“, – ამბობენ ადვოკატები.

ბრალდების მხარის მტკიცებით კი, დანაშაული, რომელიც 2010 წლის 5 იანვარს მოხდა, სწორედ თორნიკე ხუციძის, დავით ქობულაძისა და ზურაბ ურთმელიძის მიერაა ჩადენილი და გამოძიების პროცესში რაიმე კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. საბრალდებო დასკვნაში, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი გახდა, წერია, რომ ხსენებული პირები „2010 წლის 5 იანვარს, დაახლოებით 22:30 საათზე, იმყოფებოდნენ ქუთაისში, თაბუკაშვილის #157-ში არსებულ ინტერნეტკაფეში. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, თორნიკე ხუციძემ ოპერატორ (შემდგომში დაზარალებულ) თეა ჯღამაძისგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელსა და მასთან ერთად მომუშავე ირმა გრძელიძეს ჰქონდათ ყოველდღიური შემოსავალი და ასევე, იცოდნენ, რომ ის თან ატარებდა ოქროს სამკაულებს. ზემოხსენებულმა პირებმა განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდნენ თეა ჯღამაძისა და ირმა გრძელიძის ნივთებს. საამისოდ შეიარაღდნენ დანებით და იმავე დღეს „წისქვილკომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხნენ ფეხით მიმავალ თეა ჯღამაძესა და ირმა გრძელიძეს“.

რაც შეეხებათ დაზარალებულებს, როგორც ადვოკატები ამბობენ, მათი დაცვის ქვეშ მყოფებს ხელი დაადეს მხოლოდ იმ მოტივით, რომ წარსულში იცნობდნენ დაზარალებულ ქალბატონებს და მომხდარ ფაქტამდე ერთ-ერთმა ჰკითხა, რამდენად კმაყოფილი იყო სამუშაოთი.

„ეს გახდა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მათ ხელი დაადეს ამ სამ სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდას. რაკი ერთ-ერთი მათი სამსახურებრივი მდგომარეობით დაინტერესდა, ეჭვი მიიტანეს, ეს იქნებოდაო. რეალურად კი კოღუაშვილი, რომელიც აღიარებს დანაშაულს და ამჟამად სრულიად სხვა საქმისთვის იხდის სასჯელს, ამბობს, რომ დაზარალებულები ჩვენ ვერანაირად ვერ ამოგვიცნობდნენ, ვინაიდან ნიღბებით ვიყავითო“, – ყვება ადვოკატი ნინო რობაქიძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები

my View
თამარ გორთამაშვილი

ზესტაფონის, სოფელ საქარას მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის თანამშრომლები საუკუნოვანი ენოთეკის გადარჩენას ხელისუფლებას სთხოვენ. მეცნიერ–თანამშრომელთა განცხადებით, კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც 2011 წელს, პრემიერ გილაურის ბრძანებით, კახა ბენდუქიძის მფლობელობაში გადავიდა, განადგურებულია, ისევე, როგორც იქ დაცული უძვირფასესი ღვინოები ასწლიანი დაძველებით.

ზესტაფონელებმა რამდენჯერმე საპროტესტო აქციაც გამართეს, პარლამენტსაც მიმართეს, მაგრამ გამოხმაურება დღემდე არ ყოფილა.

ადგილობრივების მოთხოვნას არასამთავრობოებიც უერთდებიან. მათი განცხადებით, სოფელ საქარაში ღვინის ენოთეკაში არსებული 17 000 ღვინის ბოთლი ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, კახა ბენდუქიძემ სიმბოლურ ფასად შეისყიდა და ახლა რაიონიდან გატანას აპირებს.

საქარაში არსებული მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრი 130 წლისაა. მასში ჩამოსხმული ღვინის პირველი ბოთლი 1905 წლით თარიღდება. მეცნიერ თანამშრომელთა განცხადებით, 2011 წელს პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის ბრძანებით საქარას საცდელი სადგური აგრარულ უნივერსიტეტს შეუერთეს, თანამშრომლები კი ქუჩაში გამოყარეს.

ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი ამბობს, რომ კახა ბენდუქიძემ უნიკალური სასმელები თეთრებში შეიძინა, როცა მათი თვითღირებულება გაცილებით მაღალია, მისივე თქმით, ღვინის ბოთლები უკვე ჩალაგებულია ყუთებში და რაიონიდან გატანას უპირებენ.

„ჩვენი პრობლემა არის ის, რომ ამ ენოთეკის გადატანა არ უნდა მოხდეს. ფულის მეტი რა აქვს ბენდუქიძეს, თუ ენოთეკის პრობლემა აწუხებთ, მაშინ ჩამოვიდნენ და გაუკეთონ რესტავრაცია აქაურობას. თქვენ რომ ნახოთ, აქ ძალიან ძველებური გარემოა, აგურიც სხვანაირია, ყველაფერი ძველებულია. აქ ისტორიაა, ნამდვილი ვაზის და ღვინის“



Приложеніе къ отчету Кавказскаго Филоксернаго Комитета за 1902 годъ.

ТРУДЫ
ЛАБОРАТОРІИ
при
САКАРСКОМЪ ПИТОМНИКѢ
АМЕРИКАНСКИХЪ ЛОЗЪ
съ отчетами о дѣятельности закавказскихъ питомниковъ американскихъ лозъ.
Годъ шестой.
ТИФЛИСЪ.
Типографія К. П. Козловскаго. Головинскій просп., № 1.
1902.

აგრარული უნივერსიტეტის რექტორი საქარას კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს კონტრბრალდებებით პასუხობს

ნაზი ცქიტიშვილი (კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი):

- საქარა სადგურის ენოთეკაში იმერეთის რეგიონის უნიკალური ჯიშების ღვინოებია ჩამოსხმული. არის მსოფლიო დონის ენოთეკა. მსოფლიოში არსებული მევენახეობის ქვეყნებს შორის ასეთი ენოთეკა სულ ხუთია და ერთ-ერთი მათგანი ზესტაფონშია, სოფელ საქარაში.

- ახლა სად არის ენოთეკაში დაცული ღვინოები?

- ენოთეკაში დაცული ღვინოები მიწისქვეშ არსებულ სარდაფშია, სადაც წლების მიხედვითაა დალაგებული. ეს ენოთეკა მოიცავს 3 საუკუნეს, 1890 წელს შეიქმნა და პირველი ღვინო 1905 წელს ჩამოისხა.

- სულ რამდენი სახეობის ღვინოა?

- დაახლოებით 60-იანი წლებიდან არის 5 სახების ღვინო: ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური და საფერე, ხოლო 1905 წლიდან იყო: მგალობლიშვილი, ძელშავი, კრახუნა შავი და სხვადასხვა იმერული ჯიშის ღვინოები. ასევე არის თეთრი ჩხავერი, რომელიც ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობს.

- რატომ შიშობთ, რომ ენოთეკას გადაშენება ემუქრება ?

- იმიტომ ვშიშობთ, რომ გილაურის ბრძანებით, სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტები აგრარულ უნივერსიტეტს მიუერთეს. ზესტაფონის მსგავსი კვლევითი ინსტიტუტი თელავშიც არსებობდა, სადაც მეურნეობა გაიყიდა. ჩვენ გვაქვს მევენახეობის მეურნეობა ორგან. იქ გაზაფხულზე ჩავიდნენ, დალუქეს ღვინოები, ჩაალაგეს ყუთებში და ჩაიტანეს აგრარულ უნივერსიტეტში. შემდეგ ჩამოვიდა დელეგაცია და აღწერეს ღვინოები. ჩვენ გვეშინია, რომ ეს ღვინოებიც არ წაიღონ. მოვაწყვეთ აქცია, დაგვეხმარა მთელი რეგიონი და სხვადასხვა პარტიები, რადგან ჩვენი სადგური არ არის ჩვეულებრივი. ეს ისტორიული მნიშვნელობის სადგურია და ამის გადატანა, გასხვისება ან გაყიდვა, ყოვლად შეუძლებელია.

- თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რომ შესაძლებელია გასხვისდეს ეს ენოთეკა?

- გვაქვს, რადგან ის კერძო უნივერსიტეტს მიჰყიდეს და სახელმწიფოს აღარ ეკუთვნის. უკანონოდაა ყველაფერი გაკეთებული, კანონით ჩვენი ენოთეკის გაყიდვა არ შეიძლება. საჩივარიც გვაქვს დანერილი, რომ ეს გასხვისება კანონის დარღვევითაა. რატომ უნდა ხდებოდეს ასეთი რამ, ზესტაფონმა ხომ ვაზი გადაარჩინა გადაშენებას. ახლა რატომ უნდა წავიდეს ეს ენოთეკა თბილისში? იქ არც სარდაფია და არც შესაბამისი პირობები.

- საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, იქნებ იქ უკეთესი პირობებია?

- ვიზუალურად, ალბათ, უკეთესი პირობები იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც ვჯობნით სხვას.

- თქვენი პრობლემა რაში მდგომარეობს, იმაში, რომ კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები დარჩნენ უმუშევრები თუ ენოთეკა რომ გასხვისდა?

- მე უმუშევარი ვარ, მაგრამ იმას არ ვამბობ, რომ სამსახური მომეცით. ჩვენი პრობლემა არის ის, რომ ამ ენოთეკის გადატანა არ უნდა მოხდეს. ფულის მეტი რა აქვს ბენდუქიძეს, თუ ენოთეკის პრობლემა აწუხებთ, მაშინ ჩამოვიდნენ და გაუკეთონ რესტავრაცია აქაურობას. თქვენ რომ ნახოთ აქ ძალიან ძველებური გარემოა, აგურიც სხვანაირია, ყველაფერი ძველებულია. აქ ისტორიაა, ნამდვილი ვაზის და ღვინის.

- რატომ ფიქრობთ, რომ ბენდუქიძე გაანადგურებს და გაყიდის ამ ენოთეკას?

- რატომ არ უნდა ვიფიქროთ? 6 000 ლარად აქვს წაღებული 17 000 ბოთლი ღვინო და ფული ჯერ არ გადაუხდია. მეურნეობაც შესყიდული აქვს, მაგრამ ზუსტად ფასებს ვერ გეტყვით...

- საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ 6 000 ლარი გადაიხადა?

- როდესაც გააუქმეს ვაშლიჯვარში არსებული კვლევითი ინსტიტუტი, მაშინ მოხდა დიდი არეულობა და გამოიძიეს ეს ამბავი, დაადგინეს ფასებიც და ყველაფერი.

- რამდენად არის შესყიდული ერთი ბოთლი ღვინო?

- დაახლოებით 30-35 თეთრი გამოდის. წარმოიდგინეთ ერთლიტრიანი ბოთლები თეთრებათ აქვთ ნაყიდი.

- ერთი ბოთლის რეალური ღირებულება რა არის?

- სხვადასხვა ფასებია, შეიძლება 5 000, 6 000 ან 1 000 ლარიც კი ღირდეს 1 ბოთლი.

- ამ ეტაპზე რას მოითხოვთ, რაში ხედავთ გამოსავალს?

- მოვითხოვთ, ჩამოვიდნენ, აღწერონ რა სჭირდებათ. პატარა გარემონტება სჭირდება ნამდვილად. იყოს აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ იყოს ზესტაფონში.

- თქვენ ვის მიმართეთ ამ თხოვნით?

- ვის არ მივმართეთ, პარლამენტს, პრემიერს... პარლამენტი შეგვეხმიანა, ჩამოვიდნენ აგრარული კომიტეტიდან თანამშრომლები და ნახეს.

- შედეგი რა იყო?

- შედეგი ის არის, რომ უბრალოდ შეჩერდა.

- ანუ ღვინის გატანის პროცესი შეჩერდა და გაიტანეს რამე ნაწილი?

- არაფერი, ერთი ბოთლიც არ წაუღიათ. ყუთებშია ჩალაგებული.

- უძველესი ღვინოების ყუთებში გადალაგება მის ხარისხზე აისახება?

- ზუსტად, არ შეიძლება, იმიტომ რომ ის მტვერი, რაც მისი ღირებულებაა, მოცილდება. ტრანსპორტირებაც მაინცდამაინც მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ ზესტაფონიდან თბილისში როდესაც ტრანსპორტირება მოხდება, ხარისხი მაინც დაიკარგება. როდესაც აღნიშნული ბოთლების ჩალაგება ხდებოდა, ჩატარდა პატარა დეგუსტაცია. 1907 წლის ღვინო გაიხსნა და ღვინოს თავისი თვისებები ჰქონდა შენარჩუნებული.

გუჯანი გაბრიჭიძე, (მეღვინე):

- ჩვენი დაწესებულება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა. ბოლო დროს მე ვიყავი დარჩენილი, რომელიც განვაგებდი ენოთეკას, ღვინის ბიბლიოთეკას და ერთიც დარაჯი იყო. ერთ დღეს დამიბარეს უნივერსიტეტში. დირექტორმა მითხრა, რომ აღარავინ არ იქნებით. მათი დაცვა მოვიდა, დაადეს ლუქები და ჩვენ გამოგვიშვეს. მე მითხრეს, რომ დაიდებოდა ხელშეკრულება, კიდევ რამდენიმე ხნით ამიყვანდნენ. მართლაც ამიყვანეს ხელშეკრულებით, სამი თვის ვადით. გასაღები, მე მქონდა და ვიცავდი ენოთეკას, შემდეგ უკვე მათ დაადეს ბოქლომი და ახლა დაკეტილია.

- რა საფრთხე ემუქრება მას?

- იმ შემთხვევაში თუ არ გაიტანეს და არ წაიღეს - არაფერი, რადგან მხოლოდ საცობები იყო დასაცველი. ენოთეკაში მიღებულია, რომ ყოველ ოც წელზე საცობები უნდა გამოიცვალოს. ჩაატარეს ეს საქმე, დააცვეს საცობები, ჩააწყვეს ყუთებში და ერთ-ერთ სათავსოში აწყვია, რომელზეც ერთი ჩემი ბოქლომია დადებული, მეორე მაგათი. ასე რომ, ერთმანეთის გარეშე ვერ შევალთ. მე ერთი შ.პ.ს-დან მეორე შ.პ.ს-ში გადამიყვანეს, მითხრეს, რომ შემდეგში ჩამოვალთო და მაგ საქმეებს მივხედავთო. რა უნდათ და როგორ უნდათ, არ ვიცით. ვერ გავიგეთ რა ჩანაფიქრი აქვთ და არც ამბობენ.

- რა ეჭვი გაქვთ?

- ერთი მხრივ, შეიძლება გაიტანონ, ეს ხომ კერძო საკუთრებაა უკვე. თუ უნდათ წაიღებენ, თუ უნდათ არ წაიღებენ. ეს მაგათი გადასაწყვეტია. ვინც ჩვენ ვიყავით იქ, ისინი აღარ ვართ. მათი საკუთრებაა და როცა უნდათ გამოიტანენ.

რა ხდება რეალურად და ემუქრება თუ არა განადგურება საუკუნოვან ენოთეკას, ამ კითხვით ჩვენ აგრარული უნივერსიტეტის რექტორ ლაშა გოცირიძეს მივმართეთ.

ლაშა გოცირიძე: – „ენოთეკას საფრთხე ემუქრებოდა. ამ ღვინოების ჩაბარებისას ჩვენ ვნახეთ, რომ იქ არა მარტო ანტისანიტარიაა, არამედ შენახვის არანაირი პირობები არ იყო შექმნილი. ფაქტობრივად, დაახლოებით 10-20 წელიწადია იმ ღვინოებს რეალურად პატრონი არ ჰყოლია. ჩვენ გავუშვით სპეციალური ჯგუფი ენოთეკაში, რომელმაც ამ ღვინოების გადარჩევა, გადასხმა და ახალი ბოთლის სახურავების შეძენა მოახ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ბედი ელის ზესტაფონში დაცულ საუკუნოვან ენოთეკას

„ჩვენი სადგური არ არის ჩვეულებრივი. ეს ისტორიული მნიშვნელობის სადგურია და ამის გადატანა, გასხვისება ან გაყიდვა, ყოვლად შეუძლებელია... უკანონოდაა ყველაფერი გაკეთებული, კანონით ჩვენი ენოთეკის გაყიდვა არ შეიძლება“

EXCLUSIVE

„ეს არის გათავისუფლებული თანამშრომლების პოზიცია, რომლებიც ცდილობენ, რაღაც აქეთ დაადანაშაულონ უნივერსიტეტი იმაში, რაშიც თვითონ არიან დამნაშავეები“

დინა. ახლა ისინი უკვე ინახება, დავაყენეთ დაცვა და შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე ათასი ღვინო გადავარჩინეთ.

- საუბარია 17 ათას ბოთლ ღვინოზე. ადგილობრივების განცხადებით ეს უნიკალური ღვინოები თქვენ გაქვთ რამდენიმე თეთრად ნაყიდი.

- ეს არის არასწორი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში პრობლემა რაში მდგომარეობს, ვთქვათ, ჩვენ ვიყიდეთ 15 თეთრად, ეს პრობლემას ნიშნავს? პრობლემა იყო ის, რომ როდესაც 15-20 წლის განმავლობაში ადამიანები, რომლებსაც ამ ღვინოების მოვლა ევალებოდათ, ისინი ამ ღვინოებს არ უვლიდნენ და რამდენიმე ათასი ღვინო უვარგისი გახდა. ჩვენ 15 თეთრად ეს ღვინო არ გვიყიდია. ცალკე ღვინოების ყიდვა არ მომხდარა. ცალკე ფასი ენოთეკაში არ გადაგვიხდია, ამიტომ ეს 15 თეთრი არის ვირტუალური რიცხვი, რომელიც არ ვიცი ვის, რატომ მოაქვთ. რატომ 13-ს არ ამბობენ, ან 8-ს. ასეთი ფასი არ არსებობდა. მათ აწუხებთ ის, რომ ასე დაბალ ფასად არის შეძენელი და არ აწუხებთ ის, რომ ათასობით ბოთლი ღვინო გააფუჭეს?

- რა თანხაა ამ პროექტში გადახდილი?

- ცალკე ენოთეკის ყიდვა არ მომხდარა, მოხდა 5 მილიონ 150 ათასი დოლარის ქონების შესყიდვა, გარდა ამისა, უნივერსიტეტმა აიღო ვალდებულება, რომ ის 8 მილიონის ინვესტიციას ჩადებს. ეს იყო პირობითი ნასყიდობა, რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა: 1. თანხის გადახდა პირდაპირ ბიუჯეტში; 2. 8 მილიონიანი საინვესტიციო ვალდებულების აღება. 3. თუ კი ადრე ეს იყო სახელმწიფო სუბსიდიაზე, დაახლოებით 950 ათასი ლარის ოდენობით, ამჟამად, ნასყიდობის შემდეგ არათუ აღნიშნული თანხის სუბსიდია მოიხსნა ბიუჯეტიდან, არამედ პირიქით, ქონების გადასახადის გადამხდელი გახდა და დაახლოებით 700 ათას ლარამდე ყოველწლიურად ქონების გადასახადის სახით ხდება ამ თანხის გადახდა. ეს წარმოადგენს მთელი ნასყიდობის შინაარსს. ამ შინაარსში 15 თეთრს ვერ ვხედავ.

- რეალურად რაიმე საფრთხე ექმნება თუ არა ენოთეკას, რადგან მათი განცხადებით ბოთლების შენახვის პირობები არ არის დაცული...

- განსხვავება იმაშია, რომ ახლა კი არ არის ცუდი პირობები, არამედ კატასტროფული პირობები იყო ადრე, სანამ უნივერსიტეტი ჩაერეოდა, ჩვენ გვაქვს ფოტო და ვიდეომასალა, რა პირობებშიც იმყოფებოდა ღვინოები. დაობებულ კედლებში ჩადიოდა წყალი, რომელსაც არანაირი ტემპერატურული გათბობა არ ჰქონდა.

- ახლა შენახვის პირობები დაცულია?

- ახლა ზუსტად ტექნოლოგიის დაცვით მოვახდინეთ ამ ღვინოების გადარჩევა. ბოთლები გაიხსნა, ძველი ბოთლები ჰაერს ატარებდნენ და ხდებოდა მათი გაფუჭება, ეს ბოთლებიც გამოვცვალეთ. ამ პროექტისთვის ახალი კორპები შევიძინეთ, დავახურეთ, დავხუფეთ. ღვინო ცოტა ხანს დაისვენებს და შემდეგ მოხდება მისი ტრანსპორტირება იმ ადგილას, სადაც ყველაზე კარგი კლიმატური პირობები იქნება. მას შემდეგ რაც ტერიტორია გარემონტდება, ენოთეკა დაბრუნდება. დანგრეულ შენობაში უბრალოდ ბოთლის შენახვა არის ძნელი. ეს შენობა კი საჭიროებს გარემონტებას. ბუნებრივია, რემონტის დროს რამდენიმე ათას ბოთლ ღვინოს ვერავინ გააჩერებს.

- მათ აქვთ ღვინოების გასხვისების ეჭვი...

- ამის საშიშრობა არ არსებობს. ენოთეკის განახლება ყოველწლიურად ხდება, ახალ-ახალი კოლექციის, ახალ-ახალ ღვინოების ჩამატება, ხოლო გაფუჭების პირას მისული ღვინოების გასხვისება ხდება, ხოლო ამ შემოსული ფულით ხდება ახალი კოლექციის შეძენა. ენოთეკა უნდა იყოს მოქმედი, მბრუნავი, განახლებადი მექანიზმი. ღვინოებს აქვს საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაღაც დროის მერე ის ფუჭდება და კარგავს ფასს. უნდა გაიყიდოს ძველი ბოთლი და ამ თანხებით ხდება ახალი ღვინოების შეძენა. აი, ასე მუშაობს ენოთეკა.

- რა დრო დასჭირდება ამ ენოთეკის მთლიანად განახლებას?

- ამას წინასწარ ვერ გეტყვით, იმიტომ რომ საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს. ჯერ არ დაწყებულა, რადგან ზესტაფონში არის ეს ბოთლები. სანამ ბოთლები იქაა, რემონტი ვერ მოხერხდებოდა. ამ ბოთლებს სავარაუდოდ თბილისში ჩამოვიტანთ.

- თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს გათავისუფლებული თანამშრომლების პრობლემა? ნაწყენი თანამშრომლების პოზიციიდან არის ეს ბრალდებები წამოსული?

- თქვენ ახლა ზუსტი დიაგნოზი დასვით. ეს არის გათავისუფლებული თანამშრომლების პოზიცია, რომლებიც ცდილობენ, აქეთ დაადანაშაულონ უნივერსიტეტი იმაში, რაშიც თვითონ არიან დამნაშავეები. ამ წლების განმავლობაში შესაძლებელი იყო ენოთეკის ბევრად უკეთ მოვლა და რამდენიმე ათასი ბოთლი ღვინოს გაფუჭებისგან გადარჩენა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი უნიათობით მოხდა. იმ ენოთეკას არანაირი ხელი არ დატყობია.

- შეიძლებოდა ამ თანამშრომლების შენარჩუნება? იქნებ მომხდარიყო მათი გადამზადება?

- შესაძლებელია, ადამიანს ახალი ცოდნა მისცე, მაგრამ საქმისადმი დამოკიდებულებას ვერ შეუცვლი.

- შესაძლოა მთავრობა არ აქცევდა მათ სათანადო ყურადღებას...

- სახელმწიფოზე გადაბრალება ეს პასუხისმგებლობის გადაბარალების კლასიკური ვარიანტია. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არაფერ შუაშია, სამწუხაროდ, მათ თავისი ვალდებულება ვერ შეასრულეს.

- საკუთარი ფულით ხომ ვერ შეაკეთებდნენ იმ საცავს?

- გასაგებია, მაგრამ სადაც წყალი ჩამოდის, ხომ შესაძლებელია, რომ ერთი შენობიდან მეორე შენობაში გადაიტანო ბოთლები, რომ არ დაზიანდეს. ამას სჭირდება დაფინანსება? ამას დაფინანსება არ სჭირდება. უბრალოდ, საქმის ერთგული უნდა იყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დიმიტრი შაშკინი: „რაც უფრო მალე გამოვა ილუზიებიდან ივანიშვილის მთავრობა, უკეთესი იქნება ქვეყნისთვის“

„ადამიანებს უნდათ დასაქმება, ხელფასი და ნორმალური ცხოვრება. ეს აბსოლუტურად ნორმალურია“

„ნაციონალური მოძრაობის“ ბაზისური ელექტორატი შეადგენს დაახლოებით 1/3-ს, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ ელექტორატი, დანარჩენი არის ის ხალხი, ვინც რეალურად წყვეტს, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებზე“

„პრაიმტაიმმა“ წინა ნომერში გამოაქვეყნა გაზეთის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს 31 პროცენტით, მას 18 პროცენტით მოჰყვება დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე კი 7 პროცენტით მესამე ადგილს ინაწილებს. ორი დღის შემდეგ კი დაახლოებით მსგავსი შედეგები აჩვენა „ენდიაის“ კვლევამაც. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მონაცემებით, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის რეიტინგი 38%-ს შეადგენს, დავით ბაქრაძეს 18 პროცენტით მეორე ადგილს უწინასწარმეტყველებს, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს კი ამ შემთხვევაშიც 7 პროცენტი აქვს.

პირდაპირი რეიტინგის გარდა, „ენდიაის“ კვლევაში იყო ერთი საინტერესო კითხვაც, რომელიც რატომღაც მედიის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. თუ რას ეხება ეს კითხვა და როგორია ზოგადი ტენდენციები, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ „რეფორმატორთა კლუბის“ ხელმძღვანელს, დიმიტრი შაშკინს ესაუბრა:

– მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში კვლევებს 2002 წლიდან ატარებენ. 2002 წლიდან სიტუაცია პოლიტიკური ლანდშაფტის კუთხით არის მეტ-ნაკლებად სტაბილური. ახლა მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ? მაგალითად, „ენდიაის“ ბოლო კვლევაშიც იყო შეკითხვა, რომელიც ძალიან საინტერესოა. კითხვა იყო ასეთი: „ნაციონალური მოძრაობა“ რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში, გაკეთდებოდა თუ არა ბევრი კარგი საქმე? ამ კითხვის შედეგებმა გვაჩვენა, რომ ფასეულობების კუთხით საზოგადოების განწყობა დიდწილად არ შეცვლილა. ახლაც, ისევე როგორც 2002 წელს მოსახლეობის 1/3 მხარს უჭერს იმ ფასეულობებს, რომლის მატარებელია მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, 1/3 მკვეთრად ეწინააღმდეგება ამ ფასეულობებს, 1/3 კი არის მუდმივად მერყევი ელექტორატი, რომლის არჩევანიც დამოკიდებულია იმაზე, რომელი ძალა აჩვენებს განვითარების მეტ პერსპექტივას. „ნაციონალური მოძრაობის“ ბაზისური ელექტორატი შეადგენს დაახლოებით 1/3-ს, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ ელექტორატი, დანარჩენი არის ის ხალხი, რომელიც რეალურად წყვეტს, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებზე. საერთოდ, არჩევნებისთვის გადამწყვეტია არა ის, თუ რა გაუკეთებია რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას, არამედ ის, თუ რას სთავაზობს ის მოსახლეობას სამომავლოდ. რა თქმა უნდა, როდესაც შენ უკან დგას საქმე, უფრო მეტი ადამიანი ენდობა შენს სიტყვას, მაგრამ გადამწყვეტი მაინც არის ის, რას სთავაზობ შენ სამომავლოდ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი იქნება დამოკიდებული იმაზე, რომელი ძალა დაარწმუნებს მერყევ ელექტორატს იმაში, რომ მომავლისთვის ის უფრო მეტს გააკეთებს ქვეყნისთვის და ხალხისთვის, ვიდრე მისი კონკურენტი.

– რაც შეეხება მესამე ძალას ნინო ბურჯანაძის სახით... კვლევებით მას 7-პროცენტიანი რეიტინგი აქვს, თუმცა ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მას აქვს საკმაოდ მზარდი რეიტინგი და ზოგი, მეორე ადგილსაც კი უწინასწარმეტყველებს...

– ამ წუთისთვის რეიტინგები, რომელიც იდება, არ ნიშნავს, რომ ზუსტად ასეთივე შედეგი დაფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რამდენია კვლევაში კონკრეტული პოლიტიკოსის რეიტინგი, საბოლოო შედეგი მაინც დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მოვა არჩევნებზე შენი ელექტორატი. დღევანდელი გამოკითხვით, შეიძლება 10-დან 8 ადამიანმა თქვას, რომ არჩევნებზე წავა, მაგრამ რეალურად ეს ასე არ იქნება. არასდროს არჩევნებზე არ მიდის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი. ბუნებრივია, როდესაც ინტერვიუერი მიდის რესპონდენტთან, ის ფსიქოლოგიური მომენტიდან გამომდინარე ეუბნება, რომ არჩევნებზე წავა. ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა ამ პასუხს სცემს, თუმცა უშუალოდ არჩევნების დღეს, ვნახავთ, რომ სხვა რეალობა იქნება.

– თემატურ საკითხებზეც მინდა გკითხოთ... „ენდიაის“ კვლევაში ძირითადი პრობლემატიკა უცვლელია და მოსახლეობის უმრავლესობას კვლავ დასაქმების პრობლემა აწუხებს... თქვენი აზრით, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა?

– ეს პრობლემატიკა არ იცვლება დაახლოებით ბოლო 11 წელია. მთავარი პრობლემატიკაა – ტერიტორიული მთლიანობა და უმუშევრობა, თუმცა უმუშევრობის მხრივ, ჩვენ არ ვართ ერთადერთი ქვეყანა, სადაც ასეთი მონაცემები იდება. თქვენ წარმოიდგინეთ, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, მათ შორის აშშ-ში, რომ ჩაატაროთ მსგავსი კვლევა, იქაც უმუშევრობა დასახელდება ყველაზე დიდ პრობლემად. ადამიანებს უნდათ დასაქმება, ხელფასი და ნორმალური ცხოვრება. ეს აბსოლუტურად ნორმალურია.

– როგორ შეაფასებთ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას გაეროში? რამდენად სწორი აქცენტები გაკეთდა პრეზიდენტის მხრიდან?

– ეს იყო სწორი და დროული გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. პროცესები, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარშემო ვითარდება, ჩვენი მოუსვენარი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან, საჭიროებს ყველა საშუალების კონსოლიდირებას ე.წ. მცოცავი ანექსიის შესაჩერებლად. ეს იყო მნიშვნელოვანი გამოსვლა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი მთავარი ბერკეტი არის საერთაშორისო საზოგადოება, სწორედ მათ წინაშე რომ ხდება ამ პრობლემის აქტუალიზაცია, ცხადია, კარგია. შეერთებულ შტატებს ჰყავდა ელჩი ეუთოში, გვარად მინიკისი. ეს პიროვნება უაღრესად პატივსაცემი ადამიანია და მის აზრს ხშირად ითვალისწინებენ ხოლმე. არსებობს მსოფლიოს დიდი პოლიტიკოსების კასტა. აი, სწორედ ამ დონის პიროვნებაა. მან 2008 წელს დამისვა ასეთი შეკითხვა: იცით თუ არა, რა არის თქვენი მთავარი პრობლემა? მე, ცხადია, ვუპასუხე, რომ ეს არის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამ ადამიანმა მითხრა: არა, ეს არის პრობლემის შედეგი, თქვენი მთავარი პრობლემა კი ყურადღების მიქცევაა. რომ დავფიქრდი, დავეთანხმე, რადგან მსოფლიოში იმდენი პრობლემა არსებობს, მათ შორის გლობალური ხასიათის, თუ შენ ყურადღება არ მიიქციე, შენი პრობლემა დარჩება შეუმჩნეველი. ასე რომ, მთავარი მინიშნება პრეზიდენტის გამოსვლისა იყო ის, რომ ჩვენ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ შემოვატრიალეთ ჩვენკენ. თუ გვინდა, დავიბრუნოთ აფხაზეთი და ცხინვალი, მსოფლიოს ყურადღება მოპყრობილი უნდა გვქონდეს აქეთკენ. როგორც კი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღება სხვა პრობლემებისკენ გადაერთვება, რუსეთი მაშინვე იწყებს ისეთი აგრესიული ნაბიჯების გადადგმას, როგორსაც ამჟამად დგამს დვანისა და დიცის მიმართულებით. რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ელოდება ხელსაყრელ მომენტს იერიშის მისატანად. სამწუხაროდ, დღეს ასეთია ამ ქვეყნის ფილოსოფია.

– ივანიშვილის გუნდშიც კი პრეზიდენტის გამოსვლა ძირითადად დადებითად შეფასდა... ჩვენ ვნახეთ, რომ იგივე მაია ფანჯიკიძემ საკუთარი კმაყოფილება დარბაზშივე ტაშის დაკვრით გამოხატა... თუმცა, ამის მიუხედავად, გამოითქვა შენიშვნა, რომ სააკაშვილის გამოსვლა ზომაზე მეტად აგრესიული იყო... რამდენად შესაძლებელია, ამ რიტორიკამ ხელი შეუშალოს ივანიშვილის მთავრობის მიერ წამოწყებულ „დათბობის პოლიტიკას“?

– მე არ ვფიქრობ ასე. ყველა ადამიანს აქვს თავისი მიდგომა საგარეო პოლიტიკის მიმართ. ჩვენმა ქვეყანამ უკვე გაიარა ის ილუზიები და ოცნებები, რომ თითქოს რუსეთთან დათმობებითა და მოლაპარაკებების გზით შესაძლებელია რაიმეს მიღწევა. იყო ასეთი ილუზიები. თვითონ პრეზიდენტმაც არაერთხელ აღნიშნა, რომ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, პირველი, რაც გააკეთა, პუტინთან ჩავიდა და ცივილიზებული მოლაპარაკების გზით შეეცადა სიტუაციის დალაგებას, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რა შედეგი მივიღეთ. ეს ეტაპი უკვე გავლილია. კარგია, რომ სააკაშვილის მთავრობა ამ ილუზიებიდან მალე გამოვიდა, თორემ გაიხსენეთ, შევარდნაძის მთავრობა რამდენი წელი გვაცხოვრებდა ამ ილუზიებში. რაც უფრო მალე გამოვა ილუზიებიდან ივანიშვილის მთავრობა, უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. რუსეთთან ჩვენი პრობლემა ხომ არ არის იქაურ ბაზარზე ღვინის, მწვანილისა და ვაშლის გატანა. რუსეთი არის „ვეტეოს“ ნევრი ქვეყანა და ბაზრის გახსნას ისედაც ავალდებულებს ეს ორგანიზაცია. ჩვენი მთავარი პრობლემა არის ტერიტორიების ოკუპაცია. ერთი მხრივ, ისინი გვეუბნებიან, რომ „ბორჯომსა“ და ღვინოს შემოვუშვებთ ჩვენს ბაზარზე, მეორე მხრივ კი, მიზანმიმართულად მოიწევენ ჩვენს ტერიტორიაზე.

– დაბოლოს, სოჭის ოლიმპიადა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დელეგაციები ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი სტატუსით იქნენ წარმოდგენილნი... თუკი ეს მართლაც ასე მოხდა, უნდა გამოუცხადოს თუ არა ქართულმა მხარემ ბოიკოტი ოლიმპიადას?

– მსოფლიოში არის არაერთი პრეცედენტი, როდესაც ხდებოდა ოლიმპიადების ბოიკოტი. თვითონ ოლიმპიადის არსი დაფუძნებულია მშვიდობაზე. ისტორიას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ ამ ღონისძიებას აქვს დიდი პოლიტიკური დატვირთვა. როდესაც რუსეთი ცდილობს, ეს ოლიმპიადა გამოიყენოს იმისთვისაც, რომ კიდევ უფრო გაამყაროს საოკუპაციო რეჟიმები, რა რჩება საქართველოს? ცხადია, ასეთ მარაზმში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მედიატური კახეთში

ნათიკა ქანთარია

კახეთს წელს ყურძნის უხვი მოსავალი ჰქონდა - ამინდმაც ხელი შეუწყო, თუმცა კილოგრამ ყურძენზე გაზრდილი ფასი და მოთხოვნა მევენახეებისთვის მთავარ სტიმულად იქცა, რაც შეიძლება კარგად მოევლოთ ვენახისთვის, რომ მეტი მოსავალი მიეღოთ. წელს, ყურძენს 67 ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია, 58 მიმღებ პუნქტში იბარებს. რთველი გრძელდება, ყურძნის მიმღები პუნქტები და ღვინის ქარხნები სრული დატვირთვით მუშაობენ.

შალვა ფიფია: „ჩვენ მოვაწყვეთ მედიატური, რათა მედიის წარმომადგენლებს საკუთარი თვალით ენახათ რთველის მიმდინარეობის პროცესი. მიგვაჩნია, რომ ყველა ის პროექტი, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს, გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს პროექტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია... რთველი 2013 აქტიურ ფაზაშია შესული. ყოველდღე დაახლოებით, 4-4.5 ტონა ყურძენი ბარდება. კარგად იმუშავა შეღავათიანი აგროკრედიტის ერთ-ერთმა კომპონენტმა და ამ კომპონენტის ფარგლებში კომპანიებისთვის 42 მლნ ლარზე მეტია გაცემული. რთველი წარმატებით მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხათუნა მგალობლიშვილი

ნიკა ჩიტიძე: „ალბათ, ირაკლი ალასანიას ექნება პრემიერობის ამბიცია, თუმცა თავად არ შესთავაზებს საკუთარ კანდიდატურას, რადგან კიდევ ერთხელ არ გაალიზიანოს ბიძინა ივანიშვილი“

ირაკლი ალასანია თავდაცვის ორწლიან გეგმაზე საუბრობს და აცხადებს, რომ საკუთარ უწყებაში მოღვაწეობას სწორედ ამ პერიოდში ამოწურავს. თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთი წელი პრაქტიკულად გასულია, მისი მოღვაწეობის მეორე წლისთავი სწორედ მერის არჩევნებს ემთხვევა. კულუარებში უკვე საუბრობენ, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. მით უფრო, რომ მინიშნება რეალობის შეცვლაზე გაკეთებულია...

ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:

- პრემიერის წასვლის შემდეგ ახალი რეალობა შეიქმნება. რადგან პრემიერმა ასე გადაწყვიტა, მაქსიმალურად ვქმნით პირობებს, რომ ეს ცვლილება უმტკივნეულო იყოს ქვეყნისთვის. მთავრობაში, რაც მეტს ვფიქრობთ პრემიერის გადაწყვეტილებაზე, ვრწმუნდებით, რომ ეს სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა. ბიძინა ივანიშვილმა ახალი ეტაპი შექმნა პოლიტიკაში მოსვლით და როდესაც წასვლა გადაწყვიტა, კიდევ ახალ ეტაპზე გადაიყვანა ქართული პოლიტიკა. ვინ იქნება მომავალი პრემიერი, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ჩემი სურვილიც და პოზიციაც იცის პრემიერმა. ორწლიანი გეგმა მაქვს და თავდაცვის სამინისტროში დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო. აქედან გამომდინარე, არაფერი მიმაჩნია იმაზე დიდ პატივად, რომ ვემსახურო ჩვენს ჯარს. ეს არის ჩემი გეგმა და არა თანამდებობის შეცვლა.

ალასანიამ საკუთარი სურვილები გაუმჟღავნებელი დატოვა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. დღეს ის ღიად უჭერს მხარს გიორგი მარგველაშვილს და აცხადებს, რომ „ოცნების“ კანდიდატი საუკეთესო არჩევანია. თუმცა ყველას გვახსოვს ალასანიას პარტიული განხილვების ისტორია საკუთარ კანდიდატობაზე. დახურული პარტიული სხდომების გამო „თავისუფალი დემორკატების“ ლიდერმა ვიცე-პრემიერობის პოსტიც დაკარგა და მკაცრი შენიშვნაც მიიღო. თანაც სახალხოდ. ამის შემდეგ ალასანია გარკვეული პერიოდი ნაკლებად ჩნდებოდა მედიაში და ძირითადად საკუთარი სამსახურით იყო დაკავებული. სწორედ ამ პერიოდში მან ორწლიანი სამოქმედო გეგმაც შეიმუშავა და როგორც ამბობენ, სწორედ ამ გეგმას მიჰყვება ახლა. თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს მის სურვილს გახდეს არჩეული მერი, ან თუნდაც პრემიერ-მინისტრი. მოიაზრებს თუ არა საკუთარ თავს რომელიმე თანამდებობაზე, ამაზე ირაკლი ალასანია ბუნებრივია, ხმამაღლა არ საუბრობს. თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ირაკლის პრემიერობის ამბიცია სავარაუდოდ უკვე აქვს...

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

- თავდაცვის სამინისტროში ორწლიანი მმართველობის პერიოდში ირაკლი ალასანია აპირებს მაქსიმალურად იყოს ჩართული. 2016 წლიდან არმია მთლიანად გადავა საკონტრაქტო სისტემაზე. შესაბამისად, მიმდინარე ორი წელი გარდამავალი პერიოდი იქნება, იგივე პერიოდი უკავშირდება სხვადასხვა დოკუმენტების ფუნქციონირებას. ვგულისხმობ ისეთ დოკუმენტს, როგორიც არის მინისტრის ხედვა, თუ როგორ ხედავს ის უწყების განვითარებას ერთ წელზე ან ორ წელზე. თავდაცვის სამინისტრომ ეს დოკუმენტი გასული წლის ბოლოს მიიღო, გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს 2014 წელი, როცა საქართველო საკუთარ კონტინგენტს გაიწვევს ავღანეთის ტერიტორიიდან. ეს გამოიწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. შეიძლება ამოქმედდეს ახალი ცვლილება და 1 600-მდე სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც დღეს ავღანეთშია დისლოცირებული, შესაძლოა, ადგილსამყოფელი შეიცვალოს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ირაკლი ალასანია სწორედ ამ გეგმებზე საუბრობდა, როცა ორწლიან საქმიანობას განიხილავდა. ამის შემდეგ ახალი რეალობები გაჩნდება. თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია თუ როგორ შეიცვლება პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში, შეინარჩუნებს თუ არა კოალიცია ერთობას.

- ალასანიამ განაცხადა, რომ პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ახალი რეალობა შეიქმნებაო, ფიქრობთ, რომ ის ამდენხანს, თუნდაც 2014-2015 წლებში, ისევ პოსტზე იქნება?

- ჩემი აზრით, ის შეინარჩუნებს პოსტს. NDI-ის კვლევებიც ადასტურებს, რომ ირაკლი ალასანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია. თუ ალასანია თავად არ შეეცდება დატოვოს პოსტი და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მისი პოზიციები მყარია. მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვახსოვს მისი პრობლემები, როდესაც პრემიერისგან მან გარკვეულ წილად შენიშვნა მიიღო. ვფიქრობ, ირაკლი ალასანიას გაუჭირდება მიიღოს გადაწყვეტილება და თავდაცვის მინისტრის პოსტი დატოვოს, რადგან კარგად ვიცით მისი ინტერესი და დამოკიდებულება შეიარაღებული ჯარებისადმი. ჩემი აზრით, ის უახლოეს მომავალში პოსტს შეინარჩუნებს. თუმცა საუბარი ნამდვილად არ არის იმაზე, რომ ირაკლი ალასანია ორი წელი დარჩება და შემდეგ წავა პოლიტიკიდან.

- თუმცა ჩვენ გვახსოვს, როდესაც ირაკლი ალასანია მერობისთვის იბრძოდა, მით უმეტეს კარგად გვახსოვს, მისი სურვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატობაზე... არ ფიქრობთ, რომ ის შეეცდება დაიკავოს მერის ან პრემიერ-მინისტრის პოსტი, როცა ისინი ვაკანტური იქნება?

- როდესაც ირაკლი ალასანია მერობის პოსტისთვის იბრძოდა, მაშინ ის იყო ოპოზიციაში და არ გააჩნდა პოლიტიკური თანამდებობა. ის იყო ოპოზიციაში, უფრო კონკრეტულად „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი. მაშინ ალასანიამ თბილისში ხმების 18% მიიღო, თუმცა ის სულ სხვა ვითარება იყო. დღევანდელ დღეს, ალბათ, მას ურჩევნია იყოს თავდაცვის სამინისტროში თუნდაც იმიტომ, რომ ამ სფეროში მას დიდი გამოცდილება აქვს და კარგად აქვს შესწავლილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაბამისი გამოცდილებაც აქვს მიღებული. მისთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნება თავდაცვის მინისტრად ყოფნა. მერი უფრო მეურვე უნდა იყოს და სხვა მიმართულების გამოცდილებას ითხოვს. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრობას, რა თქმა უნდა, თუ ირაკლი ალასანია შეთავაზებას მიიღებს, ის დათანხმდება. შეიძლება ირაკლი ალასანიას იმის სურვილი აქვს, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავოს. თუ მანამდე განიხილებოდა მისი საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენა, პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებაზე რატომაც არ დათანხმდება? „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით ირაკლი ალასანიას წარმატებული წარსული აქვს. ვგულისხმობ თუნდაც იგივე პანკისის ხეობაში 2002-2003 წლებში ჩატარებულ სპეცოპერაციას. მას გამოცდილება აქვს დიპლომატიური კუთხითაც, კარგად გვახსოვს, 2008 წელს, მისი წარმატებული გასმოვლა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ალბათ, ირაკლი ალასანიას ექნება პრემიერობის ამბიცია, თუმცა თავად არ შესთავაზებს საკუთარ კანდიდატურას, რადგან კიდევ ერთხელ არ გააღიზიანოს ბიძინა ივანიშვილი.

ნიკა ჩიტიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო დათაშვილი

არჩევნები და პოლიტიკები

სოსო ცინცაძე: „ვფიქრობ, ადგილობრივ არჩევნებში პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები აშკარად დაჯაბნიან საპარლამენტო პარტიებს“

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისევ არჩევნებია. რა სახის კოალიციები შეიძლება შეიქმნას და რომელ პარტიებს აქვთ დაწყვილების შანსი? ამ კითხვით „პრაიმტაიმმა“ რამდენიმე ექსპერტს მიმართა.

სოსო ცინცაძე, ექსპერტი:

– როგორ ფიქრობთ, ადგილობრივ არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთად გამოვა?

– ადგილობრივ არჩევნებში მე პირადად კოალიცია ცალკე წარმომიდგენია. უკვე ჩანს, რომ აქ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია. რა არის ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება? პარლამენტში ერთად იქნებიან, პარლამენტის გარეთ – ცალ-ცალკე, რადგან მათ უკვე ათ თვეში, ხატოვნად რომ ვთქვათ, მობეზრდათ ერთმანეთი. უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს ეს ყველაფერი. ჩვენ ვუყურებთ, რომ კოალიციის ყველაზე ხალხმრავალი და წარმომადგენლობითი პარტიის წევრები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს უმცირესობასთან, ვიდრე თავიანთ პარტიებთან. მე ჯერ არ დამინახავს პარლამენტში შესვენებებზე, კოალიციის წარმომადგენლები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ერთად იდგნენ. ეს სიმპტომატურია. როგორც ჩანს, მათ სალაპარაკოც არაფერი აქვთ. ისეთი განსხვავებაა მათ იდეოლოგიურ ხედვებში, ფასეულობებში, ღირებულებებში, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს ეს განსხვავება. ივანიშვილი აკავებს მაგათ, რომ ყელში არ ეცნენ ერთმანეთს. არა მგონია, რომ ეგენი ადგილობრივ არჩევნებზე ერთად გავიდნენ.

– ვინ შეიძლება ცალკე კოალიციად წავიდეს ადგილობრივ არჩევნებზე?

– საპარლამენტო პარტიებიდან ცალკე წავლენ „ნაციონალური მოძრაობა“, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, „თავისუფალი დემოკრატები“. ყველა ცალ-ცალკე წავა.

– ვინ რა ორიენტაციით წავა?

– ორიენტაცია ყველას ერთნაირი აქვს, მაგრამ მაგათი გასაჭირი ის არის, რომ ზოგიერთ პარტიაში რამდენი წევრიც იყო, ყველა წავიდა პარლამენტში. სათადარიგო სკამი ყველას ძალიან მოკლე აქვს. სტრატეგიული რეზერვი არც ერთ პარტიას არ გააჩნია. ყველა, ვისაც ხალხმა თვალი შეაჩვია, პარლამენტშია წარმოდგენილი. პარლამენტშიც იყვნენ და საკრებულოშიც, ასე არ გამოვა. ცოტა დელიკატური სიტუაცია იქმნება ადგილობრივ არჩევნებში და ეს შანსს გაუზრდის არასაპარლამენო პარტიებს?

– ვის გულისხმობთ?

– ვფიქრობ, ადგილობრივ არჩევნებში პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები აშკარად დაჯაბნიან საპარლამენტო პარტიებს. ესენი იქნებიან: რა თქმა უნდა, ბურჯანაძის პარტია, კუკავას პარტია და რასაკვირველია, ნათელაშვილი. ახლა ჩვენ ყავის ნალექზე ვმკითხაობთ. რა სიტუაცია იქნება არჩევნების შემდეგ – წავა ივანიშვილი, დარჩება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ამ არჩევნებზე ივანიშვილის ფაქტორი გადამწყვეტია, მაგრამ ვერ ვიტყვი იგივეს ადგილობრივ არჩევნებზე. დღეს ივანიშვილის ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი იმისთვის, რომ მარგველაშვილმა გაიმარჯვოს. თუმცა ადგილობრივ არჩევნებზე, ივანიშვილს რა გავლენა ექნება ელექტორატზე ამას ვერ გეტყვით.

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

– როგორ ფიქრობთ, ადგილობრივი არჩევნებისთვის რამდენი კოალიცია შეიძლება შეიქმნას?

– რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს, რომელიც 2014 წლის მაისში უნდა გაიმართოს, არ არის გამორიცხული, რომ კოალიციაში შემავალმა რამდენიმე პარტიამ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე საუბრობდა ბატონი ლევან ბერძენიშვილი. ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხდება პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება ბატონი ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. ჩემი აზრით, კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს, შედარებით მეტი დამოუკიდებლობა ექნებათ პარლამენტსგარეთ. პარლამენტს შიგნით, იქიდან გამომდინარე, რომ კოალიცია რამდენიმე ფრაქციად დაიშალა, ყველაზე დიდი ფრაქცია რაოდენობრივი თვალსაზრისით ეყოლება „ნაციონალურ მოძრაობას“. ამიტომ პარლამენტის შიგნით კოალიციაში შემავალი პარტიები მეტ-ნაკლებად შეთანხმებულად იმოქმედებენ, განსხვავებით არასაპარლამენტო საქმიანობისგან. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიციამ ერთობლივად წარმოადგინოს კანდიდატები და ამ შემთხვევაში კვოტები განაწილდება კოალიციაში შემავალ ექვს პოლიტიკურ სუბიექტზე. არის მეორე ვარიანტიც, რომ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა ცალკე ალიანსი შექმნან.

– რომელმა პარტიებმა შეიძლება შექმნან ცალკე ალიანსი?

– მემარჯვენე ორიენტაციის პარტიებმა, „რესპუბლიკელებმა“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ შესაძლოა, შექმნან ცალკე ალიანსი და მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის გამოცდილება, ჯერ კიდევ 2010 წელს. აქაც არ არის გამორიცხული, რომ ორი მემარჯვენე ძალის გაერთიანება მოხდეს და მეორე მხრივ, მოხდეს პრორუსულად ორიენტირებული ძალების, იგივე „მრეწველებისა“ და „ფორუმის“ ცალკე ალიანსად გაფორმება. არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ ისინი ცალ-ცალკე იმოქმედებენ და ექვსი პოლიტიკური სუბიექტი ცალ-ცალკე ჩაატარებს წინასაარჩევნო კამპანიას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. სამი ვარიანტია. პირველი ის, რომ კოალიციამ, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ერთიანად მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რადგან „ნაცმოძრაობას“ არ მიეცეს უფრო მეტი მანევრირების საშუალება. მეორე ვარიანტია, რომ კოალიციის შიგნით მოხდეს რამდენიმე იდეოლოგიურად ახლომდგომ პარტიას შორის ალიანსის გაფორმება, და მესამე, ის პოლიტიკური პარტიები ცალკე იმოქმედებენ. იმ შემთხვევაში თუ ბატონი ბიძინა სამოქალაქო სექტორში გადავა, კოალიციაში შემავალ სუბიექტებს შორის საერთო ინტერესები შემცირდება. ჩემი აზრით, გარკვეული ალიანსები მაინც მოსალოდნელია. მეორე ვარიანტი უფრო შესაძლებელი იქნება – რომ მოხდეს გარკვეული ალიანსის, კოალიციის შექმნა ორ ან სამ პოლიტიკურ პარტიას შორის.

– პროქართული ორიენტაციის კოალიცია თუ შეიძლება შეიქმნას და ვინ შეიძლება წარმოვიდგინოთ მის სათავეში?

– ჩემი აზრით, პროქართული არის ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც საგარეო პოლიტიკური კურსი დასავლეთისკენ აქვს მიმართული. ეს უნდა მივიჩნიოთ მეტ-ნაკლებად ეროვნულ ძალებად. რაც შეეხებათ პრორუსულ ძალებს, ეს შეიძლება მიჩნეულ იქნას ანტიეროვნულ ძალებად.

სოსო ცინცაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართული მედია ოკუ

ხათუნა მგალობლიშვილი

ქართულმა მედიამ დვანში რუსი ოკუპანტების მიერ მორიგი ოკუპაცია გააპროტესტა. ამჯერად რუსულმა ჯარმა საქართველოს დამატებით 70 მეტრი ჩამოაჭრა. არავინ იცის, როდის გაჩერდება მცოცავი ოკუპაცია. ამაზე პასუხს ვერც ხელისუფლება იძლევა და მით უფრო, ვერც ადგილობრივი მოსახლეობა. ისინი კიდევ უფრო იზოლირებულად გრძნობენ თავს, რადგან სოფელში განხილვის თემა ერთადერთია – რამდენად უსაფრთხო იქნება მათი ხვალინდელი დღე... არც ერთმა მოსახლემ არ იცის, როდის უბრძანებენ საკუთარი სახლ-კარისა და ნაკვეთის დატოვებას. ფაქტია, რომ რუსული მხარე ნელ-ნელა მოიწევს წინ, ხელისუფლების რეაქცია კი გაგებით მოკიდების მსგავსია. რეინტეგრაციის მინისტრი მხოლოდ გამაფრთხილებელ განცხადებას ავრცელებს, ეცადეთ, პროვოკაციას არ აჰყვეთო... თავის მხრივ, ქართული მედიის მიერ ოკუპაციის გაპროტესტებაც პროვოკაციად შეაფასა მურატ ჯიოევმა. ჯიოევი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელია და 28 სექტემბრის აქციაზე წინასწარვე გაავრცელა ინფორმაცია.

მურატ ჯიოევი:

– 28 სექტემბერს ჟურნალისტების მიერ დაგეგმილი აქცია სოფელ დვანში არის პროვოკაცია და მის შედეგებზე პასუხისმგებელი ქართული მხარე იქნება.

სწორედ ასეც მოხდა. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ქართულმა სამართალდამცავებმა აიღეს. ისინი ჟურნალისტებს ადგილზე დახვდნენ და ტერიტორიას მანამ აკონტროლებდნენ, სანამ ქართველი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არა ოკუპაციას!

ჟურნალისტები ადგილზე საპროტესტო აქციას მართავდნენ.

აქცია სასაზღვრო სოფელში სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა, მედიის წარმომადგენლებმა საკუთარი პოზიციები იქვე დააფიქსირეს.

ეკა მიშველაძე, ტელეწამყვანი:

– ეს არის ძალიან კონკრეტული აქცია – არა ოკუპაციას! არა ოკუპაციის ახალ საზღვარს! საქართველოს არც ერთი მეტრი არ არის დასათმობი.

თამარ ფხაკაძე, „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი:

– დღევანდელი დღის მიზანია, მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდა ოკუპანტი, ჩვენს ტერიტორიაზე გაგვივლო ხაზი და გვითხრა, რომ ამ ხაზს იქით თქვენი ტერიტორია აღარ არისო. საუკუნეებია, ეს ქვეყანა ჩვენია და მე სიტყვა ოკუპაციას დავარქმევდი ტრაგედიას. როცა სახლიდან, ტელეეთერიდან უყურებ, თითქოს ისეთი მძაფრი არ არის, მაგრამ როცა ადგილზე იმყოფები, ხვდები, რომ ძალიან მძაფრი შეგრძნებაა, როცა საკუთარ მიწას გართმევენ.

ინგა გრიგოლია, ტელეწამყვანი:

– ჩვენ ვაპროტესტებთ რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას. ჩვენ ვაპროტესტებთ იმას, რომ ჩვენი ისედაც მჭიდრო საზღვრები რუსეთის მიერ კიდევ და კიდევ მჭიდროვდება. მიმაჩნია, რომ ყველა, ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, აქ უნდა იმყოფებოდეს. მაინტერესებს სად არის ის უამრავი კუნთმაგარი ბიჭი, 17 მაისს რომ გამოდიოდა ეროვნული ღირებულებების დასაცავად? ეს ბიჭები დღეს აქ უნდა იდგნენ, ეს არის ჩვენი სამშობლო, ეს არის ჩვენი ქვეყანა და ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების, ვალია, გავაპროტესტოთ რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია.

ქართველი ჟურნალისტების მიერ გამართულ აქციას მეორე მხრიდან ოსური მედიის წარმომადგენლები იღებდნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უმრავლესობის დეპუტატისა და მაია მიმინოშვილის სკანდალური მიმოწერა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

უმრავლესობის დეპუტატი განათლების მინისტრს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას სთხოვდა

სკანდალური მიმოწერა პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარესა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს შორის... დეპუტატი ივანე კიღურაძე მაია მიმინოშვილისგან რამდენიმე აბიტურიენტის უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვას ითხოვდა. იმ 16 ახალგაზრდას შორის, რომელიც „ქართული ოცნების“ დეპუტატის პატრონაჟით სარგებლობს, ამავე პოლიტიკურ ძალასთან დაახლოებული პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილი, პიანისტი ირმა გიგანიც გახლავთ. ეს ახალგაზრდა გოგონა, მართლაც დასაფასებელი ნიჭის პატრონია და მუსიკათმცდონეები მას ნამდვილად დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა კანონი კანონია და ის ერთნაირად ეხება ვირტუოზ პიანისტსაც და ნიჭიერ კიბერნეტიკოსსაც, ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილსაც და სოფლის მეურნის შვილსაც. ირმა გიგანის გარდა, კიღურაძის ფავორიტ ნიჭიერთა შორის აღმოჩნდა მომღერალი ბორის ბედია და სხვა რამდენიმე ახალგაზრდა ხელოვანი. მათ ეროვნულ გამოცდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახეს, ამის მიზეზად კი ზოგადი უნარები სახელდება. მუსიკოსთან და მხატვართან ზოგადი უნარები არაფერ შუაშია - ასე ხსნის დეპუტატი კუღურაძე საკუთარ პოზიციას, თუმცა მას შემდეგ, რაც გამონაკლისის დაშვებაზე განათლების სამინისტროსგან უარი მიიღო, ის უკვე საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით გამოვიდა. დეპუტატი „განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანას ითხოვს, რომელიც ირმა გიგანს და კიდევ 16 ახალგაზრდას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესაძლებლობას მისცემს. კიღურაძის ინიციატივა პარლამენტში განხილვის თემაა. სანამ დეპუტატები კონკრეტული პირების მიმართ გამონაკლისებს საკანონმდებლო დონეზე დაამტკიცებდნენ, გაგაცნობთ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, მაია მიმინოშვილის წერილს, რომელიც მან დეპუტატ ივანე კიღურაძეს მისწერა.



საქართველოს პარლამენტის წევრს,
საქართველოს პარლამენტის მეცნიერებისა და
განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს
ბ-ნ ივანე კიღურაძეს

ბატონო ივანე,

თქვენი 2013 წლის 10 აგვისტოს წერილთან დაკავშრებით, რომელიც ირმა გიგანის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორაში ჩარიცხვის საკითხს ეხება, მოგახსენებთ:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ჩარიცხვა მხოლოდ შემოქმედებითი ტურის შედეგების საფუძველზე უნდა მოხდეს. „გამოცდების ეროვნული ცენტრი“ წლების განმავლობაში ცდილობდა ამ პროექტის გატანას საქართველოს მთავრობასა და პარლამეტში, თუმცა თავად შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი დაწესებულებები ამ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რადგან მათი აბიტურიენტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან სახელმწიფო სასწავლო გრანტს ვერ მიიღებდნენ. 2013 წელსაც იყო ამ პროექტის მიღებისმცდელობა: იგი ბ-ნ გიორგი მარგველაშვილის მიერ იქნა გატანილი საქართველოს მთავრობის სხდომაზე, თუმცა მთავრობამ გაითვალისწინა შემოქმედებით საგანმანათლებლო დაწესებულებების პოზიცია და ეს პროექტი არ მიიღო.

ყოველივე ამის გამო, სამწუხაროდ, შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვის დროს მოქმედი კანონმდებლობით აბიტურიენტმა შემოქმედებით ტურთან ერთად დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა გადალახოს ერთიანი ეროვნული გამოცდების სამ სავალდებულო გამოცდაში იმისათვის, რათა შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვოს. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამონაკლისს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ იმის შესაძლებლობას, რომ რაიმე გამონაკლისი დავუშათ. უფრო მეტიც, ნებისმიერი აბიტურიენტის თვითნებური ჩარიცხვა უხეში კანონდარღვევა იქნება ჩვენი მხრიდან, რაც შესაბამის რეაგირებას მოითხოვს.

ვიმედოვნებთ, მომავალში გადაიხედება შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ჩარიცხვის წესი. ეს კი მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილების გზითაა შესაძლებელი, რაც მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ პირადად ჩემთვის, როგორც ირმას ოჯახის ახლობლისათვის, ძალზე სამწუხარო იყო, რომ ირმამ ვერ შეძლო ბარიერის გადალახვა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. მე, ქ-ნი მანანა დოიჭაშვილი და ბ-ნი რევაზ კიკნაძე ერთობლივად ვცდილობდით გამოსავალის პოვნას, თუმცა, სამწუხაროდ, ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

პატივისცემით,

მაია მიმინოშვილი

33943
19 08 2013

„პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აზრით, შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ჩარიცხვა მხოლოდ შემოქმედებითი ტურის შედეგების საფუძველზე უნდა მოხდეს. „გამოცდების ეროვნული ცენტრი“ წლების განმავლობაში ცდილობდა ამ პროექტის გატანას საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში, თუმცა თავად შემოქმედებითი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი დაწესებულებები ამ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რადგან მათი აბიტურიენტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან სასწავლო გრანტს ვერ მიიღებდნენ. 2013 წელსაც იყო ამ პროექტის მიღების მცდელობა. იგი გიორგი მარგველაშვილის მიერ იქნა გატანილი საქართველოს მთავრობის სხდომაზე, თუმცა მთავრობამ გაითვალისწინა შემოქმედებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოზიცია და ეს პროექტი არ მიიღო. ყოველივე ამის გამო, სამწუხაროდ, შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების ჩარიცხვის დროს, მოქმედი კანონმდებლობით, აბიტურიენტმა შემოქმედებით ტურთან ერთად დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ერთიანი ეროვნული გამოცდების სამ სავალდებულო გამოცდაშიც უნდა გადალახოს. საქართველოს კანონი „განათლების შესახებ“ გამონაკლისებს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ იმის შესაძლებლობას, რომ რამე გამონაკლისი დავუშვათ. უფრო მეტიც, ნებისმიერი აბიტურიენტის თვითნებური ჩარიცხვა უხეში კანონდარღვევა იქნება ჩვენის მხრიდან, რაც შესაბამის რეაგირებას მოითხოვს... აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ პირადად ჩემთვის, როგორც ირმას ოჯახის ახლობლისთვის, ძალზე სამწუხარო იყო, რომ ირმამ ვერ შეძლო ბარიერის გადალახვა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. ვცდილობდით გამოსავლის პოვნას, თუმცა, სამწუხაროდ, ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა“, - წერს მაია მიმინოშვილი დეპუტატ ივანე კიღურაძისადმი გაგზავნილ წერილში.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, სერგო რატიანის ინფორმაციით, დეპუტატმა კიღურაძემ ანალოგიური თხოვნის წერილი მისწერა განათლების მინისტრსაც, საიდანაც, ასევე უარყოფითი პასუხი მიიღო. რატიანის თქმით, მინისტრი წერილში, რომელიც აგვისტოს თვით თარიღდება, დეპუტატს უხსნის, რომ სამინისტროს მიერ აღნიშნული გამონაკლისის დაშვება წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, რომელიც არის „სისხლის სამართლის კოდექსის“ 333-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

რატომ სთხოვდა ივანე კიღურაძე განათლების სამინისტროს ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილის, პიანისტ ირმა გიგანის უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვას?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეკა ხოფერიას ცხოვრე

my View
დეა თავგერიძე

ქალი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ახალი სიყვარულის გამოჩენამ იმდენად შეცვალა რომ ეს ყველასთვის შესამჩნევი გახდა, დღეს სწორედ ამ სიყვარულისთვის ვერ იცლის და ამაში მთავარი დამნაშავე ახალი გადაცემაა. თუმცა იცის, რომ ეს მისი ცხოვრების აზარტია და გაჩერება არაფრით შეუძლია, პირიქით... სტარტი აღებულია და თავშიც უამრავი იდეა ტრიალებს... ცხოვრების ამ ეტაპზე მთავარი უკვე ბევრი რამ არის... მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ის თოქ-შოუა, რომელიც „იმედზე“ დაბრუნებულ ეკა ხოფერიას მიჰყავს.

პოლიტიკური ჟურნალისტიკიდან 7 ნოემბრის შემდეგ წავიდა და თქვა, რომ პოლიტიკას არასოდეს შეეხებოდა. თუმცა „იმედზე“ დაბრუნების შემდეგ მისმა პირველმა გადაცემამ სწორედ ამ პოლიტიკური ნიშნით გამოინვია ხმაური. არადა, როგორც თავად ამბობს, სულ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა... არაპოლიტიკური და არაყვითელი, უბრალოდ, ადამიანურ ისტორიებზე აგებული...

„ქალიან შევიცვალე. მე დღეს უფრო ვარ ქალი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი, ჩემთვის არ არის უმნიშვნელო თემა ოჯახი. ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა. ეს არის ჩემი ყოველდღიურობა“...

ეკა ხოფერია: „ვეცდები, რომ ეს იყოს ის, რაც მე ადრე არასდროს გამიკეთებია. მინდა, რაც შეიძლება ბევრი ადამიანისთვის იყოს საინტერესო, მინდა, რომ რაღაც პრობლემების გადაწყვეტა მოხდეს ამ სტუდიაში. თემატიკას დრო მიჩვენებს. ჩემი სტუდიის ტელეფონის ნომერი 24 საათის მანძილზე იმუშავებს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საინტერესო გადაცემა უნდა იყოს, მაღალ მატერიებზე და გასაგები მხოლოდ სამი პროცენტისთვის. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა პრობლემა და ყველა ნიუანსი წარადგინო, ეს უნდა იყოს ნამდვილი, რეალური და კარგად ყურებადი.

- რამდენად გამოგივიდა პირველი გადაცემა, რომელმაც ხალხი ასე აახმაურა? შენ როგორ შეაფასებ?

- ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ძალიან მინდოდა გიას მოყვანა. არ იყო იოლი მისი დათანხმება, გია არ არის ორდინარული პერსონა, არც თავისი აქტივობით და არც თავისი შემოქმედებით. ის პერიოდი, რაც მის ირგვლივ იყო, არსად ასე არ განხილულა, ჩემს გადაცემაში კი თითქმის ბევრ კითხვაზე მიიღო მაყურებელმა პასუხი. უბრალოდ, მე თვითონ ცოტა შევიცვალე, რეალურად ნაკლებად მაინტერესებს პოლიტიკა, 7 ნოემბრის მერე, როდესაც ვთქვი, რომ აღარ ვიქნები პოლიტიკაში, მართლა არ ვარ...

- ამბობ არ ვარო, თუმცა პოლიტიკა ფონად სულ თან ახლდა შენს პირველ გადაცემას, შეფარვით თუ აშკარად, ეს იყო...

- რომ ახლდა სწორედ ეს იყო ჩემთვის ზედმეტი. ცოტა მეტად უნდა ყოფილიყო ის, რაც მე რეალურად მაინტერესებდა. ნაკლები იმ ისტორიული მოვლენების გახსენება და უფრო მეტი ამ პერსონის გახსნა.

- ფაქტობრივად, გამოდის, რომ არ გამოგივიდა ის, რაც ჩაფიქრებული გქონდა?

- მე ვცადე... იყო კიდეც საინტერესო, უბრალოდ, ოპონენტები დამაკლდა, სამწუხაროდ არ მოვიდნენ, მითხრეს, რომ მათ არ უნდათ ასეთ ფორმატში კრიტიკული აზრის გამოთქმა, რადგან აუდიტორია გიას მეგობრების იყო, მე ეს მესმის. მაგრამ როცა ერთი პერსონის ირგვლივ გავაკეთებ გადაცემას ეს ამოცანა ყოველთვის იქნება... ბევრი ისეთი ადამიანია, რომლის მიმართაც არა მარტო პოლიტიკური კითხვები ჩნდება. გიასთან მე მქონდა ბევრი პერსონალური კითხვა და ბევრი პერსონალური რამ ითქვა იქ. თუნდაც ახლა რა მდგომარეობაა, რითი ცხოვრობს, სამწუხაროდ, ნაკლები დრო დამრჩა რაღაცებისთვის, გიას მართლა უნიკალური პროექტი აქვს გია ყანჩელთან დაკავშირებით. ამაზე ცოტა მეტი უნდა მეთქვა, მაგრამ ძალიან დიდი დრო წაიღო პოლიტიკამ. მერე კი იყო კრიტიკა, - რატომ „უცნობი“? რატომაც არა?!

- ბევრმა ისიც თქვა, ამ გადაცემით გაჩენილაძეების „გათეთრება“ მოხდაო.

- მეორე დღეს რომ არაფერი დაწერილიყო და მარტო ჩემს კედელზე ყოფილიყო - ეკა რა მაგარი ხარო, ვიტყოდი, რომ არაფერი გამომივიდა... ზოგი ამას იტყვის, ზოგი იმას... ძალიან ბევრი ფიგურაა ჩვენს ქვეყანაში, რომლის ირგვლივაც სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა... მე მართლა მიმაჩნია, რომ ბევრი კრიტიკა სრულიად დაუმსახურებლად აქვს ამ ადამიანს... მთავარია ეს გადაცემა იყო, ნამდვილი, გულახდილი და არა დადგმული. რეალური ამბავი ხდებოდა სტუდიაში, იმიტომ იყო ასეთი გამოხმაურება. ხალხმა დაინახა, რომ არ იყო თამაში, ყველაფერი ხდებოდა მათ თვალწინ, უბრალოდ, ტელევიზია თავის ნიუანსებს მოითხოვს, ამიტომ სტრუქტურულად სჭირდება დროში შეზღუდვა. მინდოდა ეს ყოფილიყო პირდაპირ ეთერში, რადგან ჩვენ, საქართველოში, ყველა პირდაპირ ეთერში ვცხოვრობთ. ყველაფერი ყოველ წუთს იცვლება, შეიძლება წინა კვირით ჩანერილი გადაცემა, დღეს აბსოლუტურად არააქტუალური იყოს და ვიყო კონტექსტიდან ამოვარდნილი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სოციალურ-საზოგადოებრივ თემებს ეხები...

„ინგა ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა მედიასივრცეში, მე რომ ვყოფილიყავი პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში, ინგა გრიგოლიას დაბრუნებით ძალიან ვინერვიულებდი“

- როგორც ვიცი, მანამდე პოლიტიკური გადაცემის წაყვანაც შემოგთავაზეს და შენ უარი თქვი...

- კი მქონდა შემოთავაზებები პოლიტიკური თოქ-შოუს წაყვანის, მაგრამ მართლა არ მინდა. რამდენიმე მეგობარმა მითხრა, ძველი ეკა უნდა დაუბრუნდეს „რუსთავი 2“-სო. ვერანაირად ვერ დაბრუნდება, რადგან რეალურად შევიცვალე. ის რასაც მაშინ ვგრძნობდი, რა ენთუზიაზმითაც ვაკეთებდი იმ პოლიტიკურ ახალ ამბებს, გადაცემებს, როგორი აქტიურიც ვიყავი რევოლუციის წინ და ამ პოლიტიკური პროცესებით როგორც ვცხოვრობდი, ახლა ასე ვერ მოხდება. ძალიან შევიცვალე. მე დღეს უფრო ვარ ქალი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი, ჩემთვის არ არის უმნიშვნელო თემა ოჯახი. ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა. ეს არის ჩემი ყოველდღიურობა. დღეს უფრო მაინტერესებს ადამიანური ისტორიები თუ როგორ გაიარა ეს ცხოვრება, რა ტრაგედია ჰქონდა, რა წარმატება, ან რატომ აკრიტიკებდნენ, შემიძლია დაუსრულებლად ვუსმინო ამ ისტორიებს და ვთვლი, რომ ეს უფრო საინტერესოა. მიმდინარე პოლიტიკური რაღაცები არ მაინტერესებს. რა თქმა უნდა, თუ ეს პოლიტიკური პროცესები, გლობალური არ არის და ყველას არ გვეხება... დღეს მე აქტიურად ვარ ჩართული ძალიან ბევრ სოციალურ პროექტში და მინდა, რომ ეს ჩემი გამოცდილება და თუნდაც ჩემი თავი გამოვიყენო იმისთვის, რომ ვიღაცებს დავეხმარო. მაქვს ჟურნალი, როგორც ძალიან წარმატებული ბიზნესი, რომელიც მაძლევდა და მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიყო დამოუკიდებელი. რადგან ვარჩიე, რომ ყოფილიყო აბსოლუტურად აპოლიტიკური ნიშა, ამიტომ რეკლამის პრობლემა არასდროს გვქონია... იგივე „სითის“ აქციებით ვცდილობდით, რომ რაღაცები გაგვეკეთებინა და გამოგვდის. მყავს ძალიან კარგი პარტნიორები სხვადასხვა ფონდებში, რომლებსაც ვენდობი.

- ჟურნალის მართვა ბევრად ადვილია, ვიდრე ტელესივრცეში ნამყვანობა?

- ჟურნალი სრულიად სხვა რეჟიმია. მე ვამბობ, დამთავრდა ჩემი ტკბილი და ლამაზი ცხოვრება-მეთქი. ეს სრულიად სხვა ცხოვრების სტილი იყო. ჟურნალში სიმშვიდეა უფრო. რა თქმა უნდა, იქაც არის პრობლემები, მაგრამ როგორც ჩემი მეუღლე დამცინის ხოლმე მაქსიმუმი ეკას პრობლემა, ყდის ფერია, რომელიც ისეთი არ გამოვიდა, როგორიც უნდოდაო. თვითონ ამაზე ძალიან ეცინებოდა, როდესაც ოპერაციებიდან ბრუნდებოდა. მე ვიყავი ძალიან მაგარ სასტუმროში, ან ძალიან მაგარ ადგილზე. ან ძალიან კარგ ადამიანების გარემოცვაში. ბევრი ფოტოგრაფი, კარგი ამბები, ხან პარიზში, ხან ნიცაში, ხან რა ვიცი სად, დრო მქონდა და ჟურნალის გამო ასე დავდიოდი,

„მთავარია, რომ ეს გადაცემა იყო ნამდვილი, გულახდილი და არა დადგმული. რეალური ამბავი ხდებოდა სტუდიაში, იმიტომ იყო ასეთი გამოხმაურება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბისეული გიჟური რიტმი

EXCLUSIVE

„მეორე დღეს მთელი საზოგადოება ამ გადაცემაზე ლაპარაკობდა, ისე თუ ასე, არა აქვს მნიშვნელობა, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მე არ ვიყო სულერთი“

„რასაკვირველია, ძალიან შემცვალა ყველაფერმა, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ამიტომ ვამბობ, რომ მე რეალურად შევიცვალე“

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ცოტათი შეიცვლება, მაგრამ მე აუცილებლად ვივლი მივლინებებში და ეს თემებიც იქნება... ჯერჯერობით ვინც იჩაგრებიან ეს არიან ბავშვები, მათ აღზრდაში აქტიურად ვიყავი ჩართული. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და გამიგებენ დედები, რომლებიც მუშაობენ. ადრე თუ მთელი დღე ერთად ვიყავით, ახლა ეს გამორიცხულია, ფიზიკურად არ გამომდის...

- როგორია პროცესი, როცა გადაცემა მიგყავთ, თუ ღელავთ ხოლმე ამ დროს?

- გადაცემის წინ ვღელავ, თან ძალიან, მაგრამ როგორც კი სტუდიაში შევდივარ, ღელვა სადღაც ქრება. ღამე 3-4 საათი მძინავს, სულ იდეებია თავში... ბედნიერი ვარ გადაცემის წაყვანის დროს. ვგიჟდები ამ პროცესზე. საინტერესოა, საღამოც, როცა გადაცემის შემდეგ სახლში მოდიხარ. თუმცა, მალევე, ავტომატურად იწყებ ახალ გადაცემაზე ფიქრს.

- სახლში მისულს მეუღლემ როგორ შეგიფასათ პირველი გადაცემა?

- ვერ შემიფასა, იმიტომ რომ სახლში მისული სამი საათი აჩიკო გულედანს ველაპარაკებოდი ტელეფონით. ამიტომაც ვერ შედგა ეს საუბარი, მერე დაიძინა, რადგან დილით ოპერაციები ჰქონდა, მერე დილით მე წავედი და... კვირის ბოლოს ვისაუბრეთ, მითხრა, დაახლოებით იცი, ალბათ, რასაც ვფიქრობო... ის მინუსები აღნიშნა, რაც მე თვითონაც ვიცოდი, მაგრამ თქვა, რომ მისთვის გია არის ერთ-ერთი საინტერესო რესპონდენტი, ამიტომ მან ძალიან ინტერესით მოუსმინა პირდაპირ ინტერვიუს, რაც აცალეს, როგორც მერე გავიგე, რაღაც ნაწილი არ აცალა ნიკოლამ, ჩვენმა შუათანა ბიჭმა...

- ამბობენ ეკა ქმარმა იმდენად შეცვალა, სახეზე სულ ბედნიერება აწერიაო.

- ვისურვებდი, ამაზე რაც შეიძლება ნაკლებად ილაპარაკონ, წესით, ყველა ნორმალურ ოჯახში ეს ასე უნდა იყოს, თუმცა ვიცი, რომ ბევრგან ასე არ არის... რასაკვირველია, რა თქმა უნდა, მე ძალიან შემცვალა იმ ყველაფერმა, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ამიტომ ვამბობ, რომ მე რეალურად შევიცვალე. ადრე ვერც ვიფიქრებდი, რომ ასე მივაყოლებდი ერთ ბავშვს მეორეს და ასე ოჯახზე გადავერთვებოდი... ან ასე ძალიან დავინტერესდებოდი ჩემი ქმრის პროფესიით. იმიტომ რომ მიშკა ექიმია, მე ძალიან ბევრი პრობლემა მესმის და უკვე ბევრ რამეს სხვა კუთხით ვუყურებ. ძალიან ჩართულნი ვართ, ხშირად გვიწევს ადამიანებთან შეხვედრა, მათი პრობლემების მოსმენა. ძალიან ერთნაირად ვფიქრობთ რაღაცებს. ეს ძალიან მაგარია. მიშკასთვისაც რასაც ვაკეთებ, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არაფერს ამბობს, როცა 24 საათი სამსახურში ვარ, პირიქით, ძალიან პატივისცემით ხვდება. მართალი გითხრათ მიკვირს, რომ არაფერს ამბობს. მაგრამ არის დაუწერელი კანონი, გამორიცხულია, რომ მე შაბათ-კვირას ვიმუშავო და ასე ძალიან მოვაკლო ჩემი ყურადღება ოჯახს და ამ შემთხვევაში მიშკას, მაშინ მეც არ გამომივა არაფერი.

- არადა, ამბობდნენ კიდევ ერთ გამოცემას გეგმავსო.

- ვგეგმავდი კიდეც, მაგრამ გავაჩერე ცოტა ხანი, მანამდე ვიდრე ძალიან არ დავალაგებ და არ ავაწყობ სერიოზულად გუნდს, აქაც და იქაც, ვნახოთ... 6 საათის მერე სულ მეძინება ხოლმე, მაგრამ ვერ ვიძინებ, სულ ვფიქრობ. რეალურად რიტმით და რეჟიმით მე დავუბრუნდი იმ რეჟიმს, რომელიც მქონდა „რუსთავი 2“-ში. 24 საათი გადმორთული ვარ ამ საქმეზე. ეს ითხოვს ძალიან დიდ დროს, ენერგიას, ფიქრს, ცვლილებებს. მთავარია, რომ მომწონს და მიყვარს ეს საქმე. რომ არ მიყვარდეს, ნამდვილად არ დავბრუნდებოდი.

- როგორი იყო დაბრუნება იმ ტელევიზიაში, რომლის დატოვებაც საკმაოდ მტკივნეულ პერიოდს უკავშირდება?

- ჯერ ღია ეთერის წაყვანა შემომთავაზეს. მე ყოველთვის ძალიან თბილი ურთიერთობა მქონდა პატარკაციშვილების ოჯახთან, ძალიან თბილი და ახლობელი ხალხია ჩემთვის. მაშინაც არ ყოფილა არანაირი კითხვები, როდესაც მე იმედიდან წავედი, რადგან ერთ-ერთი პირველი, ვისაც გავაგებინე, ბატონი ბადრი იყო. ჩემი ახლობლები არიან და ძალიან ვუფრთხილდებოდი ამ ურთიერთობას, ამიტომ ჩემთვის „იმედში“ დაბრუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო....

- ჟურნალისტიკას დაუბრუნდა ინგა გრიგოლიაც და მისი გამოჩენით, ალბათ, ბევრიც შეაშინა, თქვენ რას იტყვით?

- ძალიან მიხარია, რომ ინგა არის პოლიტიკაში და მე სხვა სფეროში. თან სხვადასხვა დროს გავდივართ, სხვადასხვა არხებზე და აბსოლუტურად სხვადასხვა თემატიკით... ინგასთან არის მართლა დიდი პოლიტიკა, ჩემთან საზოგადოება. როცა მის ანონსს მოვუსმინე, ვთქვი - მართლა დაბრუნდა ინგა გრიგოლია დიდ პოლიტიკაშიც და დიდ ჟურნალისტიკაშიც. ინგა ერთ-ერთი ნამყვანი ფიგურაა მედიასივრცეში, მე რომ ვყოფილიყავი პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში, ინგა გრიგოლიას დაბრუნებით ძალიან ვინერვიულებდი. რეალურად ძალიან ძლიერი კონკურენტია, ის დადებს ძალიან კარგ და საინტერესო გადაცემებს.

- თანამშრომლები ძალიან გაქებენ, ეკა კარგი უფროსიაო, გაბრაზება თუ იცით და როდის და როგორ გამოხატავთ ხოლმე?

- რა თქმა უნდა, გაბრაზებაც მჩვევია... ჩემი მთავარი მესიჯი ყველა ჩემი თანამშრომლის მიმართ არის, შენ მე მითხარი იქამდე, ვიდრე ეს პრობლემა მოგვარებადია, როდესაც უკვე პოსტ ფაქტუმ იტყვი, ეს იმიტომ რომ... უკვე არ განიხილება... კარგი თანამშრომელია ის, რომელიც გეუბნება, ვიდრე პრობლემა გექმნება, უფრო კარგი თანამშრომელი გეუბნება, რომ იყო პრობლემა, მაგრამ მან ეს უკვე მოაგვარა, იდეალური კი ისე აგვარებს, რომ შენ არც კი იცი, რომ პრობლემა იყო. ჩემს გუნდში ამ პრინციპით იზრდებოდნენ და უმეტესობა დღეს სხვადასხვა არხზე საინფორმაციოს უფროსი ან წამყვანია. მე თვითონაც ასე ვაკეთებდი, ამიტომაც ვთხოვ სხვას და როდესაც ეს არ სრულდება, რბილად რომ ვთქვა, მკაცრი ვარ. სიბრაზეს კრიტიკული ფრაზებით გამოვხატავ. ჭიქებს ნამდვილად არ ვისვრი. ხოლო თუ შეცდომა მუდმივად მეორდება ჩვენ ერთ გუნდში აღარ ვართ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტატო ჩახუნაშვილი - დაბნეუ

my View

თამარ გონგაძე

მსახიობი ტატო ჩახუნაშვილი „იმედის“ ახალ სერიალში - „ჩვენ ამბავში“ დაბნეული მწერლის როლით გამოჩნდა. ზურა თარხან-მოურავს მსახიობთან ბევრი მსგავსება „აღმოაჩნდა“ - ასაკი, თვისებები... დაბნეულობით გგავსო, მეგობრები ეუბნებიან. პერსონაჟი ეცოდება, თანაუგრძნობს. მწერალ ზურას პირადი ცხოვრება არეული აქვს. თავისი დაბნეულობისა და უწესრიგობის გამო ცოლთან ურთიერთობა ვერ დაალაგა. გმირის მსგავსად პირად ცხოვრებაში, უკვე თითქმის ერთი წელია, ტატოსაც ცვლილება აქვს. მსახიობ მაკა ძაგანიასთან ხუთწლიანი რომანი დაშორებით დაასრულა. შარშანდელ ინტერვიუებში წყვილი აცხადებდა, რომ ქორწინებაზე მაშინ იფიქრებდნენ, როცა დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებდნენ. კონკრეტული მიზეზის დასახელებისგან ორივე თავს იკავებს. ურთიერთობაში გაჩენილ ბზარს მხოლოდ ერთმანეთს არც ერთი არ აბრალებს. შესაბამისად დაშორების გადაწყვეტილებაც მხოლოდ ერთ მხარეს არ მიუღია. ახლა, ტატო და მაკა, კონკურენტ არხებზე კონკურენტ სერიალებში თამაშობენ, ერთი „ჩვენ ამბავში“, მეორე - „ჩემი ცოლის დაქალებში“. ორივე ამბობს, რომ თავს მარტო კომფორტულად გრძნობს. ყოველ შემთხვევაში საჯაროდ ასე აცხადებენ.

კომაში მყოფი პრეზიდენტი

ტატო კვირაში სამ დღეს სერიალის გადასაღებ მოედანზე ატარებს. პარალელურად

მუსკომედიაში რეპეტიციები აქვს. ნინო ბურდულმა შმიტის პიესაში „ორი სამყაროს გასაყარზე“ პრეზიდენტ დელბეკის როლი მისცა. სპექტაკლი კომაში მყოფი შვიდი ადამიანის მდგომარეობაზეა. მთავარი თემა კი ის არის, ცხოვრებას რომ დაუბრუნდნენ და შანსი თავიდან მიეცეთ, შეცვლიან თუ არა რამეს. „ჩემს გმირს ცოლ-შვილის საუბარი ჩაესმის. ყველაფერს გავყიდითო, ისინი ერთმანეთში ბჭობენ. ჩემი გმირი კი ფიქრობს, დავბრუნდები თუ არა, მათ ყველაფერს წავართმევ, მათთვის არც ის ფული არ უნდა დამეტოვებინაო.

მწერალი ზურა

შარშან სერიალებში თამაშის წინააღმდეგი იყო. ტელეეკრანზე გაცვეთილ სახეს მერე რეჟისორები ფილმებში გადასაღებად არ იწვევენო. „კლინიკაში“ თამაშის შემდეგ შემოთავაზებებს უარით ისტუმრებდა. უცებ კი „იმედზე“ „ჩვენ ამბავში“ გამოჩნდა. დაურეკეს და მივიდა.

ტატო ჩახუნაშვილი: - საკუთარი სურვილით კასტინგზე მისვლა მერიდება. თუ ვინმეს ჭირდები, საქართველოში მსახიობების იმხელა ბაზა არ არის, რომ ვერ მოახერხონ შენთან დაკავშირება.

- მსმენია, რომ თავისი სურვილით კასტინგზე მისვლა ქართველ მსახიობებს „უტყდებათ“.

- როგორ გითხრათ... ერთ საათში დაათვალიერებ ქართველი მსახიობების ბაზას. დიდი არჩევანი არ არის. ამიტომ ურეკავენ იმ მსახიობს ვინც კონკრეტულად სჭირდებათ. მე პირდაპირ კასტინგის მეორე ტურზე დამირეკეს. ანუ პირველი ტური, სადაც მხოლოდ ფოტოს გიღებენ, ამარიდეს და ეს მომეწონა და თან გამიკვირდა. პირველ ტურზე ყოველთვის ერთი და იგივე ფოტოგრაფი გიღებს, თან უკვე მერამდენედ, არც იცი. ამიტომ ფიქრობ, რომ გეძახიან იმისთვის, რომ უბრალოდ დაგიძახონ. დამოკიდებულება გეცვლება. აქ სხვანაირად მოხდა და მომეწონა. რაც შეეხება ამ სერიალის გადაღების სპეციფიკას, ცოტა დამძაბა იმან, რომ სადაც თამაშობ, იქვეა მაყურებელიც და კამერაც. მანამდე ასე არ მითამაშია. ამიტომ, მეშინოდა და დაძაბული ვიყავი. ფაქტობრივად, სპექტაკლს თამაშობ, მაგრამ სამ დღეში გაქვს პრემიერა. მაყურებელი რომ არ იყოს, კამერის წინ შეგეშლება, მერე გააგრძელებ. არაფერია... მაგრამ მაყურებელთან შეცდომა, სირცხვილია. მოკლედ, რომ შევხედე ჩემს თამაშს რეაქცია რომ მოჰყვა, სტიმული მომცა, მომეშვა, მომეწონა და დავთანხმდი. ისე კი მართალი ხართ, ერთი პერიოდი სერიალებში თამაშის წინააღმდეგი ვიყავი. აქ ბევრი რამ შეიძლება ისწავლო. შეკრული და მობილიზებული კოლექტივია.

- ზურაზე რას იტყვი?

- ჩემი გმირი მეცოდება. ადვოკატი ცოლი ზურას ნაცნობ მწერალს ცოლთან გაყრაში ეხმარება. ამის შემყურე ეს მარტოა და საწყლად რჩება. შვილმაც ისეთი სიტყვები თქვა, რომ მაყურებელი ჩაწერაზე ცრემლიანი იყო. სიცილი ხომ ისმის ამ სერიალის დროს, ამ სერიის გადაღების დროს რეპლიკად გაისმა გულდაწყვეტილი - „აუუუ“.

- რითი გგავთ გმირი?

- ზურას დაბნეულობით ვგავარ. სახლშიც ვიცი ხოლმე არევა, მაქვს პერიოდები და მერე, ერთ დღესაც მიჭირს დალაგება. როცა ოთახში ნივთები უწესრიგოდ ყრია, თავს კარგად ვგრძნობ. ყველაფერი ჩანს. ან რატომ უნდა დაალაგო სანოლი, როცა ღამე ისევ უნდა დაწვე? ზურიკო ალალი და გულწრფელია და ეგეთი სისუფთაველეებიც მისნაირ ადამიანს შეიძლება შეემთხვეს. მის მსგავსად ბანკში ბოლო მომენტამდე არც მე შემაქვს თანხა. თავისუფალი დრო რომ მაქვს, მეგობრებთან შეხვედრა მირჩევნია ბანკში რიგში დგომას. გადავდებ დილისთვის, დილით ვერ ვდგები, ასე რომ, ბოლო მომენტში შემაქვს. კიდევ ერთი დამთხვევა აღმოვაჩინე: ზურიკო იხსენებს - შემოქმედებით კრიზისში ბევრი რამ ვცადე, სხვადასხვა ადგილას ვიმუშავე და პრინციპებს ვუღალატეო. ჩამონათვალში ამბობს, სასწრაფოს მძღოლიც ვიყავიო. გავგიჟდი, ასეთი დამთხვევა საიდან-მეთქი. შარშან ზაფხულში, თბილისში რომ არაფერი ხდებოდა, წალკაში ალპურ ზონაში სასწრაფოს მანქანის მძღოლად ვიმუშავე, ექ-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი მნერალი „ჩვენი ამბიდან“

„ზურას დაბნეულობით ვგავარ. სახლშიც ვიცი ხოლმე არევა, როცა ოთახში ნივთები უნესრიგოდ ყრია, თავს კარგად ვგრძნობ. რატომ უნდა დაალაგო საწოლი, როცა ღამე ისევ უნდა დაწვე?“

„პირადში? ახლა არაფერი ხდება, ხუთწლიანი სიყვარულის მერე დასვენების ეტაპზე ვარ. ასე თავს კომფორტულად ვგრძნობ“

„მაკა რომ მიყვარდა, დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა და ბედნიერი ვიყავი. ახლა მეზარება. მეორე დღეს თუ საქმე მაქვს, მირჩევნია ღამე გამოვიძინო. ასაკის ბრალიც არის“

EXCLUSIVE

იმი დამყავდა. თან ვთევზაობდი, თან ვმუშაობდი. ზურა მოსიყვარულე და ერთგული, გულიანი ტიპია. მეც ეგეთი ვარ, როცა მიყვარს - მიყვარს. ცხოვრებაში პრობლემა რომ გაქვს, საქმეს კი აკეთებ, მაგრამ პირადზე გეფიქრება. წერს, მაგრამ ცოლ-შვილზე ფიქრობს. ცოლთან შერიგება უნდა, შვილი ენატრება. მეც მისნაირად ვარ. კიდე... ისიც მელოტია და მეცქ.

მუსკომედია

რვა წელია ჩახუნაშვილი მუსკომედიის დასის წევრია. მანამდე ოთხი წელი ვაკის სარდაფშიც იყო და რუსთაველისაც. მომთაბარე ცხოვრებას ვეწეოდი, აქ სადამდეც გამაჩერებენ, გავჩერდებიო, ამბობს. მუსკომედიაში ნათამაშები როლებიდან გამოარჩევს მანანა ბერიკაშვილის „მარკიზა დე სადი“-ს როლს. ქალის როლი ითამაშა. მუსკომედიის თეატრის დასს ქალის როლით შეუერთდა. „კაბა მეცვა, პარიკი მეხურა. ქალის მანერებით ვთამაშობდი. პარიკი ისე მიჭერდა, თავი მიბჟუოდა. ფანქრის წასმის დროს ლამის თვალს ვითხრიდი. გრიმიორმა ისეთი გრიმი გაგვიკეთა, ხუთივე ბიჭი ჩვენს თავებზე შეყვარებულები ვიყავით. კარგი სამუშაო იყო და თან უცნაური“. თეატრალურ ინტრიგებში არ ეხვევა. კონფლიქტური და ინტრიგანი არ არის. ინტრიგის სუნს რომ ვიგრძნობ, არ ვერევი, გავერიდებიო, ამბობს. მუსკომედია იმიტომ უყვარს, რომ იცის, ფეხს არ დაუდებენ, თეატრში უბრალოდ თუ შეივლის, არავინ ჰკითხავს, რატომ მოხვედი, ახალი როლი ხომ შემოგთავაზესო? „სხვა თეატრებში დაძაბულობა მინახავს. ეს თეატრი სახლივით არის, მოხვალ, დაისვენებ. ჩასაფრებული არავინ გყავს, არც ფეხსაცმელში გიყრიან ჭიკარტებს. პატარა ოჯახივით არის“.

„პირადში? ახლა არაფერი ხდება, ხუთწლიანი სიყვარულის მერე დასვენების ეტაპზე ვარ. თავს ასე კომფორტულად ვგრძნობ. იმ ურთიერთობამ კარგი მოგონება დამიტოვა. რაღაცები შეცვალა, ფაქტებს სხვანაირად ვუყურებდი. შეყვარებულობის დროს იმდენი რამ მაქვს გაკეთებული, ახლა რომ დამეზარება მისი გაკეთება. ან ისევ ისეთი ანთებული უნდა ვიყო, რომ გავაკეთო. ახლა რომ ღამე გავათენო და მეორე დღეს ისევ რაღაცის გაკეთება მინდოდეს, ველარ წარმომიდგენია. მაკა რომ მიყვარდა დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა და ბედნიერი ვიყავი. ახლა მეზარება. მეორე დღეს თუ საქმე მაქვს, მირჩევნია ღამე გამოვიძინო. ასაკის ბრალიც არის“.

- სიყვარულმა ასაკი და დრო რომ არ იცის?

- და „სიყვარულმა გადარია ტარიელიო...“ კარგია, ერთი გადარევა უნდა გადაირიო.

- თქვენი წყვილისგან თითქოს ყველა ქორწინებით დასრულებულ ფინალს ელოდა. გვინდა ჩვენი სახსრებით შევიძინოთ ყველაფერი, ჩანგლიდან დაწყებულიო, ამბობდით ინტერვიუებში...

- ეტყობა, საქმე საქორწინოდ არ იყო. ყველაფერი ხომ ისე არ ხდება, როგორც გვინდა რომ მოხდეს, ან როგორც უნდა მოხდეს. არ მოხდა - არ მოხდა. არც ეგ არის სადარდებელი. რაც იყო, კარგი იყო, თავისთვის იყო, გემრიელად იყო... დასაწყისში მართლა კარგი წლები იყო, მერე იყო ცუდი წლებიც.

- იქნებ მატერიალურად არ აგეწყოთ და ერთ-ერთი მიზეზიც ეგ იყო...

- მარტო მაგაზეც არ არის. სიტყვაზე, ორი ჩანგლის ყიდვას შეძლებ. მეოთხესაც სტუმრისთვის დაამატებ, მაგრამ მაქამდე ხომ უნდა მიხვიდე. ვერ მივედით, იყო ფეხის თრევა. ეს შეიძლება ჩემი ბრალიც იყო, შეიძლება - მისიც.

- მაინც რა მოხდა?

- არ ვიცი. ეგ რომ ვიცოდე... თავისით ხდება. ესე იგი, ასე იყო საჭირო. ალბათ, ველარ აკონტროლებ ურთიერთობას. მერე მივხვდები ასე რატომ მოხდა, როცა რამე ახალი ურთიერთობა დაიწყება ჩემს ცხოვრებაში. იმ ურთიერთობამ თავისი ამოწურა, კარგი იყო, თავს კომფორტულად ვგრძნობდი და მერე უკუსვლით წავიდა. ერთი რომ მდორედ წავა უკან, ან ამას ეჩვევი და მოგწონს, ან არ ეჩვევი და ჩერდები. აღმოჩნდა, რომ ასე მდორე ურთიერთობა არც ერთს არ მოგვწონდა. ეს მდორე პერიოდი კი ბოლო ორი წელი იყო. ყველაზე კარგი კი ჩვენს ურთიერთობაში პირველი ორი წელი იყო. დაშორების მერე შერიგების მცდელობა არც ყოფილა. ურთიერთობის დასასრულს იმდენად დაშორებისკენ იყო ყველაფერი მომწიფებული, რომ მარტივად უნდა მიგველო დაშორების გადაწყვეტილება. ახლა რაღაც სიახლეები რომ ხდება, ძველი რეჟიმიდან და ურთიერთობიდან გამომდინარე, წარმოვიდგენ, ის რომ ისევ ჩემს ცხოვრებაში ყოფილიყო, დავურეკავდი და ვეტყოდი ეს მოხდა-მეთქი. ეს დაშორება დასაწყისში, პირველი წლის თავზე რომ ყოფილიყო, შეიძლება ძალიან ცუდად ემოქმედა.

- ახალ ურთიერთობაზე გადართვა არ გიცდიათ?

- თვითონ არ ვეძებ, ვნახოთ. ჯერჯერობით ცოტა ხანი, ასე ერთი წელი ასე მირჩევნია. თუ მაცადა ამურმა და ისარი არ მესროლა, ვივლი ასე. საქმეს მივხედავ და მერე ვნახოთ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ივანა მელაისა და „ქუჩის

my View
თამარ გონგაძე

პარასკევს, „პროფილის“ ნახვის მეორე დღეს, ყველა ალაპარაკდა - ნეტა, ივანა მელაი რომელ ქართველ ხელოვანზეა შეყვარებულიო? ფაქტია, უკრაინელმა არტისტმა ისეთი გულით იმღერა - „მამა, ია ლუბლუ გრუზინაო“, აუხდა კიდეც. შოუში ითქვა, რომ მისი რჩეული ქართველი მომღერალია, თან საკმაოდ პოპულარული, კარგად ვიცნობთ მის შემოქმედებას. მაია ასათიანმა ივანას თხოვნით ცნობილი ქართველი არ დაასახელა. დავიწყე მინი გამოძიების ჩატარება. დასახელდნენ სავარაუდო კანდიდატები, მათ შორის - რატი დურგლიშვილი, ვიღაცამ თქვა, ანრი ჯოხაძეც შეიძლება იყოსო, ერთმა ძველი ჭორი გაიხსენა და რეპერი „ძვალი“ დამისახელა. უცებ შედგა სია. ერთ-ერთ კანდიდატად კი გურამიკო ლომიძეც დამისახელეს, ერთ-ერთი „ქუჩის ბიჭი“. შევედი გურამიკოს „ფეისბუქის“ კედელზე და მელაის მიერ ორი დღის დადებულ მათ ერთობლივ ფოტოს ასეთი მინაწერი აღმოვუჩინე - **„Вечер... Тбилиси... Мы снова вместе“.** ჩემამდე მოსული ჭორიც თითქოს ამ ერთმა უწყინარმა ფაქტმა გაამყარა. მერე ერთმა მითხრა, ამ რომანზე მათმა გარემოცვამაც არაფერი იცისო. გამახსენდა, რომ ორი თვის წინ „ქუჩის ბიჭებმა“ წინა საკონცერტოდ ინტერვიუ რომ მომცეს, მაშინ გურამიკოს თვალები სხვანაირად უელავდა, ხელიდან ტელეფონი არ დაუდია. გამალებული მესიჯობდა. ვინც ლომიძეს იცნობს, კარგად იცის, რომ ქალებთან ურთიერთობა გადასარევად გამოსდის. თვალებში მაცდური ეშმაკები დაურბის და ყოველთვის ვიღაცასთან აქვს რომანი. პირადი ცხოვრება მოსაწყენი არც ერთ პერიოდში არ აქვს. ხატია შამუგიასთან თერთმეტი წლის ნიკოლოზი ჰყავს, ერიკა სელშტუტთან სამი წლის ლაიმი. მოკლედ, დავურეკე, მაგრამ გურამიკომ პირადზე საუბარი არ ისურვა, ამ ეტაპზე ამისთვის მზად არ ვარო. ზურა ხაჩიძე კი აღიარებს, რომ არც ერთი ქალისთვის არ ემეტება გურამიკო.

ზურა ხაჩიძე: „მე ვიცი, რომ ისინი მეგობრობენ, სხვა არაფერი ვიცი. ხშირად ერთად ვართ, ივანა ჩვენს კონცერტზე, „სითი კლუბში“, ჩვენთან ერთად იყო. სერიოზული თუ რამე ხდება, არ ვიცი. კარგი ადამიანი და პროფესიონალია. იცის, რასაც აკეთებს. გემოვნებიანია“.

ივანა მელაი:

„ჩვენ „ტუსოვკაზე“ გავიცანით ერთმანეთი. პირველი, რაც მე მასში მომეწონა, იყო მისი სითამამე. ცოტას თუ შეეძლო ჩემთან ასე უბრალოდ მოსვლა და გაცნობა. გამიცნო და ჩემგან არც წასულა. ეს გაბედული ნაბიჯი იყო“

გურამ ლომიძე:

„შეყვარებული ვარ ისე, როგორც არასდროს“

ზურა ხაჩიძე:

„თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რა უნდათ და როგორი წყვილია - მე მერე შევაფასებ. ვიზუალურად არაჩვეულებრივი გოგოა. გურამიკო მსოფლიოში არც ერთი ქალისთვის არ მემეტება“

- გურამმა გაგაცნო?

- კი, გურამისგან გავიცანი.

- ისე, როგორი წყვილია?

- ასე რა ვთქვა?! თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რა უნდათ და როგორი წყვილია - მე მერე შევაფასებ. ვიზუალურად არაჩვეულებრივი გოგოა. გურამიკოზე ნულარ მალაპარკებ, ჩემი ძმაა და ძალიან მიყვარს. მე ის მსოფლიოში არც ერთი ქალისთვის არ მემეტება. მონიკა ბელუჩი შეიძლება.

ურთიერთობის დეტალებზე ივანამ „პროფილში“ ისაუბრა.

ივანა მელაი: „რომანი მაქვს. როგორც იქნა, ქართველთან. „როგორც იქნა“ იმიტომ, რომ აქამდე ხან ვისთან რომანი მომაწერეს, ხან ვისთან, სულ ჭორები იყო. ეს კი უკვე ჭორი არ არის. არტისტის პირადი ცხოვრება ყოველთვის აინტერესებთ. აქვთ ადამიანებს ასეთი თვისება - წერენ და თხზავენ ისტორიებს. ასე უფრო სახალისოა ცხოვრება. მაგრამ ყველაფერი სიმართლე როდია? ჩვენ „ტუსოვკაზე“ გავიცანით ერთმანეთი. პირველი, რაც მე მასში მომეწონა, იყო მისი სითამა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიჭის“ რომანი გამჟღავნდა

EXCLUSIVE

გურამ ლომიძე: „ის ყველაფერია - მსახიობი, მომღერალი, წამყვანი, ულამაზესი და უმშვენიერესია... ძალიან ნიჭიერი მომღერალია. ვფიქრობ, საქართველოში ასეთი შემსრულებელი და არტისტი ძალიან ცოტაა, უფრო სწორად, ის ერთადერთია“

ივანა მელაი: „მე არასდროს ვსაუბრობ იმაზე ვინ მიყვარს და ჩემს პირადს არ განვიხილავ. ეს თქვენ კარგად იცით“

„უნდა გამოვტყდე, რომ აქამდე მისი შემოქმედება არ მქონდა მოსმენილი. ალბათ იმიტომ, რომ 2 წელია აქ ვარ და ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული. მივხვდი, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანია. მომწონს ყველაფერი, რასაც ის აკეთებს“

მე. ცოტას თუ შეეძლო ჩემთან ასე უბრალოდ მოსვლა და გაცნობა. საერთო მეგობარმა გაგვაცნო ერთმანეთი. გამიცნო და ჩემგან არც წასულა. ეს გაბედული ნაბიჯი იყო. სხვები იბნეოდნენ. მორიდებას ვამჩნევდი. ბავშვივით იქცეოდნენ. მამაკაცი ჩემზე ძლიერი და გაბედული უნდა იყოს. ამ შემთხვევაში საკუთარ თავს მოდუნების საშუალება მივეცი. მინდოდა ქალი ვყოფილიყავი. დატვირთული ზაფხული მქონდა, ხუთი ქვეყანა მოვიარე. მან კი დიდი ხანი ვერ გაძლო ჩემ გარეშე, გამაოცა - რომში დამპატიჟა. საოცარი რომაული საღამოები იყო, გემრილი ღვინო, საჭმელი“...

მაია ასათიანი:

- ეს სიყვარულია?

- მზად არ ვარ ასეთ დონეზე გავიხსნა და ვისაუბრო.

- მისი პროფესია მაინც ვთქვათ.

- შემოქმედებითი ადამიანია.

- მოგისმენიათ მისი შემოქმედება?

- რა თქმა უნდა. უნდა გამოვტყდე, რომ აქამდე მისი შემოქმედება არ მქონდა მოსმენილი. ალბათ იმიტომ, რომ 2 წელია აქ ვარ და ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული. ჩემი გარემოცვაც არ ყოფილა დიდი. როცა ის გავიცანი, მივხვდი, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანია. მომწონს ყველაფერი, რასაც ის აკეთებს.

„როგორც ყოველთვის, ახლაც ბედნიერი ვარ“

- გურამ, შეყვარებული ხარ?

- მე ყოველთვის შეყვარებული ვარ. უბრალოდ, პირადზე ამ ეტაპზე საუბარი არ მინდა. ჯერჯერობით ამისთვის მზად არ ვარ. ვასაიდუმლოებ, ვინ არის კონკრეტულად ჩემი შეყვარებული. ისე კი გეტყვით, რომ ის ყველაფერია - მსახიობი, მომღერალი, წამყვანი, ულამაზესი და უმშვენიერესია.

- ივანასთან ფოტოები გაქვს გადაღებული, რა ტიპის ნაცნობობა გაკავშირებს მასთან? როდის გაიცანი?

- ივანა მას შემდეგ გავიცანი, რაც ამერიკიდან ჩამოვედი, მაისში. ძალიან კარგი პიროვნებაა. ჩვენ მეგობრები ვართ. მშვენიერი გოგოა, ულამაზესი. ძალიან ნიჭიერი მომღერალია. მომწონს მისი შემოქმედება. შემოქმედებითად განვითარებულია. ვფიქრობ, საქართველოში ასეთი შემსრულებელი და არტისტი ძალიან ცოტაა, უფრო სწორად ის ერთადერთია.

- როგორი მეგობარია?

- მეგობარია, რა... კოლეგები ვართ.

- რა თვისებას გამოარჩევ მასში?

- ამაზე არ ვაკეთებ კომენტარს.

- ივანამ გადაცემაში მისი სიყვარულის ობიექტი თამამ ადამიანად დაახასიათა. ასეთი ხარ?

- არ ვიცი, ივანა ვისზე საუბრობდა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი მსმენელი და შენი მკითხველი ყოველთვის კარგად არის ჩემ პირად ცხოვრებაზე ინფორმირებული. თამამი ვარ თუ არა, ყველამ - იცის.

- ბედნიერი ხარ?

- როგორც ყოველთვის, ახლაც ბედნიერი ვარ. მით უმეტეს ჩემს ქვეყანაში.

- ივანას და „ქუჩის ბიჭების“ დუეტის ჩაწერა ხომ არ იგეგმება?

- ამასაც უკომენტაროდ დავტოვებ.

- რამდენი ხანი აპირებ საქართველოში დარჩენას?

- წლის ბოლომდე ყველა ვარიანტში. ზუსტად არ ვიცი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავბერიძე

ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევრები „სოტბის“ აუქციონზე



თანამედროვე ქართველი მხატვრის ნამუშევარი მსოფლიოს დიდ საუქციონო სახლში იყიდება. ტიმჩენკოს „არყის ხეებმა“ ლონდონში ბონემის აუქციონის შემდეგ ინგლისში დაიდო ბინა. მანამდე ამ ნახატს ერთმანეთს ინგლისელი და რუსი მსურველი ეცილებოდნენ. საბოლოოდ ტიმჩენკოს ნამუშევარი ინგლისელმა 10 000 ფუნტ სტერლინგად შეიძინა. მხატვარი ამჯერად ახალ ნამუშევრებზე მუშაობს და კვლავ ლონდონის გამოფენისთვის ემზადება. მან შემოთავაზება ორი ცნობილი გალერეიდან უკვე მიიღო. როგორც ცნობილი გახდა ოლეგ ტიმჩენკოს ნახატებით სხვა აუქციონებიც დაინტერესდნენ. ლონდონური გამოფენის შემდეგ კი რამდენიმე ნახატი „სოტბის“ აუქციონზე გავა. მხატვარი გამოფენისთვის არყის ხის ტყის ბინადრებს ხატავს... მას უკვე 10 ნახატი აქვს მზად. ტყის სერია შავ-თეთრ ფერში სრულდება. ლონდონამდე ნახატები საქართველოში გალერეა „გამრეკელში“ (ინგოროყვას 14) გამოიფინება.

ოლეგ ტიმჩენკო: „ჩემთვის ეს ძალიან დიდი სიხარული და სიურპრიზი იყო. მანამდე ვიცოდი, რომ აუქციონზე უნდა გასულიყო ჩემი ნახატები, მაგრამ გაყიდვა ნამდვილად სიურპრიზი იყო. მე თბილისში ვიყავი აუქციონის დროს და არ ვიცოდი იქ რა ხდებოდა. მანამდე კი, როდესაც კატალოგი ვნახე, მივხვდი, რომ ძალიან სერიოზულ ამბავში მოვხვდი. საკმაოდ ცნობილი მხატვრების გვერდით ყოფნა ჩემთვის საამაყო იყო. და ამ კატალოგსა და აუქციონზე მოხვედრა გამართლებად ჩავთვალე. მერე კი ხათუნა მელიქიშვილმა გამახარა. ამაზე არც მიფიქრია, არც მინერვიულია, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ გაიყიდა, მაშინ მივხვდი, რომ რაღაც ძალიან სერიოზული მოხდა“.

ხათუნა მელიქიშვილი, გალერისტი: „ამ ყველაფერს თავიდან დიდი მოსამზადებელი პერიოდი და დიდი ენერგია დასჭირდა. ვინერვიულე კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა კი დაინტერესება ძალიან დიდია. აუქციონი კვლავ დაგვიკავშირდა და სხვა ნამუშევრების გატანაც შემოგვთავაზა. ახლა უკვე მოითხოვეს, რომ აუქციონზე გავიდეს სამი ტილო. ასევე ამერიკაშიც დაინტერესებულია „კრისტის“ აუქციონი, რომ გავიტანოთ ოლეგის ტილო. ასეთი შემთხვევებით ეწევა საერთოდ მხატვარს ფასი. ამიტომაც დაინტერესდნენ სხვა აუქციონებიც“.

თენგიზ მარის „უცხო ხილი 2“

კვლავ ჩვეული, უცნაური ხილი, მოქცეული იმ ჩარჩოში, რომელიც ნამუშევრის შემადგენელი ნაწილია და აღტაცებული დამთვალიერებელი. თენგიზ მარის მორიგი პერსონალური გამოფენა ისევ გალერეა „ვანდაში“ მოეწყო. გამოფენაზე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ხალხმრავლობა იყო.

ნამუშევრების უმრავლესობა ნატურმორტია და ყველაში იგრძნობა მისი გამორჩეული ხელწერა. მხატვარმა ამ გამოფენას „უცხო ხილი 2 “ უწოდა და სხვადასხვა დროს შესრულებულ ნახატებთან ერთად ახალი ნამუშევრებიც წარმოადგინა.

თენგიზ მარი მხატვარ-გრაფიკოსი და ინტერიერის დიზაინერია. პროფესიით არქიტექტორია. მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მხატვარ-არქიტექტორად. დაპროექტებული აქვს, როგორც ექსპოზიციები, ასევე საცხოვრებელი სახლის ინტერიერები საქართველოსა და უცხოეთში. თენგიზ მარის ნამუშევრები საქართველოსა და მრავალი სხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში ინახება. მისი გამოფენები ეწყობოდა საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, ინდოეთში, ჩეხეთსა და თურქეთში. დამთვალიერებელს თენგიზ მარის ნახატების ნახვა გალერეა „ვანდაში“ ოქტომბრის ბოლომდე შეეძლება.

ათონის წმინდა მთაზე ქართული ლოცვა აღევლინება



ათონის წმიდა მთაზე, 80-წლიანი პაუზის შემდეგ, უწყვეტი ქართული წირვა-ლოცვა აღდგა! 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, სიმონოპეტრას მონასტრის კუთვნილ წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სენაკში ოთხმა ქართველმა ბერმა დაიდო ბინა და დაიწყო უწყვეტი ღვთისმსახურება. უკანასკნელად უწყვეტი წირვა-ლოცვა ქართველი ბერების მიერ აღესრულებოდა პანტელეიმონის მონასტრის კუთვნილ წმ. სტეფანეს სახელობის სენაკში, სადაც 1919 წელს ივერონის მონასტრის სენაკიდან გამოყრილმა 17 ქართველმა შეაფარა თავი. სამწუხაროდ, 1932 წლის 4 სექტემბერს (ძვ. სტილით) ამ სენაკს ხანძარი გაუჩნდა, რომელმაც რამდენიმე ბერი იმსხვერპლა, სრულიად დაიწვა ბიბლიოთეკა და არქივი. მას შემდეგ ბერებს ათონზე ქართულ ენაზე უწყვეტი წირვა-ლოცვა აღარ აღუვლენიათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

ნინამ „ცეკვავენ ვარსკვლავებზე“ ლამის უარი თქვა

ნინა წკრიალაშვილმა, სამი კვირის წინ, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალში მოხვედრის სურვილი ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში გაახმაურა. ფინალურ სამეულში ვხედავ ჩემს თავსო. ახლა სულ სხვა განწყობა აქვს, რეპეტიციებისგან უკვე დაიღალა. გახდომას აპირებდა და პირიქით - სამი კილო მოიმატა. თავის შედგენილ სამეულში კი იულია ქავთარაძე, გიორგი ყიფშიძე და სოფო ნიჟარაძე შეიყვანა. მე მათ დარბაზიდან ვუგულშემატკივრებო. ნინას პარტნიორი რეზიკო რობაქიძეა. რეზიკო წინა შოუზე ეკო ფანგანის მეწყვილე იყო.

ნინა წკრიალაშვილი: „ძალიან მომწონს შიდა სიტუაცია, მაგრამ ასეთი ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვისგან (ოთხი საათი) გავაფრინე. არ ვიცი, როგორ უძლებენ მოცეკვავეები ასეთ დატვირთვას. ტკივილსგან კუნთები ისეთ დღეში მქონდა, ფეხს ვერ ვმართავდი „ჩა ჩა ჩას“ ცეკვისას. მაგარ შარში გავეხვიე. ისე მეზარება რეპეტიციები, რომ წერეთლის გამზირისკენ გახედვა არ მინდა. „თელას“ სტუდიაში ვრეპეტიციობთ. ჩემს თავზე იცით რა მახსენდება, პატარა ბავშვებს მეცადინეობა რომ ეზარებათ და რაღაცებს რომ იმიზეზებენ, წყალს დავლევ და მოვალო. ასე ვარ ზუსტად. ჩემი პარტნიორის, რეზიკოსი მერიდება, რომელიც მართლა მონდომებულია, თორემ თავს დავანებებდი. ილეთებს ადვილად ვითვისებ, მერე მისი ტექნიკურად გამართვა მეზარება. ძალიან ძნელია, მოცეკვავეები წლებს ანდომებენ, რომ ისწავლონ და მე ორ კვირაში როგორ უნდა ვისწავლო, ვერ ვხვდები. ვსწავლობ, მაგრამ ტრავმების და ნერვების ფასად. მერე უკვე რომ გამომდის მიხარია“.



ლიზა ყენია „ბერკლის“ ან „ჯულიარდს“ უმიზნეებს

მაია ჯაბუას ქალიშვილს, 15 წლის ლიზა ყენიას მომავალი პროფესია უკვე ერთი წელია გადაწყვეტილი აქვს. კლასიკის განხრით სურს წასვლა და საოპერო მომღერლობა უნდა. ერთი წელი პედაგოგ გულიკო კარიაულთან ემზადებოდა. მერე საბავშვო „ვოისის“ მონაწილე გახდა და ვოკალში მომზადებისთვის დროებით თავი დანებებული ჰქონდა. ახლა ახალი პედაგოგის ძიების პროცესშია. კონსერვატორიაში ჩაბარებას არ აპირებს.

ლიზა ყენია: „მინდა, რომ ოქტომბრიდან ვოკალის პედაგოგთან ვიარო კერძოდ და სერიოზულად გავყვე საოპერო ჟანრს. ძალიან მინდა სასწავლებლად ან ბოსტონში, ან ნიუიორკში გავემგზავრო. ვთვლი, რომ იმხელა ამბიცია მაქვს, „ბერკლიზე“ და „ჯულიარდზე“ ვიფიქრო. დედა, რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებით გახარებულია“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქალი, რომელმაც რუსული „Vo

„გუშინ ლამის გადმოცვივდნენ მანქანიდან, ეს თქვენ არა ხართ „ახალ ხმაში“ რომ მონაწილეობთო? კომპლიმენტებით ამავსეს. ძალიან კარგი შეგრძნებაა“

„ხალხს რატომ ამტერებენ ერთმანეთს?! ჩვენი გამოსვლის ძირითადი მიზეზი და დევიზი ეს იყო, ხალხი უნდა იყოს, ერთად, არ შეიძლება ხალხის მტრობა“...

my View
დეა თავგერიძე

ბავშვობიდან მღერის. სიმღერის და სცენის გარეშე არ შეუძლია. სცენაზე მისი გამოჩენა ენერგიით ავსებს მსმენელს და პოზიტიურად მუხტავს ირგვლივმყოფთ... ამბობს, სიმღერა პაპისგან ვისწავლეო... უკრავს ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, ჩონგურზე, გიტარაზე, ბასგიტარაზე. ძალიან უყვარს და გამუდმებით ენატრება საქართველო, მაგრამ 20 წელია უკვე, რაც მოსკოვში ცხოვრობს. ეამაყება, რომ წარმოშობით სიღნაღიდანაა და ამ ტურისტულ ქალაქს ყველას აცნობს, მამამ ზედმეტსახელიც კი შეარქვა, საქართველოს დესპანი ხარ რუსეთშიო...

რუსული „Voice“-ის ბრმა კასტინგზე კიდევ ერთმა ქართველმა კონკურსანტმა განაცვიფრა ჟიური. უკვე რამდენიმე დღეა, რაც საქართველო ამ მომღერალზე ლაპარაკობს. უსმენენ მის მიერ შესრულებულ „Ico, Tico“-ს და ემოციებს ვერ უმკლავდებიან. მისი ქართველობა კი ყველას ეამაყება. თავად მომღერალმა ახლობლის მიერ გაგზავნილი ლინკით გაიგო, რომ მის გამოსვლას თბილისში ამგვარი რეზონანსი მოჰყვა. ეთერ ბერიაშვილმა მსმენელთა მოხიბვლა ტექნიკურად ძალიან რთული სიმღერის შესრულებით შეძლო. ფრანგულმა კომპოზიციამ „Ico, Tico“-მ ჟიურის ოთხივე წევრის ყურადღება მიიქცია. ეთერს პირველი ალექსანდრ გრადსკი შემოუბრუნდა, მას პელაგეა, ბილანი და აგუტინიც მიყვნენ. ქართველმა მომღერალმა ჟიურის თითოეული წევრი თბილი სიტყვებით შეაფასა და საბოლოო არჩევანი ლეონიდ აგუტინზე შეაჩერა.

ეთერ ბერიაშვილი: „მართალი გითხრათ, ამ შეფასებას ველოდი, ეს სიმღერა არანაირი პრობლემა არ იყო ჩემთვის... გავიდოდი, არ გავიდოდი და ამაზეც ძალიან არ ვიდარდებდი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიღაც მაინც შემოტრიალდებოდა, მაგრამ ყველას შემოტრილებას ნამდვილად არ ველოდი. მეგონა, რომ აგუტინი შემოტრიალდებოდა, თუმცა აგუტინი ყველაზე ბოლო იყო. ბილანის შემობრუნება ძალიან გამიკვირდა... სულ ოთხი ქართველი გავედით, აქ ამბობენ, ერთმანეთზე უკეთესები ხართო და ეს ძალიან მახარებს... ვნახოთ რა იქნება... ყველაფერი დამოკიდებულია ყოველ შემდეგ ტურზე, შეიძლება გადავიდე, შეიძლება არა. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული... მათ შორის იმაზე თუ რამდენად შენია ის სიმღერა, რამდენად სწორად გააკეთებენ არანჟირებას, რამდენად სწორად შეარჩევენ ტონალობას, საერთო ატმოსფერო როგორი იქნება, პლუს პარტნიორი. ჩემი სტილი უფრო ჯაზია ვიდრე პოპმუსიკა. ეს, ერთი მხრივ, ლატარიაა, მეორე მხრივ, ძალიან დიდი გამოცდილებით გათვლილი. აგუტინი ძალიან გამოცდილი ადამიანია და არა მგონია ისეთ პარტნიორთან დამაყენოს, რომელსაც სტილისტურად არ შევეხამები“.



პოპულარობა

„პოპულარობას ძალიან ვგრძნობ, არადა მეცინება, ფაქტობრივად, რასაც ვაკეთებდი იგივეს ვაკეთებ. რეპეტიციები მაქვს, ვამუშავებ სიმღერას, ვსწავლობ ტექსტებს, არაფერს ისეთს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ, მაგრამ რას ნიშნავს ცენტრალური არხი. უკვე ყველა გიცნობს და ამას ხმამაღლა გამოხატავენ. ოსტანკინოში ვიყავი მისული, ბავშვს ვგულშემატკივრობდი, ბავშვების „ახალი ხმის“ კასტინგი დაიწყო და ერთ ახლობელ ბავშვს ვგულშემატკივრობდი. როცა შევედი, ატყდა აჟიოტაჟი, როცა ბავშვებმა დამინახეს, მომცვივდნენ, მშობლებმა ძალიან გგულშემატკივრობთო, დაიწყო ფოტოების გადაღება. ეს ძალიან სასიამოვნო ფაქტია. ხოლო როდესაც მოსკოვში საცობში გზას გითმობენ, ვფიქრობ, ნამდვილი პოპულარობა ეს არის. გუშინ ლამის გადმოცვივდნენ მანქანიდან, ეს თქვენ არა ხართ „ახალ ხმაში“ რომ მონაწილეობთო? კომპლიმენტებით ამავსეს. ძალიან კარგი შეგრძნებაა“.

ეთერ ბერიაშვილი დიდი ხანია მოსკოვში მოღვაწეობს. აქვს საკუთარი მუსიკალური სტილი და პროფესიულ დონეზე მღერის, მათ შორის ცნობილ შემსრულებლებთან ერთადაც. მარტში ქართველი მომღერალი ანდრეი მაკარევიჩთან ერთად საქართველოსაც სტუმრობდა. რუსეთში საკმაოდ პოპულარულია Beriashvili-Losev Group, ამ პროექტის ავტორი და კომპოზიტორი პიანისტი ალექსანდრე ლოსევია, ეს ჯგუფი სიმღერებს ქართულ ენაზე ასრულებს. რაც შეეხება სტილს, ალბათ, ვერც გიპასუხებთ დაზუსტებით, - ამბობს ეთერი, რადგანაც ეს საკითხი ჩვენთვისაც ჯერჯერობით არაა ბოლომდე ნათელი. ჯაზია ეს? ეთნოა? იქნებ პოპ-მუსიკაა? დარწმუნებულები ვართ, რომ ამ მუსიკაში ყველა იპოვის თავისი გემოვნების შასაფერის სიმღერას. ქართველ მომღერალს რუსეთში ასე ახასიათებენ, მომღერალი, რომლის ხმაც გაგრძნობინებთ ჭეშმარიტად ქართულ სითბოსა და კოლორიტს.

„არ შეიძლება ხალხის მტრობა“

„2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში იმდენად გულაცრუებული და გულნატკენი ვიყავი, ლამის დავტოვე ქვეყანა, მაგრამ მეგობრებმა შემაცვლევინეს აზრი. მერე ყაზანში ჩატარდა ეთნიკური ომების საწინააღმდეგოდ მიმართული ძალიან დიდი ფესტივალი. ამ ფესტივალზე ერთად მღეროდნენ პალესტინელები და ისრაელის წარმომადგენლები, სომხები და აზერბაიჯანელები. მე და ჯაზმომღერალმა ირინა კალმაევამ გავხსენით ეს ფესტივალი. ამას რუსეთში ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მინდოდა საქართველოშიც გაშუქებულიყო და ენახათ, რომ პოლიტიკა პოლიტიკაა, ხოლო ხალხი ხალხია, მაგრამ არაფერი გამომივიდა... ხალხს რატომ ამტერებენ ერთმანეთს?! ჩვენი გამოსვლის ძირითადი მიზეზი და დევიზი ეს იყო, ხალხი უნდა იყოს ერთად, არ შეიძლება ხალხის მტრობა“...

სიღნაღიდან მოსკოვამდე

„მოსკოვში მშობლებმა საბჭოთა კავშირის დროს ჩამომიყვანეს, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, 4 წლის. მამა კვლევით სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობდა, დედამაც აფთიაქში დაიწყო მუშაობა. ასე დავსახლდით რუსეთში. მე საბავშვო ბაღი იქ დავამთავრე და პირველ კლასშიც იქ შემიყვანეს. მერე კი ისევ საქართველოში გადმოვედით, კერძოდ, სიღნაღის რაიონში. მამა საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაინიშნა. სკოლა სიღნაღში დავამთავრე. სკოლის დამთავრების შემდეგ დადგა საკითხი თუ რომელ ინსტიტუტში უნდა ჩამებარებინა, იქიდან გამომდინარე, რომ მშობლები ექიმები მყავდა, გადაწყდა, რომ მეც ექიმი გამოვსულიყ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ice“-ის ჟიური აღაფრთოვანა

ავი. მერე კი გადაწყდა, რომ მოსკოვში წავსულიყავი და იქ ჩამებარებინა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში. თუმცა, ჩემი მუსიკალური მოღვაწეობა არასოდეს შემიჩერებია. ამიტომ, როდესაც ინსტიტუტს ვამთავრებდი, პარალელურად მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე. ამის გამო სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე კურსზე მქონდა საგიჟეთი. სოლფეჯიო, ჰარმონია და მედიცინა ერთმანეთში იყო ჩახლართული. ერთი დღის მანძილზე ამ ორ სასწავლებელში გადარბენა რამდენიმეჯერ მიხდებოდა. ერთხელ ვოკალის პედაგოგმა მკითხა - საერთოდ, სარკეში იხედები? ალბათ, ადამიანის სახე არ მქონდა. მუსიკალური სასწავლებლიდან მალევე მიმიწვიეს ერთ-ერთ კონკურსზე, ამის მერე კი წავიდა და წავიდა... ჩემმა ვოკალის პედაგოგმა რეკომენდაცია გამიწია და დავიწყე ძალიან კარგ ჯაზ არტკაფეში მუშაობა და ძალიან კარგი ხალხი მყავდა, ნიჭიერი მოსკოველი ჯაზმენები, მათთან ერთად ნელ-ნელა დავხვეწე პროგრამები“.

„მაშინ უფრო დავაფასე ჩემი მიწის სილამაზე“

„საქართველო ყოველთვის მენატრება, დრო ამ ნოსტალგიას ვერაფერს შველის. ადრე უფრო ხშირად ჩამოვდიოდი. ახლა წელიწადში ორჯერ თუ ჩამოვედი, ხომ კარგი... კავკასიონზე გადავფრინდები თუ არა სულ ფოტო აპარატი მიჭირავს ხელში და ფოტოებს ვიღებ. მახსოვს, პირველ კურსზე ჩემი ორი ახლო მეგობარი დავპატიჟე საქართველოში. ერთი თვე დავყავით აქ. განცვიფრებულები იყვნენ ჩვენი ქვეყნით. ჩემი აივნიდან კავკასიონის ქედს ხედავ. რამაც ორივე ძალიან აღაფრთოვანა. მე მიკვირდა, რადგან ესთეტიკურ სიამოვნებად ამ ყველაფერს არ აღვიქვამდი. უბრალოდ, დათოვლილობის მიხედვით ვასკვნიდი სიცივე იქნებოდა თუ არა, ჩვეულებრივი რამ იყო ჩემი აივნიდან კავკასიონი. არც სიამაყის გრძნობა მქონდა. ესენი კი ჩამოვიდნენ თუ არა აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ყოველ წამს მესმოდა მათი შეძახილი - რა მაგარი მთებია, რა საოცარი ბუნება, რა ტყეა, რა სილამაზეა. მეღიმებოდა მათ ამგვარ რეაქციებზე. მერე კი ისე მოხდა, რომ ორი წელი საქართველოში ვერ ჩამოვედი, ორი წლის შემდეგ დაბრუნებულმა, როცა ეს გომბორის მთები, კავკასიონი დავინახე, როცა სიღნაღიდან ალაზნის ველს გადავხედე, როცა ყოველ ქვას მოწიწებით ვადგამდი ფეხს, მაშინ მივხვდი რას მელაპარაკებოდნენ ეს გოგონები და მაშინ უფრო დავაფასე ჩემი მიწის სილამაზე. რაც უფრო შორს ხარ შენი ქვეყნიდან, რაც უფრო მეტად მოშორებული შენს სამშობლოს, უფრო გენატრება და უფრო აფასებ მიწის ყველა გოჯს. ამ სიყვარულს ვერაფერი გაანელებს. ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ქართველი ვარ“...

გარიგებით შექმნილი ოჯახი

„ბადრი მუსიკოსი არ არის, მხატვარი რესტავრატორია, თუმცა ისიც ხელოვანია და ამიტომ ერთმანეთის ენა ძალიან კარგად გვესმის. რამდენიმე წელია რაც ერთად ვართ, მანამდე ორივეს გვყავდა ჩვენ-ჩვენი ოჯახი. ბადრი ქერივია, ორი გოგონა ჰყავს პირველი ცოლისგან. გვყავს საერთო შვილი, ორი წლის სოფიკო. რომელიც ახლა საქართველოშია ბებია-პაპასთან. პირველ მეუღლესთან შვილი არ მყოლია, სწორედ ეს იყო ჩვენი დაცილების მიზეზი, ბავშვი არ უნდოდა. არადა, ძალიან დიდი სიყვარულით შევქმენით ოჯახი, ეროვნებით რუსი იყო, მაგრამ ქართველები ძალიან უყვარდა, იმდენად, რომ ქართულიც კი ისწავლა. ძალიან გამართულად ლაპარაკობდა. მაგრამ შვილთან დაკავშირებით ვერ შევთანხმდით და ერთმანეთს დავშორდით. მერე კი მეც მარტო ვიყავი, ბადრიც და ჩვენს ახლობლებს გაუჩნდათ სურვილი, რომ ოჯახი შეგვექმნა. ჩვენი დები ძალიან ახლო მეგობრები არიან. ამ ოჯახს ძალიან კარგად ვიცნობდი და თავიდან გაცნობა აღარ დამჭირდა. მთელი ცხოვრება მიკვირდა და მეცინებოდა ასე შეკვეთით ანუ ჩვენებურად გარიგებით ოჯახის შექმნაზე. თუმცა დღეს ძალიან ბედნიერები ვართ, ძალიან მიხარია, რაც ახლა ჩვენს ცხოვრებაში ხდება. ბადრი ძალიან მეხმარება და ყველაფერში გვერდით მიდგას. ქართველი კაცები მაინც თავისებურები არიან. რის გამოც ბევრი ნიჭიერი ქართველი ქალი მინახავს სახლში გამოკეტილი. ბადრი ძალიან დიდ პატივს სცემს ჩემს პროფესიას“.

- გამოდის, რომ გარიგებით ცოლად გაყოლა სრულებითაც არ არის საშიში.

- არ არის საშიში, თან ჩვენ ისეთ დროს შევქმენით ოჯახი, როცა 37 ნლისანი ვიყავით, უკვე გვესმოდა ერთმანეთის. ოჯახი ხომ საერთოდ ერთმანეთის პატივისცემაზეა აგებული. სიყვარული და ძალიან დიდი გატაცება რომ მთავრდება, ერთმანეთის პატივისცემა თუ არ არის, ის ოჯახი არასრულფასოვანია, და აზრი არა აქვს ასეთი ოჯახის გაჯანჯლებით არსებობას. პატივისცემასთან ერთად წყვილი ინტელექტის დონით უნდა შეეფერებოდეს ერთმანეთს. საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ.

- პატარას დედის ნიჭი ხომ არ გამოჰყვა?

- მის მუსიკალურ მონაცემებზე ჯერ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ძალიან რიტმული ბავშვია. გვაქვს მისი სიმღერის ჩანაწერი, ზუსტ ნოტებს იღებს. ისე მომეწონა ეს ნამღერი, რომ სიმღერა გავაკეთე და იქ ჩავსვი, ძალიან კარგი გამოვიდა...

ეთერ ბერიაშვილი შემოქმედებასა და პირადზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N39 (237), ორშაბათი 30 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE

ივანა მეღლაისა და „ქუჩის ბიჭის“ რომანი გამჟღავნდა

ქალი, რომელმაც რუსული „Voice“-ის ჟიური აღაფრთოვანა

EXCLUSIVE

ტატო ჩახუნაშვილი - დაბნეული მწერალი „ჩვენი ამბიდან“

EXCLUSIVE

ეკა ხოფერიას ცხოვრებისეული მიჟური რიტმი

გურამ ლომიძე: „შეყვარებული ვარ ისე, როგორც არასდროს “

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება